ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

26 — 27 თებერვალი, 2011 №48 (5429) ფასი: 30 თეთრი

## მიკი რურკი — ჰოლივუდის ყველაზე სკანდალური მსახიობი

გვ.9



გვ.16

ასტროპროგნოზი

TV პროგრამა



## იარაღს სულ თან ვატარებ

გვ.4

რამდენი ლიტრი ღვინის დალევა შეუძლია პაატა დავითაიას



გვ.5

## ჩეჩნებმა გამსახურდიას ცხედართან მიახლოების უფლება არ მოგვცეს

რა სკანდალი მოაწყო იანდარბიევმა სენაკის აეროდრომზე

## მშვიდად მხოლოდ უფალთან ვართ

გვ.7

შენდობის გარეშე მარხვა უბრალო დიეტა გამოვა





## რა შარში გაეხვია ნოდარ ნათაძე „ვეფხისტყაოსნის“ გამო

გვ.6

## ხელისუფლება დენთის კასრზე ზის

საკაშვილის მოსვლამდე მედია თავისუფალი იყო

გვ.3



## 3090

SMS განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.



## ომარ მხეიძეს სცენა ესიზმრება

გვ.3

ქართული ცეკვა ქალის პატივისცემას გასწავლის













## კვირის ქრონიკა

გვ.2

## „არამიანცი“ გუფთამ იყიდა

ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს ჰყიდის. მათ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გვამცნეს, რომ თითქმის ყველა საავადმყოფო გაიყიდებოდა. ჩვენი ტკბილი ხელისუფლება იმასაც დაგვპირდა, რომ ახალ საავადმყოფოსაც აგვიშენებდა (ისე აშენდა თქვენი მტერი და მაწყევარი, როგორც ეს საავადმყოფოები აშენდა).

ახალი საავადმყოფოების აშენებაზე ახლა ხმას აღარავინ იღებს.



სამკურნალო დაწესებულებები ისევ იყიდება. მოსახლეობას ამაზე რეაქცია უკვე აღარ აქვს. სამაგიეროდ, ნერვიულობენ ოპოზიციონერები.

ისინი ხან ერთ გაყიდულ საავადმყოფოს მიადგებიან გოდებით და ხანაც — მეორეს. ამ კვირაში ლეიბორისტების ჯერი იყო. მათ პირველი კლინიკური საავადმყოფო დაიტირეს. ამ საავადმყოფოს ერი არამიანცის სახელით იცნობს.

ლეიბორისტები უკვე კარგა ხანია, რაც გულამოსკვნით დასტირიან გაყიდულ საავადმყოფოებს. ცოტა ხნის წინ მათ ინფექციურთან გამართეს აქცია-ბრიფინგი. ახლა კი გაყიდული არამიანცის კედლებთან გამოხატეს პროტესტი. პროტესტს პარტიის გენმდივანი სოსო შატბერაშვილი თავობდა.

შატბერაშვილის განცხადებით, აღნიშნული ტერიტორია მასზე განლაგებული შენობებით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გაურკვეველი წარმომავლობის დანიელ გუფთამ მინიმალურ ფასად შეიძინა.

— მიმღები განყოფილების კორპუსი 2 მილიონ ლარად, სამშობიაროს კორპუსი — 850 ათას ლარად, ანესთეზიოლოგიის კორპუსი კი — 50 000 ლარად გაიყიდა, — განაცხადა ლეიბორისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა.

მისი განცხადებით, ამა წლის მარტში მორიგი აუქციონი გაიმართება, სადაც დარჩენილ ოთხ კორპუსსაც გაყიდიან.

— ამ კორპუსების გაყიდვის შემდეგ, არავინ იცის, მათ ადგილზე რა იქნება. ამბობენ, სამედიცინო პროფილი შეუნარჩუნდებაო, რაც ჩემთვის ძალზე საეჭვოა. ასე რომ, ამ გადაწყვეტილებით თბილისელებს აღარ ექნებათ სამკურნალო დაწესებულება, — განაცხადა შატბერაშვილმა.

აქციის მონაწილეები მართალია ხმამაღლა გაიძახოდნენ, მაგრამ ექიმების ყურადღება მაინც ვერ მიიპყრეს. რითიც ძალიან უკმაყოფილო დარჩა შატბერაშვილი.

მისი განცხადებით, მედპერსონალმა ძალიან უნდა იაქტიუროს და თუ საჭირო გახდა, დაუმორჩილებლობაც გამოაცხადოს.

შორენა მარსაგიშვილი

## გამსახურდია შევარდნაძის დაკითხვას ითხოვს

ამ კვირაში პარლამენტმა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების შემსწავლელი დროებით საპარლამენტო კომისიის დასკვნა მოისმინა. დასკვნა კანონმდებლებს კომისიის თავმჯდომარემ კონსტანტინე გამსახურდიამ წარუდგინა.



კონსტანტინე გამსახურდიას განცხადებით, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დევნილ პრეზიდენტს ქვეყნის დატოვების ულტიმატუმი რამდენჯერმე წაუყენეს.

მისი თქმით, სამეგრელოს ტერიტორიაზე მყოფი პრეზიდენტი მდევრის სიახლოვეს ყოველთვის გრძნობდა და ადგილსამყოფელს პრაქტიკულად ყოველი მომდევნო დღის შემდეგ იცვლიდა. 1993 წლის 26 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე იგი ჭყეპზენის მთებში მეცხვარეების კარვებში ავიდა. მას როგორც მთებში, ისე წალენჯიხის რაიონის სოფელ ჩვინარეში რამდენჯერმე შეხვდნენ გენერალ გია გულუასა და ზუგდიდის კომენდანტ ბადრი ზარანდიას დაჯგუფების წევრები, რომლებმაც მას ქვეყნის დატოვება მოსთხოვეს. მათი მოთხოვნით, გამსახურდიას საქართველოს ტერიტორია ვერტმფრენით ან წითელი ხიდის გავლით უნდა დაეტოვებინა. მანამდე კი 16-17 ნოემბერს სოფელ ჩვინარეში პრეზიდენტის ლიკვიდაციის გეგმა შედგა. იქ დაახლოებით 17 ადამიანი შეიკრიბა, რომელთა შორის ბადრი ზარანდია, ზურაბ შონია, ძმები გია და გოჩა სარიები, გოჩა ხარებავა და ბეჟან წურწუმია იყვნენ. მათ პრეზიდენტის ლიკვიდაციაზე თანხმობა ხელის აწევით დაადასტურეს. ჩვინარეშიდან ისინი იმ ოჯახში გაემართნენ, სადაც პრეზიდენტი და მისი პირადი დაცვა ეგულებოდათ. ზვიად გამსახურდია და მისი დაცვა ადგილზე არ აღმოჩნდნენ. ამის გამო მათ ოჯახის წევრებს პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტზე ინფორმაცია მოსთხოვეს. უარის მიღების გამო მდევრებმა ოჯახის მასპინძელ უსინათლო მოხუც კაცს და მის 13 წლის შვილიშვილს სასტიკად სცემეს.

კონსტანტინე გამსახურდიამ ქრონოლოგიურად ჩამოთვალა ის სოფლები და ოჯახები, სადაც ზვიად გამსახურდია აფარებდა თავს. ზვიად გამსახურდია ბოლოს, 27 დეკემბრიდან 1994 წლის 1 იანვრამდე სოფელ ძველ ხიბულაში კარლო ღურწკაიას ოჯახში იმყოფებოდა.

გამსახურდიამ წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ 1994-2003 წლებში აღნიშნული საქმის გამოძიების პოლიტიკური ნება არ არსებობდა. ამის გამო ყველა კვალი განადგურდა, რასაც საგამოძიებო და კრიმინალისტიკური თვალსაზრისით გარკვეული შედეგის დადგომისათვის ხელის შეწყობა შეეძლო. მოწმეებისა და უშუალო თვითმხილველების ურთიერთგამომრიცხავი და არსებულ საქმესთან შეუსაბამო ჩვენებები ეფექტური საგამოძიებო მოქმედებების გარეშე უშედეგოა.

— აღსანიშნავია, რომ მომხდარი დანაშაულის უშუალო შემსრულებლებისა და თანამონაწილეების თითქმის ნახევარი ლიკვიდირებული ან გარდაცვლილია. თუ რატომ არ არსებობდა საქმის გამოძიების პოლიტიკური ნება, ამ შეკითხვას პასუხი უპირველესად სახელმწიფოს მეთაურმა, შემდეგ კი პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და მისი ხელისუფლების უმაღლესი რგოლის წარმომადგენლებმა უნდა გასცენ, — აღნიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ.

კომისიის წევრებმა რამდენჯერმე სცადეს შევარდნაძესთან დაკავშირება, მაგრამ ყოფილი პრეზიდენტისგან უარი მიიღეს.

კომისია, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია ედგა სათავეში, 15 თვის განმავლობაში მუშაობდა.

## გაბაშვილს შევარდნაძე გაახსენეს

გიორგი იგივე გოკა გაბაშვილი ოპოზიციას ნერვებს ძალიან უშლის. ცოტა ხნის წინ ოპოზიციონერები შეთანხმდნენ, რომ მის განცხადებებზე ნერვებს აღარ მოიშლიდნენ. მათი აზრით, გაბაშვილის განცხადებების კომენტირება უკვე არასერიოზული თემა გახდა.



არასერიოზულია თუ სერიოზულია კომენტირება, ეს მათი საქმეა, მაგრამ გაბაშვილმა ბოლო დროს ძალიან შეუბერა ოპოზიციას. მისი განცხადებით, ოპოზიცია შეურაცხადია, რუსეთთან შეკრული და ქვეყნის დამაქცევარია.

ამას კიდევ არა უშავს. გოკა გაბაშვილი ოპოზიციას შევარდნაძისადმი სიმპათიების გამოჩენის გამო საყვედურობს. ეს ბრალდება ეკა ხერხეულიძემ რომ ვინმეს წაუყენოს, გასაკვირი არაა. აი, გოკა გაბაშვილისგან კი ასეთი რამის თქმა, ცოტა არ იყოს, უხერხულია.

მას შეიძლება აღარ ახსოვს, მაგრამ ერს ახსოვს, რა ახლო ურთიერთობა ჰქონდა მამამისს ედუარდთან. ის ჯერ თბილისის მერი იყო, მერე კი გერმანიაში გაუშვეს ელჩად.

სხვათა შორის, 2002 წელს კოტე გაბაშვილი შევარდნაძეს დიდ პოლიტიკოსად მოიხსენიებდა და არც მის შვილ გოკას ეჩვენებოდა, რომ ედუარდი ქვეყანას ანგრევდა.

ეს ამბები, როგორც ჩანს, ჯონდი ბაღათურიასაც გაახსენდა. მან პარლამენტის სხდომიდან გაახსენა გაბაშვილს მათი მამა-მარჩენალი შევარდნაძე.

ბაღათურია იმით იყო უკმაყოფილო, რომ პრეზიდენტის პარლამენტში ყოფნის დროს გაბაშვილმა ერთ ოპოზიციონერ დეპუტატს ასლან აბაშიძისა და ბადრი პატარკაციშვილის სურათები აუფრიალა.

როგორც ჩანს, გაბაშვილს მათი პლაკატები ან გულისჯიბით დააქვს, ანდა წინასწარ იცოდა, რას მოიმოქმედებდა ის ოპოზიციონერი დეპუტატი.

## სააკაშვილმა მედვედევი დაამშვიდა



რუსეთი სოჭის ზამთრის ოლიმპიადისთვის გამალებით ემზადება. ამ ღონისძიების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ვლადიმერ პუტინი ამჟღავნებს. ჩვენი პოლიტიკოსები ასეთ დაინტერესებას რამდენიმე მიზეზით ხსნიან.

მათი განმარტებით, რუსეთს უნდა, რომ სოჭში კავკასიური კვალი წაშალოს. ამ ოლიმპიადით რუსეთს უნდა, მთელი მსოფლიო დაარწმუნოს, რომ ეს რუსული მიწაა. არადა, რამდენიმე წლის წინ ეს ადამიანები სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

როცა ცნობილი გახდა, რომ ოლიმპიადა სოჭში უნდა ჩატარებულიყო, ეს რუსებზე მეტად ქართველებს გაეხარდათ. ჩვენი ხელისუფლების პირველმა პირებმა მოსკოვში მისალოცი დეპეშებიც აფრინეს. მტშ-ც (მოკლე ტექსტური შეტყობინება) არ დაიშურეს. თბილისი იმედოვნებდა, რომ რუსეთი ამ ოლიმპიადის ხათრით აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას დათანხმდებოდა.

ეს აგვისტოს ომამდე იყო. აგვისტოს ომის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა და ახლა ჩვენი ხელისუფლება გამუდმებით იმას ამტკიცებს, რომ სოჭში ოლიმპიადა არ უნდა ჩატარდეს. ჩვენი კდემამოსილი ნაციონალების აზრით, აგრესორი რუსეთი ოლიმპიადის ჩატარების უფლებას არ იმსახურებს.

მოსკოვი აქამდე ამ განცხადებებზე არ რეაგირებდა. ამ რამდენიმე დღის წინ კი დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, სოჭის ოლიმპიადას საქართველოდან ემუქრება საფრთხეო.

როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, მედვედევს კობა ხაბაზის ძველი ინტერვიუ ჩავარდნია ხელში. ეს ინტერვიუ ხაბაზმა მედიას აგვისტოს ომის შემდეგ მისცა, სადაც ერი დაამშვიდა, რაც ახლა წაგვართვეს, იმას ხომ დავიბრუნებთ და დავიბრუნებთ, „პახოდუ“ სოჭსაც დავიბრუნებთო.

იმ ომიანობის დროს მედვედევს ამ ინტერვიუსთვის არ სცალოდა. ახლა წაიკითხა თუ არა, ერთი ამბავი ატეხა.

განერვიულებული მედვედევის დაწყნარება ჩვენმა პრეზიდენტმა სცადა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, სოჭის ზამთრის ოლიმპიადისათვის საფრთხის შექმნა არა თუ არ შედის საქართველოს გეგმებში, არამედ ამის გაკეთება მის ძალებს საერთოდ აღემატება.

როგორც პრეზიდენტმა „პირველი კავკასიური არხისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ფიზიკური თვალსაზრისით საქართველო სოჭის ოლიმპიადისათვის ნულოვან საფრთხეს წარმოადგენს.

— მეტიც, თავის დროზე, როდესაც ამ ოლიმპიადის ჩატარება გადაწყდა, ჩვენ პოლიტიკურ დონეზე ღიად მხარი დავუჭირეთ ოლიმპიადის სწორედ სოჭში ჩატარებას. მე მიმაჩნდა, რომ ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემდა თავიდან აგვეცილებინა ისეთი ნეგატიური ტენდენციები, როგორებიც უკვე ცხადი იყო აფხაზეთთან, ანუ ჩვენს ტერიტორიასთან მიმართებაში, — განაცხადა სააკაშვილმა.

## ავღანეთში კიდევ ერთი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა

ამ კვირაში საქართველოს პარლამენტი ავღანეთში სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდაზე მსჯელობდა. კონტინგენტის გაზრდის ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი მიუნხენის კონფერენციაზე გამოვიდა.



ჩვენი ნაციონალებისთვის პრეზიდენტის სიტყვა კანონია და უპრობლემოდ დაუჭირეს მხარი სამშვიდობო კონტინგენტის რიცხოვნების გაზრდას. აღსანიშნავია, რომ დეპუტატები ამ თემაზე იმ დღეს მსჯელობდნენ, როცა ავღანეთში ქართველი სამხედრო დაიღუპა.

უბედური შემთხვევა ნაღმის აფეთქებას მოჰყვა. აფეთქების შედეგად გიორგი ავალიანი ადგილზე დაიღუპა. ნიკოლოზ დეისაძე და ედნარ აბულაძე კი დაიჭრნენ. დაჭრილები სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობენ. ისინი ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდნენ.

ავღანეთში მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევამ ოპოზიციის აღშფოთება გამოიწვია. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართველი სამხედროები ავღანეთში არ უნდა მსახურობდნენ. მეორე ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს. მათ მიაჩნიათ, რომ ავღანეთსა და ერაყში სამსახური ჩვენებურებს გამოადგებათ.

## ვინ დანაღმა „იმედი“



ამ კვირაში ტელეკომპანია „იმედი“ ისევ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ცნობილი გახდა, რომ ტელეკომპანიასთან ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს. ჩვენი სამართალდამცავები იქ მარტივად მივიდნენ. „იმედთან“ მისასვლელი გზები მათ 2007 წლის 7 ნოემბერს კარგად აქვთ შესწავლილი.

განაღმვა მშვიდობიანად დასრულდა. არავინ არ დაზარალებულა. ინციდენტის მეორე დღეს შსს-მ ტელეკომპანია „იმედთან“ აღმოჩენილ ნაღმებთან დაკავშირებით ვიდეომასალა გაავრცელა.

შს სამინისტროს განცხადებით, ტერაქტების ბრალდებით დაკავებული გოგიტა არქანიას მიერ დამატებითი ჩვენების საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ 2010 წლის ოქტომბრის თვეში მან ევგენი ბორისოვისა და მურმან ცხადაიას მითითებით ასაფეთქებელი მოწყობილობა საბრძოლო მდგომარეობაში დადო ტელეკომპანია იმედის ტერიტორიაზე.გამოძიების შედეგად ბრალდებულის მიერ მითითებულ ადგილზე ნანახი იქნა აღნიშნული ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის განაღმვის სამმართველოს მიერ იქნა გაუვნებელყოფილი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ზალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ხელისუფლება დენთის კასრზე ზის

ნონა ცაბა ე

## სააკაშვილის მოსვლამდე მედია თავისუფალი იყო



### ინტერვიუ ექსპერტ ირაკლი სესიაშვილთან

***— ბატონო ირაკლი, ოპოზიციის ლიდერებისგან საკმაოდ ხშირად ისმის, რომ რევოლუციის გარეშე არაფერი შეიცვლება, ისე სააკაშვილს ვერ მოვერევითო... როგორი იქნება თქვენი შეფასებები?***

— რევოლუციასაც თავისი ფორმები აქვს. თუ ამ საკითხს ჩავუფიქრდებით, ალბათ, სასურველია, იმ ადამიანებისგან ასევე მოვისმინოთ, რას გულისხმობენ რევოლუციაში, რა ფორმები უნდა ჰქონდეს რევოლუციას. რევოლუცია შეიძლება მოხდეს ჩვენში და რევოლუცია შეიძლება მოხდეს ქუჩაში და ძალადობრივი. ასე რომ, ამ ყველაფერს ცოტა მეტი დაკონკრეტება უნდა. რაც შეეხება თვითონ რევოლუციის იდეას და ნაწილობრივ მოწოდებას, ეს ყველაფერი ეფუძნება თავად შექმნილ ვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი სააკაშვილი თითქოსდა დემოკრატიის დროშით მოვიდა და ნამდვილად ჩვენს საზოგადოებაში იყო იმის დაკვეთა, რომ ქვეყანაში რეალურად მომხდარიყო გარდაქმნები, რეალურად დემოკრატიული გამხდარიყო ჩვენი ქვეყანა, იმიტომ რომ თითოეულ ქართველში დევს თავისუფლების გენი, მაგრამ ჩვენ მივიღეთ უარესი, ვიდრე წარმოგვედგინა ან გვყავდა. ხშირად სააკაშვილს უყვარს უარყოფით კონტექსტში მოხსენიება, მაგრამ, ისიც კარგად გვახსოვს, რომ შევარდნაძის დროს ადამიანს თავისუფლად შეეძლო საკუთარი აზრის გამოხატვა. თითქმის ყველა მედიასაშუალება თავისუფალი იყო. მათ შორის ე.წ. პირველი არხიც ხელისუფლების კრიტიკით იყო დაკავებული, რამაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანა რევოლუციამდე. ქვეყანა რევოლუციამდე სწორედ შევარდნაძის დემოკრატიულმა მმართველობამ მიიყვანა. მეც ვიცი, რომ კორუფცია იყო, მეც ვიცი, რომ სოციალურად მძიმე გაჭირვება იყო, მაგრამ, იმაზეც უნდა ვისაუბროთ, რომ რაღაცა იყო კარგი. კარგი კი იყო ის, რომ ადამიანებს სიტყვის თავისუფლება ჰქონდათ. სასამართლო ხელისუფლება კორუმპირებული კი იყო, მაგრამ იმ სასამართლო ხელისუფლებაში რიგით ადამიანს შეიძლება სამართალი ეპოვა და პოლიტიზირებას გაქცეოდა.

***— თქვენი აზრით, რატომ მივდივართ რევოლუციისკენ?***

— მე ვფიქრობ, იმიტომ რომ პროტესტულად განწყობილი საზოგადოება, ოპოზიციური პოლიტიკური ძალები ვერ ხედავენ სხვა გზას. მათ ფაქტობრივად სცადეს ყველა მშვიდობიანი გზა და საშუალება. დავიწყოთ, 2004 წლიდან მოყოლებული რა პროცესები განვითარდა და გავაანალიზოთ. 7 ნოემბერი — ეს იყო სერიოზული პროტესტი, რომელიც უკავშირდებოდა უკანონოდ და სასტიკად დახოცილ ჩვენს მოქალაქეებს, ყმაწვილებს, ბიჭებს. ეს უკავშირდებოდა არჩევნების დროულად, კონსტიტუციურ ვადებში დანიშვნას. თუმცა, ჩვენ მსხვერპლად მივიღეთ ის, რომ სააკაშვილმა დანიშნა არჩევნები, გააყალბა ის და ფაქტობრივად საზოგადოებას მოუსპო გზა, პროტესტით მიეღწიათ რაიმე ცვლილებისთვის ქვეყანაში. ამას მოჰყვა 2008 წლის ორი არჩევნები, რომელიც გაყალბდა და ამ გაყალბების პირობებში სააკაშვილმა ხელში ჩაიგდო 100%-იანი მმართველობა ქვეყანაში. თუ გადახედავთ აღმასრულებელ ხელისუფლებას, საკანონმდებლო ხელისუფლებას და ყველა დანარჩენს, დაინახავთ, რომ ყველგან არის ერთი პოლიტიკური ძალის მიერ მართული ქვეყანა. ყველგან არის ნაციონალური მოძრაობის ძალები, ყველა მმართველ რგოლში, რაც დემოკრატიულ საზოგადოებას არათუ არ ახასიათებს, არამედ მაქსიმალურად ეწინააღმდეგება ასეთ მიდგომას, როდესაც ხდება ძალაუფლების სრული მონოპოლიზაცია. ამიტომ, ცხადია, აქ დემოკრატიზაციაზე ლაპარაკი ზედმეტია.

***— თუმცა სააკაშვილი აცხადებს, რომ ქვეყანა დემოკრატიული გზით მიჰყავს...***

— ამ ვითარებაში სააკაშვილი თავად გახდა სიტუაციის მსხვერპლი. მას უნდა აერჩია გზა, ან დემოკრატიისა და სრული გახსნილობისკენ, ან თავისი მმართველობა უნდა წაეყვანა დიქტატურისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ველარ შეძლებდა ქვეყნის მართვას და ის მუდმივად იქნებოდა საპროტესო კრიზისების მოლოდინში. ამიტომ სააკაშვილმა აირჩია ის, რაც მის ძალაუფლებას წაადგებოდა, ვინაიდან სააკაშვილი თავად არის ძალაუფლებისკენ მსწრაფი პოლიტიკოსი, იმას ვერ წარმოუდგენია ძალაუფლების გარეშე ცხოვრება. გარდა ამისა, მის გარშემო გაჩნდნენ კლანები, რომელთაც ხელი მოითბეს ყვეყნის მმართველობით, იშოვეს ფული, სიმდიდრე, ძალაუფლება, აკეთებენ იმას, რაც უნდათ და პასუხს არავინ სთხოვს, ამიტომ ამის დაკარგვა გაუჭირდებოდა არა მხოლოდ სააკაშვილს, არამედ თითოეულ მათგანს. ამას მოჰყვა 2008 წლის აგვისტოს ომი. ესეც თავისთავად მიანიშნებს, რომ აგვისტოს ომის დროს მიღებული გადაწყვეტილებები ძალაუფლების შენარჩუნებასა და შემოტრიალებას ემსახურებოდა, იმიტომ რომ, თუ სააკაშვილი ტრიუმფით დაასრულებდა ომს ცხინვალში, ის შეიძლება ეროვნულ გმირად ქცეულიყო. მას ყველა მანამდე ჩადენილ დანაშაულს თუ გადაცდომას აპატიებდა ქართველი ხალხი იმ იმედით, რომ ოსეთს აფხაზეთი მოჰყვებოდა და ეს ამაზეც იყო გათვლილი. 2009 წლის საპროტესტო აქციებმა კი საბოლოოდ, მე ვფიქრობ, ოპოზიცია მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ არანაირი პროტესტით, არანაირი დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნით და არანაირი დასავლეთის ჩარევით ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმი ვერ შეიცვლება.

***— რა გზა რჩება?***

— ამიტომ, ერთადერთი გზა რევოლუციური ტალღით ხელისუფლების შეცვლაა, რაც, რა თქმა უნდა, სერიოზულ რისკებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ერთია, რომ დღეს ქვეყანა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაშია, ხელისუფლებას არა აქვს არანაირი რესურსი, რომ ქვეყანა ამ კრიზისიდან გამოიყვანოს. ყველანაირი რესურსი ამოწურულია, ბიზნესმენები, რომლებმაც უნდა შექმნან ქვეყნის ეკონომიკა, ან არიან კლანის ქვეშ და თავისთავად ამ კლანს არ უნდა ფულის მაქსიმალურად გამოჩენა, ან არიან დაშინებულნი და დატერორებულნი, რის გამოც მათ არ სურთ ბიზნესის ამ ქვეყანაში შემდგომი განვითარება. დოვლათი ვერ იქმნება. დოვლათი თუ ვერ იქმნება, ცხადია, ქვეყანა მუდმივ კრიზისში იქნება. ხელისუფლების მადა კი მუდმივად იზრდება. იმ ძალას, რომელსაც ხელთ აქვს ძალაუფლება, არ ჰყოფნის გუშინდელი კვერცხი და მას უნდა დღევანდელი ქათამიც. ხანდახან ხუმრობით ვამბობ ხოლმე, ჯობია სააკაშვილმა გამოაცხადოს, რომ ის არის დიქტატორი მმართველი და ჩვენ ვითარებას უფრო სალი თვალით შევხედავთ, ვიდრე იძახოს დემოკრატია, დემოკრატიაო და ქვეყანა რეალურად დიქტატურისკენ მიჰყავდეს. ასეთ ვითარებაში, როდესაც პოლიტიკურ ძალას არა აქვს არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობა, პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც არა აქვთ ხელმისაწვდომობა მედიასაშუალებებზე. ოპოზიციას, რომელსაც არა აქვს საშუალება, რომ ბიზნესი დააინტერესოს და ბიზნესმა ფული ჩადოს პოლიტიკურ ძალებში, იმიტომ რომ ნებისმიერი ბიზნესმენი, რომელიც ფულს ჩადებს ოპოზიციურ ძალებში, თავიდანვე იცის, რომ განწირულია. პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც არა აქვთ საშუალება, მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის მართვაში იმ დოზით, რა დოზითაც მათ ხალხი მხარს უჭერს, ოპოზიცია ვერ იღებს მონაწილეობას ქვეყნის მართვაში. ამიტომ მათ ეს ყველაფერი უბიძგებს რევოლუციისკენ. თუ ეს რევოლუცია დაიწყება და სააკაშვილი კვლავ გამოვა და იტყვის, რომ აი პოლიტიკური ძალები, რომლებიც რუსეთისგან იმართება, რათა ქვეყანაში არეულობა მოიტანოს. არეულობის ავტორი და ბიძგის მიმცემი იქნება თავად სააკაშვილი, იმიტომ რომ სააკაშვილმა შექმნა ის გარემო, დაატერორა მოქალაქეები, უდანაშაულო ადამიანები დღეს ციხეში სხედან, მათ შორის პოლიტიკური ნიშნით. ცხადია, როდესაც ყველა გზას მოუჭრი იმავე პოლიტიკურ ძალებს თუ საზოგადოებას, მას არაფერი დარჩენია ქვის სროლის გარდა.

***— მერე, როგორ დამთავრდება ქვის სროლა?***

— ეს ქვის სროლა ძალიან ცუდად დამთავრდება. თუ ჩვენ ეგვიპტეში სურათი გვქონდა, რომ მუბარაქი ყელში ჰყავდა ხალხს ამოყვანილი, 82 წელს იყო მიღწეული და ადრე თუ გვიან მისი საკითხი გადაწყვეტადი იყო, აქ ვითარება სხვაგვარია, მთელი ძალაუფლება, მთელი ნადავლი ხელთ უპყრია ახალგაზრდა თაობას, სააკაშვილის კლანებს, ამიტომ ამ შემთხვევაში ეს ახალგაზრდები საკუთარ ძალაუფლებასა და მონაპოვარს უფრო მეტი მოტივაციით დაიცავენ და ხშირ შემთხვევაში ეს შეიძლება არც ისე კარგი ფორმები იყოს.

***— დღეს სააკაშვილი თავისივე გუნდის ტყვეობაშიაო...***

— ეს ახალი არ არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკისთვის. ნებისმიერი ლიდერი, რომელიც ძალაუფლების უზურპაციით არის დაკავებული და ამ ძალაუფლებას ანაწილებს მხოლოდ პატარა წრეში, ეს წრე ძალაუფლებასა და ფულს შოულობს ამ ერთობით, შემდგომ უკვე ძნელია, მხოლოდ ერთმა პირმა მიიღოს გადაწყვეტილება, რადგან ამ ერთი პირის გადაწყვეტილების უკან რამდენიმე კლანის ბედია. სააკაშვილმა რომ დაიხუროს ქუდი და თქვას, მე წავედიო, ან თქვას, იცით, ხვალ უნდა დემოკრატია იყოს ქვეყანაშიო, ცხადია, საფრთხე დაემუქრება არა მხოლოდ სააკაშვილს, არამედ ყველა იმ კლანს, რომელიც ამ წლების მანძილზე ქვეყნის ტერორით იყო დაკავებული. ასე რომ, ის, რა სიტუაციაც გვაქვს და გვინდა თუ არა მივდივართ რევოლუციისკენ, რაზეც ფიქრობენ ოპოზიციონერები, სამწუხაროდ, ლოგიკური შედეგია. ეს შედეგი გამომდინარეობს არა ოპოზიციური ძალების სურვილიდან, რომ რევოლუციური ფორმებით მოხდეს ხელისუფლების განდევნა, არამედ სააკაშვილმა ფაქტობრივად უბიძგა საზოგადოებას და ხალხს, რომ ქვეყანაში ცვლილება განხორციელდეს ამ გზით. მთავარია, ამ რევოლუციას რა ფორმა ექნება. ის ფორმა, რაც ჩვენ ვიხილეთ ეგვიპტეში, ტუნისში და კვლავაც გრძელდება ამ კონტინენტზე, ვფიქრობ, არ არის ერთადერთი ფორმა და შეიძლება რევოლუცია იყოს სხვაგვარიც. განსხვავებით ეგვიპტისა და ტუნისისგან, საქართველოში ერთი ადამიანიც რომ მოკვდეს ამ საპროტესტო აქციების დროს, უბრალოდ, ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეძლებს ძალაუფლებაში დარჩენას მშვიდად. საქართველო პატარა ქვეყანაა, ყველა ყველას იცნობს და ერთი ადამიანის სიკვდილი იწვევს შურისძიების გაღვივებას ძალიან ფართო წრეში. ამიტომ, თუ ვინმე რევოლუციაზე ფიქრობს და რევოლუციას ელის, სასურველია, ამ რევოლუციას ჰქონდეს სხვა ფორმა და ამ ფორმას სწორად უნდა შეეგუოს ხელისუფლება. ჩვენს ხელისუფლებას, იმის გათვალისწინებით, რომ ის არის ახალგაზრდა ადამიანებით დაკომპლექტებული, მუდმივად აქვს იმის განცდა, რომ ყველაფერი მათ სასიკეთოდ დამთავრდება, რაც არის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა იმისათვის, რომ ხელისუფლებამ დროზე ადრე აიცილოს თავიდან კრიზისი და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება მანამ, სანამ ურემი გადაბრუნდება.

***— ბევრს საუბრობენ იმაზეც, რომ სააკაშვილი უსისხლოდ არ დათმობს...***

— მე გითხარით, რატომ ვერ დათმობს. ვერ დათმობს იმიტომ, რომ კარგად ხვდებით, აქ საქმე გვაქვს ახალგაზრდა მმართველებთან, რომლებსაც ჯერ კიდევ წინ აქვთ ცხოვრება. მათ თუ დათმეს ხელისუფლება, ძალიან ბევრ მათგანს მოუწევს ქვეყნის დატოვება და მათთვის ეს ძალიან რთული და მტკივნეულია, მით უმეტეს დიდი ქონება აქვთ დაგროვებული. შეჩვეული არიან კომფორტულ ცხოვრებას. უფრო ზუსტად, ახალგაზრდებთან მიმართებით ვიტყოდი, რომ შეჩვეული არიან „გულაობას" და ამ „გულაობას" ასე მარტივად ვერ დათმობენ, თავისთავად ცხადია. ამიტომ, თუ სააკაშვილი არ გაისვრის, სხვა გაისვრის. ეს არ არის ის სიტუაცია, რომელსაც ყველა უჩუმრად ემორჩილება.

***— მათი მხრიდან ხშირად ისმის, რომ ჩვენთან რევოლუცია უკვე იყო 2003-ში, ამან ჩაიარა და ეს პროცესები გვერდს აგვივლისო. რამდენად უნდა იყვნენ დაიმედებულნი?***

— ჩვენს ხელისუფლებას ჰგონია, რომ ყველაფერი ყოველთვის მათ სასიკეთოდ დასრულდება. ეს არის ახალგაზრდა ხელისუფლება, რომელსაც მუდმივად აქვს პოზიტიური მოლოდინის იმედი. ეს დამახასიათებელია მათთვის. მათ ჰგონიათ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ყველაფერი დასრულდება მათ სასიკეთოდ, რაც, ჩემი აზრით, დამღუპველია. ნებისმიერი ანალიტიკოსი, რომელიც საფრთხეების შეფასებაზე მუშაობს, ყოველთვის აანალიზებს ყველაზე ცუდ სცენარს. ჩვენთან პირიქით ხდება, ჩვენი ხელისუფლება აანალიზებს ყოველთვის მხოლოდ კარგს სცენარს, რომელიც მისთვის კარგად დასრულდება. 2008 წლის აგვისტოს ომში განცდილი მარცხი სწორედ ამ განცდას ემყარებოდა და სწორედ ამიტომ განვიცადეთ ასეთი მძიმე მარცხი. ჩვენს ხელისუფლებას ეგონა, რომ ყველა მოვლენა განვითარდებოდა ისე, როგორც მათ აწყობდათ. ასე არ მოხდა და მათთვის ეს იყო შოკი. ეს შოკი კიდევ უფრო გაიზრდება, თუკი ხელისუფლება კვლავაც იმ იმედით იქნება, რომ დენთის კასრი მათ ტერიტორიაზე არ აფეთქდება.

დაიწყეთ ახალი დღე
„ახალ ქართულ პროზასთან" ერთად!
ყოველი ორშაბათიდან ჟურნალ
„გზებათთან" ერთად შეიძინეთ
„ახალი ქართული პროზის" ახალი ტომი
21 თებერვლიდან გაიყიდება
მე-9 ტომი




ჟურნალი წიგნთან ერთად
3 ლარი ღირს

# იარაღს სულ თან ვატარებ

ნანა მიშელაშვილი

**პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია ამბობს, რომ სტუდენტობის პირველი წელი აფხაზეთში ტკბილ მოგონებებთან არის დაკავშირებული, შემდეგ ომი დაიწყო და ყველაფერი აირია.**

პაატა დავითაია არც იმას მალავს, რომ თავად მკაცრი ლექტორია და მასთან კარგი ნიშნის მიღება მარტივი არ არის. რა ქალურ ეშმაკობებს მიმართავდნენ სტუდენტები, რატომ წაუვიდა გული გამოცდაზე სტუდენტ გოგონას და რატომ არ აპირებს დუეტის ჩაწერას?

**„ახალი თაობა“ პაატა დავითაიას ესაუბრა.**

***— საიდან ხართ დავითაიები?***

— აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოდან. ამ სოფელში ცხოვრობენ დავითაიები, ჟვანიები და ნადარეიშვილები.

***— აფხაზეთში როგორ მოხვდით?***

— ბაბუაჩემი ბავშვი იყო, როდესაც მშობლებმა გულრიფშის რაიონში გადაიყვანეს. აფხაზეთში მაინცდამაინც ბევრი დავითაია არ ცხოვრობდა, რამდენიმე ათეული ოჯახი იყო.

***— საგვარეულო შეკრება თუ გაქვთ?***

— კი, ორი-სამი წლის წინ გვქონდა საგვარეულო შეკრება.

***— სკოლა სად დაამთავრეთ?***

— გულრიფშში. ბავშვობაში გულრიფშის რაიონის ტერიტორია არ დამიტოვებია, 13 წლის რომ ვიყავი, ერთი თვით არტეკში ვიყავი. 19 წლამდე სულ გულრიფშში ვცხოვრობდი, შემდეგ თბილისში აღმოვჩნდი.

***— როგორი ბავშვი იყავით?***

— მაინცდამაინც ცელქი ბავშვი არ ვიყავი, მაგრამ ჯახი იყო.

***— საგვარეულო შეკრება თუ გაქვთ?***

— კი, ორი-სამი წლის წინ გვქონდა საგვარეულო შეკრება.

***— სკოლა სად დაამთავრეთ?***

— გულრიფშში. ბავშვობაში გულრიფშის რაიონის ტერიტორია არ დამიტოვებია, 13 წლის რომ ვიყავი, ერთი თვით არტეკში ვიყავი. 19 წლამდე სულ გულრიფშში ვცხოვრობდი, შემდეგ თბილისში აღმოვჩნდი.

***— როგორი ბავშვი იყავით?***

— მაინცდამაინც ცელქი ბავშვი არ ვიყავი.

***— ორიანი მიგიღიათ?***

— არა.

***— რომელი საგანი არ გიყვარდათ?***

— რომელიმე საგნის მიმართ ანტიპათია არ მქონია, თუმცა, უფრო ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა. მათემატიკა მაინცდამაინც არ მიყვარდა. ერთი პერიოდი მათემატიკაშიც ვემზადებოდი.

***— „შატალოზე“ ძირითადად სად მიდიოდით?***

— სოხუმში, აგუძერაში, ზღვაზე. სოხუმში ძირითადად კინოში მივდიოდით. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ დირექტორს არ დავენახეთ. სოხუმის ბულვარზე გავდიოდით, კარგ ხაჭაპურებს აკეთებდნენ და იმას მივირთმევდით. ბოლოს მახსოვს, ანდროპოვის დროს, ძალიან მკაცრი კონტროლი იყო, კინოში თუ იჯექი, სინათლეს აანთებდნენ და გამოგიყვანდნენ, რა გინდა სკოლის პერიოდში კინოშიო.

***— ბავშვობაში თავგატეხილი ყოფილხართ?***

— არა.

***— ფეხმოტეხილი ან ხელმოტეხილი?***

— არა.

***— არტეკში ყოფნის პერიოდს როგორ გაიხსენებთ?***

— არტეკში 1987 წელს ვიყავი. იქ დაახლოებით 10 ათასი მოსწავლე იყო. არტეკში რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. ასეთი სამხედრო თამაში იყო — „ზარნიცა“. ერთხელ პილოტკა მაცვია და ამ თამაშს ვხელმძღვანელობ. 1987 წელია, რუსეთ-ამერიკის დათბობის პერიოდი და ამერიკის გადამღები ჯგუფია ჩამოსული. ბავშვები არიან მოწყობილი. მოდის ამერიკელი ჟურნალისტი და მეკითხება: საიდან ხართ? მე ვუთხარი - საქართველოდან, აფხაზეთიდან. მკითხეს, სად ცხოვრობ? ვუთხარი, რომ გულრიფშის რაიონში ვცხოვრობ. მეტი არაფერი უკითხავთ. ერთ კვირაში მოსკოვიდან კომისია ჩამოდის და მეუბნებიან, რომ არტეკის საბჭოს თავმჯდომარეობიდან უნდა გადავდგე. ვიკითხე — რა მოხდა? მითხრეს, რომ ამერიკაში გავიდა გადაცემა, სადაც ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირში არის ბავშვთა გასამხედროებული ბანაკი — არტეკი, რომელიც დააარსა ლავრენტი ბერიამ და დღეს ამ ბანაკს სათავეში უდგას ლავრენტი ბერიას თანასოფლელი პაატა დავითაია. ამის გამო მომიწია საბჭოს თავმჯდომარეობის დატოვება.

***— სტუდენტობის პერიოდს რაც შეეხება, სად სწავლობდით?***

— აფხაზეთში იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. სტუდენტობის პირველი წელი ძალიან ლაღი მქონდა, მერე დაიწყო ომი და თბილისში დავამთავრე უნივერსიტეტი. ფაქტიურად, სტუდენტობა თბილისში არ მქონია. სოხუმში სტუდენტობის პირველი წელი ძალიან კარგ მოგონებებთან არის დაკავშირებული. ჩვენს კურსს გემიც კი ჰყავდა, ზღვაში დელფინებთან გავდიოდით, იქ ვბანაობდით, ორი-სამი დღით სუფრა იყო გაშლილი და ვერთობოდით. ასეთი ბედნიური სტუდენტობა მხოლოდ ერთი წელი გაგრძელდა, შემდეგ ომის საშინელებამ დაიწყო.

***— უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლექციების კითხვა დაიწყეთ?***

— სოხუმის ფილიალში 10 წელი ვკითხულობდი ლექციებს, მერე — თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახლა — თბილისის სახელმწიფო უნივერსტიტეტში. 1995 წლიდან ლექციებს ვკითხულობ.

***— რამდენი წლის იყავით, როდესაც, როგორც ლექტორი, აუდიტორიაში შეხვედით?***

— 22 წლის.

***— კარგი ნიშნის მისაღებად სტუდენტები სხვადასხვა მეთოდს იგონებენ. ასეთ მეთოდებს თქვენთან თუ მიმართავდნენ?***

— კი, ძალიან ბევრი ასეთი ფაქტი იყო.

***— მკაცრი ლექტორი ხართ?***

— კი, ძალიან მკაცრი ლექტორი ვიყავი, ჩემთან ძალიან ჭირდა ნიშნის მიღება.

***— „ჩაწყობა“ არ ჭრიდა?***

— არა, „ჩაწყობა“ არ ჭრიდა. ყოველთვის ასე იყო, რომელ სტუდენტზეც ახლობლები მთხოვდნენ, სწორედ მას ვთხოვდი ძალიან მკაცრად, ვისზეც არ მთხოვდნენ, მას პრობლემა არ ჰქონდა. მაგალითად, ჩემი ცოლი როდესაც გამოცდას აბარებდა, მე კომისიის თავმჯდომარე ვიყავი და საგანი ძალიან მკაცრად მოვთხოვე. სახელმწიფო გამოცდა ჰქონდა და წინასწარ მითხრა, ბილეთი მომეციო. მე ვუთხარი, რომ ბილეთს არ მივცემდი, ეს გამორიცხული იყო. მერე ბებიამისი მომიყვანა, ჩემს შვილიშვილს რატომ ჩაგრავო? მაინც არ მივეცი ბილეთი, იმიტომ რომ ჩემი მეუღლე მართლა კარგად სწავლობდა და არ მინდოდა, სალაპარაკო გამხდარიყო, რომ ქმარმა ცოლს მაღალი ნიშანი დაუწერა. წერითი გამოცდა იყო, ბევრმა ორიანი მიიღო, ჩემმა მეუღლემ მაღალი ნიშანი მიიღო. მაინც წავიდა საუბარი, რომ დავითაიამ ცოლს მაღალი ნიშანი დაუწერა. კომისია მოვითხოვე, თავიდან ჩააბარა და უპრობლემოდ მიიღო ხუთიანი. ამიტომ არ მივეცი ბილეთი, ვიცოდი, რაც მოხდებოდა, თანაც ცოდნა ყოველთვის საჭიროა.

***— სტუდენტი გოგონები ნიშნის მისაღებად ქალური მომხიბვლელობის რაიმე მეთოდს თუ მიმართავდნენ?***

— რა ვიცი...

***— გავიგე, რომ ერთმა სტუდენტმა გოგონამ სიყვარული აგიხსნათ. მართალია?***

— ერთმა სტუდენტმა ჩემთან ხუთიანი ისე მიიღო, რომ გამოცდა ვერ ჩამაბარა. ეს გოგონა მერხთან როდესაც იჯდა, ადგილიდან სხვას ძალიან მაგრად კარნახობდა. როდესაც გამოვიძახებდი, გოგონა ჩუმდებოდა, საერთოდ ხმას ვერ იღებდა. კარგად ვიყავი ამ გოგონას მიმართ განწყობილი, რადგან ვხედავდი, რომ საგანი კარგად იცოდა. გამოცდის დროს ამ გოგონამ მითხრა, თქვენ რომ გიყურებთ, ველარ ვყვებიო. როგორ მოვიქცე, გავიდე თუ რა ვქნა-მეთქი? ძალიან მკაცრად ვუთხარი, ასე არ შეიძლება, საგანი უნდა ჩამაბარომეთქი და ხმას ავუწიე. უცებ გოგონამ გრძნობა დაკარგა და გამოცდაზე დაეცა. ძალიან შევწუხდი. მერე მითხრეს სტუდენტებმა, რომ ამ გოგონას ვუყვარდი. საგანი იცოდა, ამიტომ ხუთიანი დავუწერე, თანაც ყველა სხვა საგანშიც ხუთიანი ჰყავდა.

***— რამდენი წლის იყავით, ეს ამბავი როდესაც მოხდა?***

— 23 წლის ვიყავი.

***— ასეთი შემთხვევები სხვაც იყო?***

— კი.

***— კიდევ რა მეთოდებს მიმართავდნენ სტუდენტი გოგონები?***

— ბევრ მეთოდს მიმართავდნენ.

***— მაინც?***

— ოთხმა სტუდენტმა სიყვარული ამიხსნა.

***— ეს ნიშნის დაწერამდე ხდებოდა თუ ნიშნის დაწერის შემდეგ?***

— ყველა ნიშნის დაწერის შემდეგ მოხდა. ერთი გოგონა გამოცდაზე ბოლო დარჩა, ჩამაბარა, მაღალი ნიშანი მიიღო, მაგრამ არ გადიოდა. დავემშვიდობე, მაგრამ არ გავიდა. კიდევ დავემშვიდობე, მაგრამ მაინც არ გადიოდა. რატომ არ მიდიხარ-მეთქი? მითხრა, ძალიან განვიცდი, თქვენ ველარ გნახავთ, ამ უნივერსიტეტში როგორ ვიაროო და ასეთი რაღაცები თქვა. ავუხსენი, რომ ასე არ შეიძლებოდა.

***— თქვენი მეუღლე არ ეჭვიანობს, როდესაც სტუდენტების მხრიდან მსგავს ფაქტებს იგებს?***

— მეუღლემ რატომ უნდა იეჭვიანოს? ეჭვიანი არ არის.

***— რაც შეეხება თქვენს შვილს, რამდენი წლის არის?***

— ოთო 13 წლისაა.

***— მამასთან უფრო ახლოს არის თუ დედასთან?***

— ორივესთან.

***— პირად საიდუმლოებებს ვის უფრო უყვება?***

— გააჩნია, გარკვეულ საიდუმლოებებს მე მიყვება, ზოგს — დედას.

***— შეყვარებულებზე თქვენ გიყვებათ თუ დედას?***

— მე.

***— მერე, რჩევებს აძლევთ?***

— კი.

***— გიჯერებთ თუ არა?***

— მიჯერებს.

***— გოგონას გამო ოთოს ვინმესთან ჩხუბი მოსვლია?***

— არა, არ გამიგია, რომ ვინმესთან ჩხუბი ჰქონოდა. ისეთი ტიპია, რომ არ აჩვენებს, როდესაც უყვარს, თავშეკავებულია, თუმცა, მე მეუბნება, ვინ მოსწონს.

***— ოთოს ბევრი შეყვარებული ჰყავდა?***

— ბოლო დროს შემაშინა ფეისბუქმა, რადგან ისეთ გოგონებთან აქვს მიმოწერა, რომ...

***— რატომ შეგეშინდათ?***

— 20-25 წლის გოგონებთან აქვს მიმოწერა. ან ისინი როგორ სწერენ 13 წლის ბიჭს, არ ვიცი.

***— ასაკი ხომ არა აქვს აწეული?***

— კი, ოთოს ასაკი აქვს აწეული, 18 წელი უწერია.

***— ხასიათით ოთო მამას უფრო ჰგავს თუ დედას?***

— უფრო მე მგავს. გარკვეულწილად, დედის ხასიათებიც აქვს, მაგრამ უფრო მე მგავს.

***— ოთომ მეგრული იცის?***

— არა, ჯერ არ იცის.

***— თქვენზე ამბობენ, რომ მაინცდამაინც კარგად არ იცით მეგრული...***

— მეგრული კარგად მესმის, ვლაპარაკობ, თუმცა, თავისუფლად ვერა. 5-10 წინადადებაზე მეტს გადაბმულად ვერ ვიტყვი. ვცდილობ, რომ რაც მე ვიცი, ოთოს ვასწავლო. მინდა, მეგრული იცოდეს, ბაბუამისი ასწავლის.

***— მეგრული სამზარეულო მოგწონთ?***

— რა თქმა უნდა.

***— თავად შეგიძლიათ რომელიმე კერძის მომზადება?***

— არასდროს გამიკეთებია, თუმცა, ბოლო ხანს დავიწყე რაღაცების მომზადება.

***— რის მომზადება იცით?***

— სპეციალურად ვიყიდე ქვა, რომელსაც სპირალები აქვს და მასზე ვამზადებ ხორცს, თევზს. თევზს ან სოკოს ვიღებ, ბულგარულსა და ბოსტნეულს ვაჭრი და ვწვავ. ერთი კვირის წინ მეგობრები მყავდა და ამით გავუმასპინძლდი, ყველა შოკირებული დარჩა, ისე მოეწონათ. ვერ წარმოიდგენდნენ, რომ რაიმეს მომზადება შემეძლო. ხომ იცით, ამას რატომ ვაკეთებ-მეთქი? რატომო? ვუთხარი, „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაში ვარ მიწვეული, საჭმელი უნდა მოვამზადო-მეთქი. მეორე დღეს ჩემი მეგობრები „რუსთავი 2“-ს უყურებდნენ, წინსაფრით როგორ მოვამზადებდი სადილებს.

***— მოატყუეთ?***

— აბა, რა...

***— ცომეულის მომზადებაც შეგიძლიათ?***

— არა. ბოლო ხანს სიამოვნებას მანიჭებს, როდესაც ხორცეულს ან თევზეულს ვამზადებ. ძალიან მიყვარს სამზარეულოს ტექნიკა. ყველაზე მეტად ის მაღაზია მიყვარს, სადაც სამზარეულოს ტექნიკა იყიდება.

***— თქვენი მომზადებული სადილით არავინ მოწამლულა?***

— არა, არა.

***— სასმელთან დაკავშირებით რას იტყვით?***

— მაინცდამაინც დალევა არ მიყვარს, მაგრამ, თუ კარგ ხასიათზე ვარ, შემიძლია, ძალიან დიდი რაოდენობით დავლიო.

***— ძალიან დიდი ოდენობა რამდენი ლიტრი ღვინოა?***

— 7 ლიტრს გადავაცილებ, მაგრამ ეს ორ წელიწადში ერთხელ ხდება. ჩემი მეგობრები მეუბნებიან, რომ კარგად შენახული ორგანიზმი გაქვს და ამიტომაც ზოგჯერ კარგად ვსვამ.

***— ყოფილა შემთხვევა, რომ ისე დამთვრალხართ, მეორე დღეს არ გხსომებიათ, რა მოხდა წინა დღეს?***

— არასოდეს! 16 წლის ვიყავი, მეგობრებთან ერთად პორტვეინი ისე დავლიე, რომ ლამის გავითიშე. მაშინ მივეცი ჩემს თავს სიტყვა, რომ არასოდეს დავლევ ისე, გავითიშო და სიტუაცია ვერ ვაკონტროლო.

***— საკუთარი თავისთვის მიცემულ პირობას დღემდე ასრულებთ?***

— კი, ასეა.

***— როგორი თამადა ხართ?***

— ამბობენ, რომ კარგი.

***— მკაცრი თამადა ხართ?***

— არა. ვცდილობ, ისეთი თამადა ვიყო, რომ სუფრის წევრები დავაინტერესო და უბრალოდ არ ვილაპარაკო.

***— მუსიკასთან როგორ ხართ?***

— სუსტად.

***— რატომ? მუსიკალური განათლება არა გაქვთ?***

— მუსიკალურ სკოლაში დავდიოდი, მესამე კლასამდე ვიარე, კარგი სმენა მქონდა, ოღონდ ხმა არ მივარგოდა.

***— რატომ გამოხვედით?***

— არ მინდოდა. მახსოვს, როდესაც მუსიკიდან გამოვედი, ყველა მეუბნებოდა, რატომ მიატოვე, ნახე, როგორ ინანებო. დღემდე არ მინანია.

***— სუფრასთან სიმღერას ვერ აჰყვებით?***

— შეიძლება, ავყვე, მაგრამ ამას იშვიათად ვაკეთებ.

***— საახალწლოდ „ვანოს შოუში“ ხათუნა გოგორიშვილთან ერთად დუეტში იმღერეთ. გაგიჭირდათ?***

— ძალიან გამიჭირდა, არასდროს მიმღერია.

***— ივარჯიშეთ?***

— ერთი დღე ვარჯიში თუ არის, ვივარჯიშე.

***— ისე, დუეტს ხომ არ ჩაწერდით რომელიმე მომღერალთან?***

— არანაირი პრობლემა არ არის...

***— შემოთავაზება ხომ არ გქონიათ?***

— მქონდა ერთ-ერთი ცნობილი მომღერლისგან.

***— მერე, უარი თქვით?***

— კი, რომელი მომღერალი მე ვარ, რომ დუეტი ჩავწერო!

***— რაიმე ნივთი თუ არის, რომელსაც სულ ატარებთ?***

— კი, ცეცხლსასროლი იარაღი. ეს, როგორც ჩემი სხეულის ნაწილი, ისეა.



**რამდენი ლიტრი ღვინის დალევა შეუ ლია პაატა დავითაიას**

# ჩეჩნებმა გამსახურდიას ცხედართან მიახლოების უფლება არ მოგვცეს

## რა სკანდალი მოაწყო იანდარბიევმა სენაკის აეროდრომზე

თეა მარხვაი ე

**პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების შემსწავლელმა კომისიამ მუშაობა დაასრულა. კომისიის ანგარიში პარლამენტს ამ კვირაში წარედგინა. კომისიის თავმჯდომარე კოკო გამსახურდია ხელს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისკენ იშვერს. ის გამოძიების ხელახლა ჩატარებასაც ითხოვს.**

გამოძიების ხელახლა ჩატარებაში აზრს ვერ ხედავს ყოფილი ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი, რომელიც წლების წინ ხელმძღვანელობდა გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების შემსწავლელ კომისიას. მან ამ საქმეში ბევრი რამე იცის. ამის მიუხედავად, მისი დაკითხვა ახალმა კომისიამ არ მოისურვა. ძველი კომისიის მუშაობასა და ახლის დასკვნებზე ავთანდილ მარგიანი „ახალ თაობას" ესაუბრება.

**ავთანდილ მარგიანი:**

— ზვიად გამსახურდიას სიკვდილის ამბავი მოსკოვში გავიგე. თბილისში რომ ჩამოვედი, ედუარდ შევარდნაძეს შევხვდი. მისგან გავიგე, რომ შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელსაც გამსახურდიას სიკვდილის მიზეზები უნდა შეესწავლა. თავდაპირველად ამ კომისიას ირაკლი მენაღარიშვილი ჩაუდგა სათავეში. შევარდნაძემ შემომთავაზა, ამ კომისიისთვის მეხელმძღვანელა.

***— თქვენ რატომ შემოგთავაზათ? ირაკლი მენაღარიშვილი ვერ უძღვებოდა ამ საქმეს კარგად?***

— ირაკლი თავის საქმეს ყოველთვის კარგად აკეთებდა. უბრალოდ, მაშინ სხვა ვითარება იყო. ქვეყანა ორად იყო გაყოფილი. გამსახურდიას მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ისევ სერიოზულად უპირისპირდებოდნენ. მე, მართალია, ხელისუფლებაში ვიყავი, მაგრამ გამსახურდიას მომხრეებთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა. ამიტომაც შემომთავაზა შევარდნაძემ ამ კომისიის თავკაცობა. მე თავპატიჟი აღარ დამიწყია და საქმეს შევუდექით.

***— ვინ შედიოდა ამ კომისიის შემადგენლობაში?***

— მაშინდელი გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, უშიშროების მინისტრის მოადგილე ავთანდილ იოსელიანი. ძალიან აქტიურად გვყავდა ჩართული ცხონებული გურამ შარაძე. აქტიურად მუშაობდნენ თამარ დეკანოსიძე და ვახტანგ ბოჭორიშვილი. ისინი გამსახურდიას ოჯახის ახლობლები იყვნენ. ვიდრე ექსპერტიზას ჩავატარებდით, ჯერ გამსახურდიას ცხედარი უნდა მოგვეძებნა. ამის გარდა, საჭირო იყო ნებართვა ცხედრისთვის ექსპერტიზის ჩატარებაზე.

— ექსპერტიზის ჩატარების უფლებას არ გაძლევდნენ?

— არა. მისი ოჯახი ამის სასტიკი წინააღმდეგ იყო. ასევე წინააღმდეგები იყვნენ ჩეჩნები. სხვათა შორის, გამსახურდიას სიკვდილის შემდეგ აქ ჩამოვიდა ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი. მათ გარკვეული ულტიმატუმი წაგვიყენეს.

— რა ულტიმატუმი?

— მათ გვითხრეს, რომ ცხედარს მხოლოდ იმ შემთხვევაში გვანახვებდნენ, თუ ჩვენ ექსპერტიზას არ ჩავუტარებდით. ერთადერთი, რაზეც ისინი დაგვთანხმდნენ, ცხედრის ვიზუალური დათვალიერება იყო. ჩვენ მივიღეთ მათი პირობები და მათაც გვაჩვენეს ცხედარი. ის ერთ-ერთი მცხოვრების ეზოში იყო დაკრძალული. მეხსიერებაში ჩამრჩა, რომ გამსახურდიას ფეხსაცმელები არ ეცვა. ისინი ცალკე ელაგა კუბოში. გამსახურდიას ცხედარი სენაკში გადმოვასვენეთ, საიდანაც გროზნოში უნდა გადაესვენებინათ. ამისთვის სპეცრეისი იყო გამოყოფილი. პირველი პრეზიდენტის ცხედართან ახლოს არ გვიშვებდნენ.

***— ვინ არ გიშვებდათ?***

— ჩეჩნები.

***— ვინ ეკითხებოდათ ჩეჩნებს?***

— მათ ჰქონდათ გამსახურდიას ნეშტის პატრონობა თავის თავზე აღებული. ჩვენ კომისიის წევრები ვიყავით და, ბუნებრივია, გვაინტერესებდა გამსახურდიასთან დაკავშირებით ყველაფერი. მას აშკარად ეტყობოდა ნატყვიარი. მე ცხონებულ ვახტანგ ბოჭორიშვილს ვუთხარი, იქნებ თითით მოგესინჯათ, არის თუ არა მართლა ნატყვიარი-მეთქი. ვახტანგი ცხედართან ახლოს მივიდა. ის-ის იყო, თითი უნდა დაედო ნატყვიარზე, რომ ხელში ეცა იანდარბიევი. ამას როგორ ვაპატიებდი. მე ვეცი იანდარბიევს. მიხვდა, რომ ვერ მომერეოდა და ვახტანგს ხელი გაუშვა. ეს ინციდენტი უმტკივნეულოდ დასრულდა. გამსახურდიას ცხედარი გროზნოში გადაასვენეს. მე დიდი იმედი მქონდა, რომ გროზნოში ჩაუტარებდნენ ექსპერტიზას. იქ ექსპერტიზა არ ჩატარდა.

***— რატომ არ ჩატარდა?***

— ეს მისი ოჯახის საქმე იყო. მათ ნებაზე იყო დამოკიდებული, ჩაუტარებდნენ თუ არა ექსპერტიზას.

***— თქვენ როგორი დამოკიდებულება გქონდათ გამსახურდიას ოჯახთან?***

— ძალიან კარგი. კარგად მახსოვს, 2003 წელს რაღაც ღონისძიება გვქონდა, სადაც მანანა არჩვაძეც მობრძანდა. მერე მერაბ კოსტავას სახლში ავედით და სანთლები ავანთეთ. იქ ქალბატონ მანანას ვუთხარი, ეკლესიაში გავალ და დავიფიცებ, რომ ზვიად გამსახურდიასთვის ყოველთვის კარგი მინდოდა. მანანამ მითხრა, ვიციო, თან დაამატა, ეგ რომ არ ვიცოდე, შენთან ყრილობაზე როგორ მოვიდოდიო. მერე მომიყვა, ზვიადს უთქვამს, ვინანე, მარგიანის რჩევებს რომ არ დავუჯერეო.

***— გამსახურდიას რჩევებს აძლევდით?***

— მე მასთან ყოველთვის მქონდა ურთიერთობა. სხვათა შორის, მაშინაც, როცა ის საქართველოდან წავიდა. მე მას საქართველოში დაბრუნება შევთავაზე. ეს შეთავაზება საჯაროდ გავაკეთე. მე მოვითხოვე სპეციალური დელეგაციის შექმნა, რომელიც ჩავიდოდა გროზნოში. ისინი შეხვდებოდნენ გამსახურდიას და საქართველოში წამოსვლას სთხოვდნენ. მე მას საცხოვრებლად მესტიაში ჩემი სახლში შევთავაზე.

***— ეს შეთავაზება ტელევიზიით გააკეთეთ?***

— ეს განცხადება ზუგდიდში გამართულ რამდენიმეათასიან მიტინგზე გავაკეთე. ეს 1993 წლის მარტი იყო. მაშინ აფხაზეთს ჯერ ისევ ჩვენ ვაკონტროლებდით. მე ვთქვი, რა უნდა კონსტანტინე გამსახურდიას შვილს გროზნოში, საიდანაც ჩამოსული ბანდიტები ჩვენი ბიჭების თავებით ფეხბურთს თამაშობენმეთქი.

***— ხალხს რა რეაქცია ჰქონდა ამაზე?***

— ატყდა ტაში და ერთი ამბავი. სამწუხაროდ, მაშინ მან ჩემი შეთავაზება არ მიიღო. ნეტავი მიეღო. ის დღესაც ცოცხალი იქნებოდა.

***— მოდით, ისევ პირველი პრეზიდენტის დაღუპვის ამბავს დავუბრუნდეთ. მისი შვილი, კონსტანტინე, ამბობს, რომ გამსახურდია მოკლეს.***

— მე ამის არ მჯერა. არ მინდა დავიჯერო, რომ ვინმეს შეეძლო მისი ფიზიკური განადგურება. თავს არ ვდებ, რომ ყველაფერი ვიცი, მაგრამ ბევრი რამე ნამდვილად ვიცი. მზად ვარ, დავჯდე ყველასთან და დავამტკიცო, რომ პირველი პრეზიდენტი არავის მოუკლავს. მისი მოკვლა არავის სჭირდებოდა.

***— მას ხომ ბევრი მტერი ჰყავდა...***

— კი მტრები ჰყავდა. მტერი ყველა ადამიანს ჰყავს. მტრებსაც არაფერში აწყობდათ მაშინ გამსახურდიას მოკვლა. მას მთელი ძალაუფლება დაკარგული ჰქონდა.

***— კონსტანტინე გამსახურდია ხელს ედუარდ შევარდნაძისკენ იშვერს.***

— ეს გამორიცხულია. შევარდნაძე გამსახურდიას მტერი არასდროს ყოფილა. მის მიმართ ყოველთვის კარგად იყო განწყობილი. სხვათა შორის, არც ზვიადს ეჯავრებოდა ის.

***— ეს ცოტა დაუჯერებელია.***

— ახლა მოგიყვებით ამბავს და მიხვდებით, რომ ეს დაუჯერებელი არ არის. პრეზიდენტ გამსახურდიას დავალებით მოსკოვში მომიხდა ჩასვლა. იმ დროისთვის შევარდნაძე უკვე გადამდგარი იყო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან. მე მასაც შევხვდი. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ, მათ შორის, საქართველოს მომავალზე. ედუარდმა მითხრა, საქართველოს თუ დავჭირდები, ჩამოვალ, ხელში თოხსა და ბარს დავიჭერო. მე ამის თაობაზე ზვიადსაც მოვახსენე. მას ძალიან გაუხარდა. გამსახურდია აპირებდა, შევარდნაძისთვის დაერეკა. მეც ველოდებოდი და მიხაროდა. შევარდნაძის გამოცდილება მაშინ საქართველოს ძალიან წაადგებოდა. საღამოს ჩავრთე ტელევიზორი და რას ვხედავ, მიტინგზე გამომსვლელები შევარდნაძეს ლანძღავდნენ. მაშინ მთავრობის სახლის წინ ყოველდღე იმართებოდა მიტინგები. ეს ამბავი არ მომეწონა. სასწრაფოდ გადავურეკე გამსახურდიას, ვკითხე, ასე რატომ მოხდა-მეთქი. მითხრა, გამომსვლელებს პირზე ხელს ხომ არ ავაფარებდიო. მას გარშემო ბევრი ცუდი ადამიანი ჰყავდა. სწორედ მათ დაღუპეს გამსახურდია. ამიტომ დამნაშავეები მის გარემოცვაში უნდა ვეძებოთ. შევარდნაძე არაფერ შუაში არ არის. მე როგორც გავიგე, კოკო გამსახურდია მის დაკითხვას ითხოვს. ისე, უმჯობესი იქნებოდა, მე დავეკითხე.

***— საინტერესოა, რატომ არ დაგკითხათ თქვენ ამ კომისიამ?***

— მეც ეგ მაინტერესებს. როგორც უკვე გითხარით, ამ საქმეში ძალიან ბევრი რამე ვიცი. როცა კოკოს კომისია შეიქმნა, გაზეთებითა და ტელევიზიით ჩემი პოზიცია დავაფიქსირე, ვთქვი ყველაფერი, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით ვიცოდი. როგორც ჩანს, ვიღაცებს ეს არ მოეწონათ. მიხვდნენ, რომ მათ განზრახვას ჩემი არგუმენტები წყალში ჩაყრიდა და ამიტომაც არ დამკითხეს.

***— ეს ვიღაც კოკო გამსახურდიაა?***

— არ მინდა, მასზე ცუდად ვიფიქრო. სხვა თუ არაფერი, ზვიადის ვაჟია. ზვიადს კი ძალიან დიდ პატივს ვცემდი. მერე, როგორი დედა ჰყავდა. დედამისი რუსუდან ბერიძემ გამაცნო. ძალიან კარგი ადამიანი გახლდათ. ფაქტიურად, ჩემი და იყო. ისე, კოკო გამსახურდიამ ბევრი რამე იცის, ან, როგორ უნდა იცოდეს, როცა ის აქ არ ყოფილა. საზღვარგარეთ მაშინ წავიდა, როცა მამამისს ძალიან უჭირდა. ახლა რაღაც-რაღაცებს ამბობს. მესმის, რომ უნდა გაიგოს მამის სიკვდილის საიდუმლო. თუ ამის გაგება სურს, მაშინ საქმეში ჩახედულ ხალხს დაეკითხოს. ეგ კიდევ დადის და უცნაურ ადამიანებს ართმევს ჩვენებას.

***— უცნაურ ადამიანებში ვის გულისხმობთ?***

— მაგალითად, თენგიზ კიტოვანს.

***— რატომ არის კიტოვანი უცნაური? მანაც ხომ ბევრი რამე იცის...***

— ბევრი რამე შეიძლება იცის, მაგრამ, არა მგონია, გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით იცოდეს რამე. ზვიადი რომ დაიღუპა, იმ დროს კიტოვანი თანამდებობაზე არ ყოფილა. არაფერს აღარ წარმოადგენდა და რა უნდა სცოდნოდა. კოკო კიდევ ჩავიდა და მას დაუწყო შეკითხვების დასმა. წარმომიდგენია, რა „მნიშვნელოვან" ინფორმაციებს მიიღებდა მისგან. ჩემთან დაკავშირებით უთხრა, თითქოს 50 ათასი დოლარი ავიღე.

***— ვისგან აიღეთ ეს 50 ათასი დოლარი?***

— რა ვიცი, აბა. ეტყობა, თენგიზ კიტოვანმა მომცა.

***— ასე იოლად იძლეოდა კიტოვანი ამხელა თანხას?***

— თენგო ძალიან ჭკვიანი კაცი არასდროს ყოფილა, მაგრამ, ბოროტიც თუ იყო, აღარ მეგონა. მე სხვანაირ თენგოს ვიცნობდი. არ ვიცი, რაში დასჭირდა ასეთი განცხადების გაკეთება.

***— იგორ გიორგაძე საუბრობს 2 მილიონ დოლარზე. მისი მტკიცებით, ეს თანხა გამსახურდიამ ჩეჩნეთიდან ჩამოიტანა. ეს თანხა უკვალოდ არის გამქრალი.***

— იმ პერიოდში ასეთ თემებზე არავინ საუბრობდა. ამ ფულის შესახებ არც იგორ გიორგაძეს უთქვამს რამე. ვიღაცებს გამსახურდიას დაცვის ბიჭებზე ცუდი რამეები აქვთ ნათქვამი. ეს ძალიან დიდი უსამართლობაა. როგორ შეიძლება რობინზონ მარგველანზე აუგის თქმა. ეს არის კაცი, რომელიც გამსახურდიას გულისთვის დღესაც მზად არის, თავი გაწიროს. ასეთი ერთგული ადამიანები დედამიწის ზურგზე მრავლად არ არიან.

***— ბესარიონ გუგუშვილთან დაკავშირებით რას ფიქრობთ? ვიღაცებს მისი მისამართითაც აქვთ პრეტენზიები.***

— ის ძალიან წესიერი ადამიანია. არც მასზე შეიძლება აუგის თქმა.

***— მაშინ, რატომ არ თანხმდება ის კომისიასთან თანამშრომლობას?***

— იმიტომ რომ ამათ არ ენდობა. ეგეც და რობინზონ მარგველანიც ერთგული ადამიანები არიან. მათთკენ თითის გაშვერა სირცხვილია და არც შევარდნაძისკენ ხელის გაშვერაა სწორი.

***— ამბობენ, რომ შევარდნაძე შეიძლება დაიჭირონ...***

— შევარდნაძეს ვერავინ დაიჭერს.

***— რატომ გგონიათ, რომ ვერავინ დაიჭერს?***

— მის დაჭერას ძალიან დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვება. მისი დაჭერით ესენი კისერს მოიჭრიან. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ვინც მას უსამართლოდ გადაეკიდა, ისინი ან



საფლავში არიან, ან ციხეში. ამ კაცთან მეც ვიყავი დაპირისპირებული. მეგონა, რომ სამშობლოს უღალატა.

***— ახლა აღარ გგონიათ, რომ უღალატა?***

— ახლა სიმართლე ვიცი.

***— რა სიმართლე?***

— მან აღიარა, რომ ყველამ უღალატა და შეცდომაში შეიყვანეს. ცოტა ხნის წინ სერიოზული განცხადება გააკეთა გოეთეს ცენტრში გამართული შეხვედრის დროს. ასეთი რამე თქვა: მე ჩამოსახრჩობი ვარ, მაგრამ, ჯერ მათქმევინეთ, ვინ მიღალატაო.

***— მერე, რატომ არ ამბობს, დაუშალა ვინმემ?***

— თქმის პროცესშია.

***— ეს რას ნიშნავს?***

— იმას, რომ უკვე ამთავრებს თავის წიგნს, სადაც ყველაფერს იტყვის.

***— გამსახურდიას სიკვდილის მიზეზებზე თუ იტყვის რამეს?***

— ამას, წიგნს რომ წაიკითხავ, მერე მოგახსენებთ.

***— კოკო გამსახურდია მამის სიკვდილთან დაკავშირებით თავიდან ითხოვს გამოძიების ჩატარებას. იქნება რაიმე შედეგის მომცემი ეს გამოძიება?***

— თავიდან გამოძიების ჩატარებას რა აზრი აქვს. მას შემდეგ 18 წელი გავიდა. ახლა ძალიან ძნელი იქნება რამის გარკვევა. კიტოვანის ჭკუაზე თუ იარა კოკომ, სიმართლეს ნამდვილად დაადგენს. რაც საქართველოში მაშინ მოხდა, საშინელება იყო. სამოქალაქო ომზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს. მე თავიდან დაპირისპირებაში არ ჩავრეულვარ. მერე ისე მოხდა, რომ სიგუასა და კიტოვანის მხარეს აღმრვჩნდი. ისე, რომ იცოდეთ, იმ პერიოდისთვის მთელი გვარდია თურქეთში გარბოდა.

***— თურქეთში რატომ გარბოდნენ?***

— იმიტომ რომ მათ განადგურებაზე იყო ბრძანება გაცემული.

***— ვინ გასცა ეს ბრძანება?***

— გენერალმა პატრიკეევმა.

***— ეს სამოქალაქო ომის დროს ხდებოდა?***

— არა. ჯერ სამოქალაქო ომი დაწყებული არ იყო. გვარდია მაშინ თბილისის ზღვაზე იყო გამაგრებული. სწორედ ზღვაზე უნდა მომხდარიყო გვარდიის განადგურება.

***— მერე, ვინ შეაცვლევინა პატრიკეევს ეს გადაწყვეტილება?***

— სერიოზული ხალხი ჩაერია. დილის 4 საათზე შევაცვლევინეთ რუს გენერალს ეს გადაწყვეტილება.

***— ეს შევარდნაძის დამსახურება იყო?***

— შევარდნაძე არაფერ შუაში არ არის. შევარდნაძე ამ დაპირისპირებაში არ ჩარეულა. სამოქალაქო ომი მისი ბრალი არ არის.

***— თუმცა, გამსახურდიას გაქცევის შემდეგ ის საქართველოში დაბრუნდა, როგორც ქვეყნის მეთაური.***

— ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ ეს ჩემი დამსახურებაა. ყველანი კარგად ვხედავდით, რომ სამხედრო საბჭო საქმეს თავს ვერ ართმევდა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, შევარდნაძე მოგვეწვია. ამ მოთხოვნაზე ხელი ძალიან ცნობილმა ადამიანებმა მომიწერეს. რამდენიმემ ხელი არ მოაწერა. მერე შევარდნაძისგან თანამდებობები კარგად მიიღეს.

***— ამ ადამიანების ვინაობას არ დაასახელებთ?***

— რა საჭიროა. ამას, მგონი, ედუარდი მიხვდა. შეიძლება, ვერც მიხვდა. ის ასეთ რამეებს დიდ ყურადღებას არ აქცევს. სამაგიეროდ საქმე იცის. თუ რამეს დაგპირდა, აუცილებლად გააკეთებს.

***— სოხუმი არ დაიკარგებაო, დაგვპირდა, მაგრამ დაკარგა.***

— ეგ არც დაკარგავდა. არ დაკარგავდა, მაგრამ ირგვლივ ისეთი ხალხი შემოიკრიბა, რომ დააკარგვინეს.

***— თქვენი აზრით, არ არის გამოსაძიებელი, როგორ დავკარგეთ სოხუმი?***

— გამოსაძიებელი როგორ არ არის. ამას აუცილებლად გამოვიძიებთ. ამ საქმეს პირადად მე ჩავუდგები სათავეში.

# რა შარში გაეხვია ნოდარ ნათაძე „ვეფხისტყაოსნის“ გამო

გულიკო ბალა ე

## ინტერვიუ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძესთან

*— ბატონო ნოდარ, დღევანდელ აწეწილ-დაწეწილ პოლიტიკურ ვითარებაში პოლიტიკისაგან გადახვევა და ლამაზ თემებზე, მაღალ იდეალებზე წერა ძალიან ძნელია...*

— თუ თქვენ მხედველობაში გაქვთ ჩემი ურთიერთობა პრესასთან, ეს ურთიერთობა ახლაც, შევარდნაძის დროსაც და საბჭოთა დროსაც უკიდურესად უვარგისია. ვერც ერთი პოლიტიკა ულამაზობით ვერ შეედრება ამ ურთიერთობას.

*— როგორ შეიძლება გავალამაზოთ?*

— თუ ვინმეს მაგია აქვს და ლამაზ პორტრეტს დავუხატავთ, შეიძლება გალამაზება. ისე, არ წარმომიდგენია.

*— თქვენ ბრძანდებით ცნობილი რუსთველოლოგი, რომელსაც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გამოცემული გაქვთ თქვენი კომენტარებით, რომლის მიხედვით სკოლაში სწავლობენ...*

— სადაც ამ წიგნს ახსენებთ, ჩემთან ერთად უნდა ახსენოთ ალექსი ჭინჭარაული, რომელიც არის ამ წიგნის რედაქტორი. მის გარეშე ამ წიგნს ამ დონეზე ვერასოდეს მივიყვანდი.

*— თქვენ ერთხელ ერთ-ერთ შეხვედრაზე ბრძანდებოდით, რომელიც მოაწყო პიროვნებამ, რომელმაც, როგორც მახსოვს, „ანტივეფხისტყაოსანი“ დაწერა, სადაც განსხვავებული, თავისებური შეხედულებები ჰქონდა წარმოჩენილი გმირებზე, სიუჟეტზე. თქვენ მასზე არ გქონიათ ისეთი მკვეთრი რეაქცია, როგორიც საზოგადოების ზოგიერთ წარმომადგენელს. რით იყო ეს გამოწვეული?*

— იმ ბიჭმა, ლექსად თუ პროზად, რაღაც დაწერა (რა თქმა უნდა, სისულელე), სადაც ფუნდამენტურ იდეას ატარებდა, რომ გამოქვაბულში ტარიელი და ასმათი რაღაცას ეშმაკობდნენ. ეს არის სისულელე, მაგრამ ტიპური სისულელეა, რადგან „ვეფხისტყაოსანს“ მე-9 კლასში სწავლობენ. ათ კლასში მაინც ვიღაც მეტიჩარა ბიჭი წამოხტება და იტყვის, მასწ, იქ რაღაც ხომ არ ხდებოდაო? უაღრესად პატივცემული, ძალიან ღირსეული და განთქმული მასწავლებელი იყო თბილისის პირველ სკოლაში, ქალბატონი ბაბო მჭედლიძე. დევი სტურუა ცეკას მდივნად რომ დანიშნეს, საშინლად შფოთავდა, მაგ მამაძაღლმა მე-9 კლასში ასეთი მკრეხელური კითხვა დამისვაო. ე.ი. ეს ტიპურია.

*— თქვენი ამ გამოცემით მაინც თქვენეული გაგების, სტანდარტულ შეხედულებებს ნერგავდით, მაგრამ...*

— არა, იმ წიგნში მე და ლექსოს საკომენტარო მასალებში დაფიქსირებული გვაქვს მხოლოდ ის, რაც ქრესტომათიულად მიღებულია ან ჩვენი აღმოჩენილია. ასეთ საჩოთირო თემებზე ჩვენ არ ვლაპარაკობთ. ამ მიმართულებით ერთი თავგადასავალი მქონდა. არის ერთი წარსულის დიდი პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც აქვს უაღრესად ღირებული წიგნი „ვეფხისტყაოსანზე“, გამოცემული საფრანგეთში.

*— ვისზე საუბრობთ?*

— ზურაბ ავალიშვილზე, რომელიც უდიდესი ფიგურაა. ის კაცი იმ კაზუსიდან ამოდიოდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის სპარსულიდან ნათარგმნი. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომა იყო. მაშინ ეს თემა კარგად გამოკვლეული არ იყო, როგორც ახლაა. მან მინიშნებით (მაგრამ განათლებული კაცი ამოიცნობს) გამოთქვა აზრი, როგორც ჩანს, სპარსული ორიგინალიდან გამოყოლებულია ძაფები, რომ ავთანდილსა და ტარიელს შორის არის ცისფერი ურთიერთობაო. მაშინ სიტყვა „ცისფერი“ არ არსებობდა. ამ ცნობილ წიგნში ამ დებულების კომენტარის გარეშე დატოვება არ შეიძლებოდა. ამიტომ მე ქართულ ტექსტებში მოვიძიე მასალა, საიდანაც ჩანს, რომ ეს გამორიცხულია.

*— რის თაობაზე გამოიძიეთ მასალა, ტარიელსა და ავთანდილს შორის სხვაგვარი ურთიერთობა რომ არ ყოფილა?*

— მოვიძიე მასალა, რომ რუსთაველში ასეთი მოტივი არ არსებობს.

*— როგორ მოიძიეთ?*

— ჯერ ერთი, იმ სტილის მეტაფორები ეროტიკულად რომ მოგეჩვენოს, რომელიც ზურაბ ავალიშვილს თავისი აზრის სასარგებლოდ მოჰყავს, მე ამავე ეპოქის ქართულ მწერლობაში ვნახე, როგორც ისტორიულში, ასევე მხატვრულში, რომლებიც მიძღვნილია ქართველი მეფეებისადმი. ეს კი ნიშნავს, რომ ამ მეტაფორებს ზურაბ ავალიშვილის მიერ ნაგულისხმევი შინაარსი არ აქვს. მეფეებს რომ აქებენ, ასეთი მეტაფორებით აქებენ. ეს არის ყველაზე ძლიერი საბუთი. მეორე — საქართველოს აყვავების ამ პერიოდში ქართულ რაინდულ, საკარო კულტურაში მოვნახე ადგილები, რომლებშიც გამოხატულია ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება ამ თემისადმი, რაც მკვეთრად უარყოფითია.

*— მაპატიეთ, ამ ე.წ. ცისფერული ურთიერთობისადმი იმდროინდელი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებაა უარყოფითი?*

— დიახ, იმ დროის საზოგადოება ამ მოვლენას მკვეთრად უარყოფითად ეკიდება... შემდეგ დასაბუთება დავწერე და ჟურნალ „მნათობში“ დავბეჭდე.

*— ეს რომელ წელს ხდებოდა?*

— ეს იყო 1965 წელი.

*— 1965 წელსაც, კომუნისტების პერიოდშიც, ალბათ, ასეთი ურთიერთობებისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება იყო.*

— არავის კრინტი არ დაუძრავს. მაშინ იყვნენ რუსთველოლოგები. მათში ყველა სულელი არ იყო. ჭკვიანი რუსთველელოგებიც იყვნენ, მაგრამ კრინტი არავის დაუძრავს.

*— წაუყრუეს თუ ეს, უბრალოდ, მათთვის მისაღები გახლდათ?*

— წაუყრუეს. ვერც ერთმა ვერ აიღო თავის თავზე მისი კრიტიკა, რადგან ზურაბ ავალიშვილი ძალიან დიდი ფიგურა იყო. მე ეს გავაკეთე. რუსთაველს ეს ბრალდება მოვხსენი. მერე ერთმა ბებერმა ინტრიგანმა ერთი ამბავი ატეხა.

*— რატომ? ასეთი რამ შეინიშნებაო?*

— ნახეთ, რას აკეთებს ნათაძე, „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს ცისფერ ურთიერთობას მიაწერსო.

*— რატომ ამბობდა ამას?*

— ძალიან კარგად გაიგო, მაგრამ ინტრიგანი იყო, ღმერთმა აცხონოს. ატეხა ერთი ამბავი, დამირეკა...

*— თქვენ ხომ პირიქით ამტკიცებით?*

— დიახ, მაგრამ მან 180-გრადუსიანი ტყუილი თქვა. შემდეგ კვირა დღეს დამირეკა „მნათობის“ რედაქტორმა, მოდი ჩემთან საჩქაროდო... რედაქტორი იყო ერთადერთი სუფთა და პატიოსანი კაცი მთელ იმ ლიტერატურულ ადმინისტრაციაში, აბსოლუტურად ინტელიგენტი. მან მითხრა, ამავე სათაური გავუშვათ, მაგრამ წერილიდან ეს თემა ამოვიღოთ და სხვანაირად დაწერილი მასალა ჩავდოთო. მე დავწერე, მაგრამ ამ ყველაზე ინტელიგენტმა და ყველაზე პატიოსანმა კაცმა ჩემი ტექსტი მაინც შეასწორა. ერთ ადგილას ამოიღო ნაწილაკი „არ“ და „არ უნდა ვიფიქროთ, რომ“.

*— ამით აზრი შეიცვალა?*

— არსებითად არაფერი შეცვლილა, მაგრამ მაინც შეასწორა. ამ დროს ვბეჭდავდი წიგნს „რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი“. იქ ამაზე მქონდა ლაპარაკი უფრო ფართოდ, ვიდრე ამ პატარა წერილში. სულელი რედაქტორი დამიჯდა და დაიწყო ამის კონტროლი.

*— რას აკონტროლებდა, რა იყო მიუღებელი?*

— თეზისი იყო ასეთი: ამ თემის შეხება არ შეიძლება. თუ ამ თემას ეხები, ხარ საქართველოს მტერი.

*— რატომ, თქვენ ხომ რენესანსსა და ამაღლებული სიყვარულის გაგებაზე საუბრობდით?*

— ის ხალხი, რომლებიც ჩემ წინააღმდეგ ინტრიგანობდნენ და მიპირისპირდებოდნენ, სულულები იყვნენ. რედაქტორმა ყველაფერი ამომიგდო. ერთადერთი, იმ წიგნს კაცი რომ წაიკითხავს, სკლეროტიკი ვეგონები (მაშინ მე 35 წლის ვიყავი).

*— რატომ?*

— იმიტომ რომ იმ წიგნში მე ჩავრთე გარკვეული მასალა ყოველგვარი კომენტარის გარეშე. ერთი გვერდი რომ აიღო და ფიზიკურად ჩატენო მეორე გვერდში, ციტატები, მეტაფორები ისე ჩავტენე.

*— მასში რაზე იყო საუბარი?*

— ზურაბ ავალიშვილის მინიშნების წინააღმდეგ ჩემი ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ მეტაფორები, რომლებიც ჩანს ეროტიკულად, რომელთა გამოყენება „ვეფხისტყაოსანში“ ზურაბ ავალიშვილს აფიქრებინებდა, რომ იქ იგულისხმებოდა ცისფერი ურთიერთობა, არავითარ ეროტიზმს არ შეიცავს. მაგალითად, „მჭვრეტელთა მკვლელი ტანი“. კაცზეა ლაპარაკი. მაყურებელს კაცი ტანით არ ხიბლავს, მოქმედებით ხიბლავს. ასეთი მეტაფორები უვაჟკაცესი და უგმირესი მეფეების ქებაშია გამოყენებული. ამიტომ ასეთი მეტაფორები ამოვკრიფე და ფიზიკურად, ყოველგვარი კომენტარისა და აზრის გარეშე ჩავდე იმ წიგნში და დევს. ჯანდაბას, ვეგონო სკლეროტიკი.

*— ალბათ, ის წიგნი თავის საქმეს აკეთებს.*

— მომავალში, ოდესმე, სადღაც გააკეთებს. შემდეგ ორმა ნაძირალამ — ერთი იყო შევარდნაძის აპარატის ერთ-ერთი ბურჯი იდეოლოგიურ საკითხებში, ხოლო მეორე — ნაკლებად ცნობილი ნაძირალა, რომელიც მუშაობდა ერთ-ერთ გაზეთში, უბინძურესი მასალა დამიბეჭდეს. მათი გვარებით მეხსიერებას არ დავიბინძურებ, რა თქმა უნდა. ორივე იწყებოდა „მ“-თი. მე მათ ვუპასუხე, მერე სასამართლოში სარჩელიც შევიტანე, მაგრამ არ მიიღო.

*— „ვეფხისტყაოსანზე“, რაინდობასა და რენესანსზე რას იტყვით?*

— მსოფლიოში არის სამადსამი რეგიონი, სადაც არსებობდა რაინდობა. ეს არის დასავლეთი ევროპა, საქართველო და იაპონია. აღმოსავლეთ ევროპაში რაინდობა არ ყოფილა. ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ესპანეთი არის რაინდობის ზონა. ასევე არის საქართველო და იაპონია. სადაც ფეოდალიზმი იყო, მისი ძირითადი ატრიბუნტი გახლდათ რაინდობა. სხვაგან დესპოტიები მძვინვარებდა (რუსეთში, პოლონეთში, ჩეხეთსა და სხვაგან არ იყო ფეოდალიზმი). ამ სამში ქალის კულტი მხოლოდ დასავლეთ ევროპასა და საქართველოში — ქრისტიანულ ზონებში იყო. ეს არის წონადი წვლილი კულტურისა და ადამიანის მორალური განვითარების ისტორიაში. მაგრამ რუსთაველმა მე-12-13 საუკუნეების მიჯნაზე ქალის კულტი სრულად ასახა — ზუსტად ისე, როგორც მიღებული გახლდათ. მისი დამოკიდებულებები და გამონათქვამები, როგორც წვეთი წყალი, ისე ემთხვევა ქართლის ცხოვრებაში არსებულ მასალებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. მაგრამ რუსთაველი ამაზე შორს წავიდა, დაახლოებით 2-3 საუკუნით. რუსთაველის გმირების მოქმედება ზუსტად ჯდება რაინდული კულტის ნორმებში. მაგრამ ამას ის გადმოსცემს უზარმაზარი ფსიქოლოგიური ნიუანსებით. იმ გმირების მოქმედება ემთხვევა სავალდებულოს, მაგრამ თავისი ამომწურავი ფსიქოლოგიური მოტივაცია აქვს. ეს სრულებით სხვა რამ არის. აი, მაგალითად, ტარიელი ველად რომ გაიჭრა, ვალდებულია გაიჭრას, მაგრამ ისეა მიყვანილი თავისი ნიუანსებით, რომ აბსოლუტურად გასაგები ხდება, მის ტყავში ჯდები და გრძნობ, რატომ უნდა გაიჭრას ტარიელი ველად, ფსიქოლოგიურად, რატომ არის მისთვის აუცილებელი. ეს არის ერთ-ერთი ელემენტი რუსთაველის მიღწევისა, რომ მან შექმნა რენესანსული ადამიანის სახე.

*— რენესანსული ადამიანის სახე რით არის ღირებული და მნიშვნელოვანი დღეს?*

— ეს არის ის ტიპი, ის სულისკვეთება და მენტალიტეტი ადამიანისა, რომელიც თანამედროვე, ცივილიზებული ადამიანის წინაპარია. ვითარდება, ვითარდება და თანამედროვე დასავლელი ადამიანის სულისკვეთებამდე მოდის. ჩვენ დასავლელები ვართ.

*— „ვეფხისტყაოსანში“, ერთი მხრივ, თინათინისა და ავთანდილის სიყვარული, ხოლო, მეორე მხრივ, ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობა ნაწარმოების რა ელემენტია?*

— ინტრიგანები ამასაც ეხებოდნენ. ზოგადად, ასეთი აზრია გამოთქმული: ავთანდილმა იპოვა ტარიელი და მოგზაურობიდან დაბრუნდა. თინათინთან მიდის, თავისი მოგზაურობის შესახებ მოახსენებს და თან ეუბნება, რომ კიდევ უნდა წავიდეს. თინათინი ეუბნება: „შენ არგატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა, ხამს გასრულება მოყვრისა, სიყვარულისა მტკიცისა“... „ჩემი თქვი, რა ვქნა ბნელქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი ცისა“. ე.ი. თინათინი ეუბნება, მე რა ვქნაო, რაც ავთანდილმა გაიგო, როგორც მინიშნება. შესაბამისად, პასუხობს: „მესმა თქვენი ნაუბარი, გავიგონე, რაცა ბრძანე...“. შემდეგ არის: „ქალმან მისცა მარგალიტი, სრულყო მისი საწადელი“. ეს ზურაბ ავალიშვილმა სხვაგვარად გაშიფრა. გარკვეული მიზეზების გამო სპარსულ პოეზიაში მარგალიტი ქალწულობის სიმბოლოა. ზურაბ ავალიშვილმა დაწერა, რუსთაველი ამას გულისხმობსო. ე.ი. თინათინმა „ჩაუნამიოკა“, ავთანდილმა გაიგო და იმ წუთში თინათინი ცოლად შეირთო. მერე ავთანდილი წავიდა, ტირის და მიდის. შემდეგ არის ასეთი სტროფები: „რა გულსა უთხრა გულისა, სიტყვანი საგულისონი, მან მარგალიტნი მოიხმნა, მის მზისა...“. ე.ი. მან ფიზიკური მარგალიტიც მისცა. ამის შემდეგ არის ავთანდილი სიყვარულით გადარეული, ვარსკვლავებს მიმართავს, მღერის. ე.ი. ამ გრძნობის აფეთქება შემდეგაა.

*— თუმცა, შემდეგაა, ავთანდილი რომ მიდის და თინათინს ღალატობს...*

— ავალიშვილი მხოლოდ იმას წერს, რომ ასეთი რამ მოხდა, მაგრამ შემდეგ მე ეს გავაანალიზე. რუსთაველი ორივე ვარიანტს გიტოვებს — თუ გინდა, ეს დაიჯერე, თუ გინდა, ის დაიჯერე, რომ თინათინმა ავთანდილს აგერ მარგალიტი მისცა, ხელში აქვს და ათამაშებს. ორნაირად შეიძლება გაიგო, მაგრამ, რომ გაიგო, უნდა იცოდე, რას ნიშნავს, სიტყვა „გავიგონე“. „გავიგონე“ ნიშნავს, ჭკუით გავიაზრე. ნოზაძემაც დაწერა, ზურაბ ავალიშვილი ცდებაო. ჩემი არგუმენტები ამ საკითხში აბსოლუტურად შეუვალი არგუმენტებია. რუსთაველი გიტოვებს ორივე გაგებას, გინდა, ასე გაიგე, გინდა — ისე. თუ ფსიქოლოგის სიზუსტეს მოითხოვ, ასე გაიგე, თუ არადა, შენი ნებაა, კისერიც გიტეხია. ესეც მე ბრალდებად მქონდა, ნახე, კაცო, თინათინზე რა თქვაო. რა თქვა, ქალმა გააკეთა ის, რასაც სიტუაცია და მისი გული მოითხოვდა და ამით ავთანდილსაც, ასე ვთქვათ, რაღაც ჯილდო მისცა.

*— ბატონო ნოდარ, გასაკვირი რა იყო, „ვეფხისტყაოსანში“ ხომ ორივე მთავარი გმირი ქალი, თინათინიცა და ნესტანიც, პირველები უმხელენ სიყვარულს ტარიელსა და ავთანდილს და ეს დასაძრახი არ არის?*

— დიახ, მაგრამ ამ მიმართულებით მსჯელობას ლიტერატურული გემოვნება და მომთხოვნელობა სჭირდება, ხოლო მეორე მიმართულებით მსჯელობას ეს არ სჭირდება.

*— ისე, თანამედროვე პატრიარქალური საზოგადოებისთვის მსგავსი ქმედება მისაღები არ იქნებოდა.*

— ფორმალურისთვის მიუღებელი იქნებოდა, არაფორმალისთვის, მხატვრისთვის და მხატვრული აღქმისთვის ფსიქოლოგიურ სიზუსტეს მოითხოვს.



ნათია ხურცილავა

**7 მარტს საალდგომო მარხვის კურთხევას მისცემს თავის მრევლს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. საალდგომო მარხვა ყველაზე მძიმე და დიდი მარხვაა.**

# მშვიდად მხოლოდ უფალთან ვართ

## შენდობის გარეშე მარხვა უბრალო დიეტა გამოვა



**ინტერვიუ სამების საკათედრო ტაძრის მღვდელთან, მამა პეტრე კვარაცხელიასთან:**

*— მამა პეტრე, მრევლი დიდი მარხვისთვის ემზადება. რა არის ადამიანისთვის მარხვა?*

— ჩვენ ვუახლოვდებით საალდგომო მარხვას. აღდგომის მარხვა ყველაზე დიდი და მძიმეა როგორც თავისი მოცულობით, ასევე შინაარსით. აღდგომის მარხვას წინ უსწრებს მოსამზადებელი პერიოდი. ეს პერიოდი არის ხორციელის და ყველიერის კვირა, უძღები შვილის კვირა. ეს კვირები არის პერიოდი იმისთვის, რომ ადამიანი უნდა დაფიქრდეს და მიხვდეს. დაფიქრდეს მარხვაზე, შეგნებულად მოეკიდოს ამ საკითხს. მარხვა რომ არ გამოგვივიდეს მხოლოდ გარეგნულად, ეს აუცილებლად უნდა შეეხოს სულს, სულის მდგომარეობას. ადამიანი, როგორც ექიმთან მიდის კონსულტაციისთვის, პროფილაქტიკის მიზნით ამოწმებს თავის ჯანმრთელობას, ასევე საჭიროა სულის მდგომარეობისთვის ზრუნვა. სულის გაჯანსაღებისთვის, პროფილაქტიკისთვის ნებისმიერ ადამიანს სჭირდება მარხვის დაცვა. დიდი და მძიმე მარხვა წმინდა ეკლესიის მიერ არის დაგეგმილი, წმინდა მამების მიერ. დედა ეკლესია, როგორც უკვე აღვნიშნე, საალდგომო მარხვისთვის ემზადება, საალდგომო მარხვა კარს არის მომდგარი და ამ მარხვას ჩვენც, ადამიანები, შესაბამისად უნდა შევეგებოთ.

*— როგორ?*

— რწმენით, ლოცვით და თავმდაბლობით უნდა შევუდგეთ მარხვის უდიდეს პერიოდს. კვირა დღეს, 6 მარტს უწმინდესი, როგორც ყველა დიდი მარხვის წინ, საღამოს ლოცვაზე წაგვიკითხავს შენდობის ლოცვას. ჩვენ, ყველამ, შენდობა უნდა ვთხოვოთ და მარხვის პერიოდს უნდა შევუდგეთ. სხვა შემთხვევაში მარხვა იქნება მხოლოდ დიეტა, მხოლოდ გარეგნული მდგომარეობა. მარხვა აუცილებლად სულის სამკურნალოდ უნდა გვექცეს. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ეკლესიაში დადის, დადის სულის ცხონებისთვის, თუმცა გააზრებული არ გვაქვს შინაარსი. ვესწრებით წირვა-ლოცვას, მაგრამ ეს ყველაფერი თითქოს განყენებულია, თითქოს ჩვენ კი არ გვეხება, არამედ სადღაც, ვიღაცას. წირვა-ლოცვა განყენებულია ამ დროს ადამიანისთვის და ვერ ხვდება, რა იკითხება და რატომ იკითხება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მარხვის საკითხავები. მარხვის ღვთისმსახურება, რომელიც გამოკვეთილი და განსაკუთრებულია, სხვანაირად ხდება წირვა-ლოცვის ჩატარებაც და ღვთისმსახურებაც ტაძარში.

*— დიდი მარხვის პირველ კვირაზე რომ ვისაუბროთ, რომელიც განსაკუთრებით მძიმეა...*

— პირველი კვირა მძიმე კვირაა, ასეც ეწოდება. მძიმეა, როგორც საკვების რაციონის, ასევე სულიერი კუთხით. განსაკუთრებული ლოცვები იკითხება. იკითხება ანდრია კრიტელის კანონები. მთელი მარხვის პერიოდში, მძიმე კვირის ოთხშაბათიდან ვნების შვიდეულის ოთხშაბათამდე ეფრემ ასურის ლოცვები იკითხება. ეფრემ ასურის ლოცვები განსაკუთრებულია იმ ლოცვებს შორის, რაც უნდა იკითხოს მორწმუნე ადამიანმა ყოველდღიურად, რადგან ეფრემ ასური სინანულის მამაა. სინანულის მოძღვრი, რომელიც მოგვიწოდებს: „ჰე, უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწველობისასა, მთავრობისმოყვარეობისასა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე“. შემდეგ გრძელდება მეზვერის ლოცვა: „ღმერთო მილხინე მე ცოდვილსა ამას და შემიწყალე“. მხოლოდ ლოცვების კითხვა არ არის მთავარი, მთავარია ამ ლოვების გაგება და აღქმა. ეს მარხვა თუნდაც იმიტომ არის განსაკუთრებული, რომ განსაკუთრებული ლოცვები იკითხება. პირველ რიგში, ეფრემ ასურის ლოცვა. ეფრემ ასურის ლოცვას განსაკუთრებული ძალა და მნიშვნელობა აქვს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. სწორედ ამ ლოცვის მეშვეობით ადამიანი საკუთარი სულის მდგომარეობას ხედავს. შეიძლება ეს ხმამაღლა არ თქვას და საკუთარი თავი ვინმეს წინაშე არ დაადანაშაულოს, მაგრამ წარმოუდგენელია, მორწმუნე ადამიანის სულს ეფრემ ასურის ლოცვა არ შეეხოს თუ ის გულწრფელად კითხულობს ამ ლოცვას და არამხოლოდ კითხულობს, არამედ გულწრფელად წარმოთქვამს ღვთის წინაშე. პირადად მე მქონია შემთხვევა, როდესაც ძალიან მომდომებია, რომ ვყოფილვიყავი სინანულში, შინაგანი განცდა მქონია, გულწრფელად მდომებია გულწრფელი აღსარება ღვთის წინაშე. ხშირად მიჩნდება სურვილი, რომ ეფრემ ასურის ლოცვა ყოველგვარი მარხვის გარეშე წამეკითხა, ეს იმდენად დიდი ლოცვაა. ეფრემ ასური იმდენად დიდი მამაა. მარხვის პერიოდში ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს განსაკუთრებული საკითხავები არის. ერთ-ერთი არის მარიამ ეგვიპტელის ცხოვრება. მარიამ ეგვიპტელი 502 წელს აღესრულა. ის შეიძლება ითქვას, რომ სინანულის დედა არის. მისი მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მხოლოდ და მხოლოდ სინანულია. მისი ცხოვრება სწორედ იმიტომ იკითხება, რომ თითოეულ ჩვენგანში არის მრუში, თითოეულ ჩვენგანში არის ფარისეველი, მეძავი. ზოგი ამას ხედავს და ზოგი არა, მაგრამ ვხედავთ თუ არ ვხედავთ, უნდა ვაღიაროთ მაინც.

*— კეთილის და ბოროტის საწყისიდან გამომდინარე არის ადამიანში ბოროტიც და კეთილიც?*

— რა თქმა უნდა. ადამიანებმა ღვთის და ერთმანეთის წინაშე უნდა ვაღიაროთ, რომ მოგვეტევოს. შეიძლება ისეთი ცოდვა გვქონდეს, რომ ვერ ვაღიარებდეთ მეორე ადამიანის წინაშე და მხოლოდ ღვთის წინაშე ვაღიარებდეთ და ვფიქრობდეთ, რომ მოგვეტევება, მაგრამ ეს გამორიცხულია. ადამიანი თუ ადამიანის წინაშე არ არის გულწრფელი, ადამიანი ადამიანის წინაშე თუ თამაშობს თუნდაც ეკლესიურ ცხოვრებას, მერწმუნეთ, მას არ გამოუვა ეკლესიური ცხოვრება და ეს ფუჭი მცდელობა იქნება, ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა იქნება. ეს ასე რომ არ იყოს, ამაში გვეხმარება ზოგადად მარხვა და, რასაკვირველია, აღდგომის მარხვა. ამისთვის გვეხმარება გულწრფელი აღსარება, ზიარება და სინანული. მარხვა სინანულის გარეშე წარმოუდგენელია. წარმოუდგენელია მარხვა ეკლესიური ცხოვრების გარეშე. თანამედროვე ეპოქაში ერთგვარად თითქოს მოდაშიც კი შემოვიდა და ამ მოდის ფერხულში ჩავებით ყველანი. ხშირად ამბობენ: მე ვმარხულობ და სამარხვო კერძებს ვიღებ და ასე შემდეგ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვმარხულობთ. მაცხოვარი სახარებაში ამბობს: ნუ იქნები მგლოვიარე თუ შენ მარხულობ. ჩვენმა მარხულობამ და ჩვენმა სულიერმა ცხოვრებამ არ უნდა გააღიზიანოს გარშემო მყოფი ადამიანები. ეს ძალიან უმტკივნეულოდ, ძალიან თავისთავად უნდა ხდებოდეს. მე არ უნდა ვიყო დამძიმებული იმით, რომ ვმარხულობ. თუ მარხვით დამძიმებული ხარ, თუ დამძიმებული ხარ იმით, რომ შაბათ-კვირას აუცილებლად ეკლესიაში უნდა იარო, თუ დამძიმებული ხარ იმით, რომ კანონები უნდა დავიდოთ მოძღვრისგან დილა-საღამოს ლოცვების გარდა, თუ ეს ყველაფერი არ გვიხარია, მაშინ საკვებს მივიღებთ თუ არ მივიღებთ, ამას რა აზრი აქვს. ეს უკვე მეორეხარისხოვანია, რადგან ადამიანს წამლავს არა ის, რაც მასში ჩადის, არამედ ის, რაც ამოსდის. ეს შეიძლება მარხვაზეც ითქვას, რადგან მარხვა და ლოცვა სულის ფრთებია. ადამიანი ფაქტიურად მარხვის მეშვეობით სწყდება მიწას და ზეცას უახლოვდება. ვუახლოვდებით ჩვენ პირველ სამშობლოს, უფალს. მარხვა ხორცისა საკვებია სულისა, თუ ასე შევხედავთ მარხვას, მთელი მარხვის განმავლობაში ზეციურ სიხარულში ვიქნებით. ზეციურ ზეიმში, შემდეგ კი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მოგვიახლოვდება და მაცხოვართან ერთად მკვდრეთით აღვდგებით. ეს არის მარხვის დანიშნულება.

*— მარხვა სულის ზეიმია, მაგრამ ამის გაცნობიერება როგორ უნდა მოხდეს ჩვეულებრივი ადამიანისთვის?*

— ამის კლასიკური მაგალითია მართალი იობის ცხოვრება ძველ აღთქმაში. ღმერთმა იობს ძალიან დიდი გამოცდა და განსაცდელი მოუწყო, მაგრამ იობი არასდროს არ წასულა ღვთის ნების წინააღმდეგ. არასდროს არ ყოფილა ღვთის გმობაში, პირიქით, რაც უფრო მეტი განსაცდელები ეშვებოდა მასზე, ის უფრო მეტად ადიდებდა ღმერთს, ის უფრო მეტად აქებდა უფალს. როდესაც მართალმა იობმა იგრძნო, რომ მასში არ მოხდა რყევები და პირიქით, უფრო მეტად დაუახლოვდა უფალს, ღმერთმა სწორედ ის მისცა, რაც ადრე ჰქონდა და უფრო მეტიც მისცა. ეს ნიშანია იმისა, რომ ადამიანი, როდესაც მარხვას იცავს და, უხეშად რომ ვთქვა, არა აქვს ვაჭრული დამოკიდებულება, მარხვას იცავს მხოლოდ და მხოლოდ გულით და არამხოლოდ ვალდებულებით, რაც არ უნდა განსაცდელი დაუშვას მასზე, ის ყველა განსაცდელს თავმდაბლობით და მორჩილებით მიიღებს, მაგრამ ადამიანი თუ მხოლოდ იმიტომ იცავს მარხვას და მხოლოდ იმიტომ დადის ეკლესიაში, რომ აუცილებლად კარგი ჭამოს, კარგი ჩაიცვას, კარგი ცხოვრება ჰქონდეს და უცებ აღმოაჩენს, რომ ეს არაფერი არა აქვს, ის უკვე კონტრასტშია და ამბობს: ვმარხულობ, ვლოცულობ, ეკლესიაში დავდივარ, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში არაფერი არ შეიცვალა. უნდა ვთქვა, რომ ასეთ ადამიანს ღმერთი არასდროს არაფერს არ მისცემს, რადგან მას იმთავითვე ანგარებითი დამოკიდებულება აქვს ღმერთთან. წარმოუდგენელია ანგარებითი დამოკიდებულება უფალთან. ღმერთმა რაღაცა უნდა მოგვცეს და ამიტომ უნდა ვიმარხულოთ? ასეთი დამოკიდებულება ყოვლად დაუშვებელია. ღმერთი განა იმიტომ არ მოგვცემს ამ შემთხვევაში, რომ ჩვენთვის ენანება, არა. პირველ რიგში, საკუთარი სულის მდგომარეობა უნდა ამოვხსნათ. რისთვის გვინდა მარხვა? იმისთვის, რომ კარგი მანქანა გვყავდეს? კეთილმოწყობილი სახლი გვქონდეს? თუ იმისთვის, რომ ადამიანისთვის მარხვის პერიოდი ყველაზე დიდ დღესასწაულად იქცეს. მარხვა დიდი სულიერი მდგომარეობაა ადამიანისთვის. მარხვა ყველაზე ახლოს მყოფობაა უფალთან. იცით როგორი განცდაა, როდესაც მორწმუნე ადამიანი მარხულობს, ის არაფრით არ არის შეზღუდული. მას არაფერი არ ეზღუდება, რადგან ეს მისი სულის მდგომარეობაა. მარხვა ადამიანის სულის შესამოსელია. ამ დროს ის თავს კარგად გრძნობს, კომფორტულად არის და არ განიცდის რაღაცის ნაკლებობას, პირიქით, როდესაც ადამიანი მარხვას რწმენით, თავმდაბლობით, მოწიწებით, ლოცვით, მორჩილებით იღებს, ის ამ დროს ახლოს არის უფალთან და უფრო მეტს იღებს. მეტიც, როდესაც მარხვა გადის და ხსნილია, თითქოს რაღაც მერთმევა, თითქოს პრობლემების წინაშე ვარ, თითქოს დაუცველი ვარ, რადგან იმ სამოსელიდან გამოვედი, რასაც მარხვის შესამოსელი ჰქვია. მარხვის სამოსელი ადამიანს იცავს, იცავს საზოგადოებასთან ურთიერთობაში, საკუთარ თავთანაც, იმ მანკიერებისგან, რომელიც ჩვენს ირგვლივ ასე უხვად არის სამწუხაროდ. მე ვერ ვიტყვი, რომ ადამიანი მხოლოდ დიდ მარხვას და შობის მარხვას უნდა იცავდეს. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც, რასაკვირველია, თუ მორწმუნეა და ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს, ყოველთვის შინაგანად მარხვაშია ანუ მარხვის შემდეგაც მარხვაშია. მარხვა ცხოვრების წესია. როგორც კი შევეჩვევით მარხვას, მართლმადიდებლური ცხოვრების რიტმს, იმ ჩარჩოს იქიდან გამოსვლა გვიჭირს, სურვილიც არ გვექნება. იმიტომ, რომ თავს კარგად ვგრძნობთ, კომფორტულად ვართ. ვისთან გვინდა ურთიერთობა? — იმასთან, ვისთანაც თავს კარგად ვგრძნობთ. სულიერებაშიც ასე, მაშინ ვართ კარგად და მშვიდად, როდესაც უფალთან ვართ, როდესაც ზეციურ მამასთან ვართ. როდესაც ზეციურ მამას გავურბივართ, ის დაგვემართება, რაც უძღებ შვილს. საკუთარი ნებით, მაგრამ დაცემული დაუბრუნდა მამის წიაღს. როგორც კი უბრუნდება მამის წიაღს, ის ისევ არის პატივსა და დიდებაში. ზეციური მამა თავის უძღებ შვილს ისევ სთავაზობს სამოსელ პირველს. პირველ რიგში, ადამიანმა უნდა იგრძნოს, რატომ უნდა იმარხულოს. ბევრი იწყებს მარხვას, მაგრამ ამას გარეგნულად იწყებს. არანაირად არ არის შინაგანად მზად, რომ მარხვა დაიცვას. როდესაც ადამიანი მარხვისთვის არ არის მზად, ვამბობ, ის მარხვა წარუმატებლად მიმაჩნია, რომელიც აბსოლუტურად გაუაზრებლად ხდება. ეს პიროვნებასთან კონტრასტში მოდის. ადამიანი, რომელიც მზად არ არის მარხვისთვის, მე ვგულისხმობ შინაგან მზაობას, და მაინც იცავს მარხვას, ანუ შეიძლება ხორცი არ ჭამოს, მაგრამ უარესი რამ გააკეთოს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის მარხულობს. შეიძლება პირიქით იყო, ჭამდეს ხორცს მაგრამ შინაგანად მარხულობდეს. ამიტომ ეს ყველაფერი ძალიან შინაგანი და ძალიან თავისთავადია. ყველა ადამიანმა მისი სულის შესაფერისად უნდა იმარხულოს. ბერებსაც კი სხვადასხვა კანონები აქვთ დადებული. ზოგიერთ ბერს კანონი აქვს, რომ ხორცი მთელი ცხოვრება არ უნდა ჭამოს, მაგრამ ამას ყველას ვერ მოვთხოვთ. ეს მისი კანონია. ყველა ადამიანს იმ დოზის შესაფერისი მარხვა უნდა მოვთხოვოთ, რაც მას შეუძლია. არც მეტი, არც ნაკლები. ვინც მეტს სთხოვს, ის კონტრასტში ვარდება და შეიძლება საერთოდ ეკლესიიდან წავიდეს.

**რწმენით, ლოცვით და თავმდაბლობით უნდა შევუდგეთ მარხვის უდიდეს პერიოდს. კვირა დღეს, 6 მარტს უწმინდესი, როგორც ყველა დიდი მარხვის წინ, საღამოს ლოცვაზე წაგვიკითხავს შენდობის ლოცვას. ჩვენ, ყველამ, შენდობა უნდა ვთხოვოთ და მარხვის პერიოდს უნდა შევუდგეთ. სხვა შემთხვევაში მარხვა იქნება მხოლოდ დიეტა, მხოლოდ გარეგნული მდგომარეობა. მარხვა აუცილებლად სულის სამკურნალოდ უნდა გვექცეს. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ეკლესიაში დადის, დადის სულის ცხონებისთვის, თუმცა გააზრებული არ გვაქვს შინაარსი.**

*— ანუ მარხვა საზიანოდ არ უნდა გვექცეს...*

— რა თქმა უნდა. ეს ყველაფერი მოძღვართან შეთანხმებით და მისი ლოცვა-კურთხევით უნდა ხდებოდეს. ხშირად ადამიანები თვითნებურად დიდი მარხვის პირველ კვირას წყალსა და პურზე არიან, ამ დროს მისი სულიერი მდგომარეობა იმ დონეზე არ არის მომზადებული, რომ ასეთი მძიმე მარხვა დაიცვას და კონტრასტში ვარდება. მას არაფერი არ უხარია. პირიქით, სასჯელიც შეიძლება იყოს, სასოწარკვეთაშია. მარხვა დამაბრკოლებელი კი არა, ღმერთთან მისასვლელი უნდა იყოს.

ეკა ირემაშვილი

# ომარ მხეიძეს სცენა ესიზმრება

## ქართული ცეკვა ქალის პატივისცემას გასწავლის



**8 მარტს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ლეგენდარულ მოცეკვავეს, საქართველოს სახალხო არტისტ ომარ მხეიძეს ვარსკვლავს გაუხსნიან. ეროვნული პრემიის ლაურეატი ამ დღისთვის განსაკუთრებულად ემზადება და არ მალავს, რომ ასე კარგა ხანია არ უნერვიულია.**

ის ამჟამად ქორეოგრაფიული კავშირის საპატიო თავმჯდომარეა, ჩოხოსნებმა კი უხუცესთა საბჭოს წევრად აირჩიეს. 2005 წელს ომარ მხეიძე წლის ადამიანად დასახელდა. იგი ანსამბლში 30 წელი ცეკვავდა. ამაყობს, რომ ნინო რამიშვილის პარტნიორი ოთხ ცეკვაში იყო. „ომარ მხეიძე ქართული ხასიათის განსახიერებაა“, „მან ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში გმირის სახე შექმნა“, „ომარ მხეიძის ცეკვაში არ არსებობს შეუსრულებელი ილეთები“, „მფრინავი ვეფხვი“, „ანსამბლის არწივი“ — ასეთი კომპლიმენტებით ამკობდნენ მოცეკვავეს წლების განმავლობაში სპეციალისტები და მაყურებლები. ასეთი თავგამოდებისა და პროფესიის უანგარო სიყვარულისთვის მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ომარ მხეიძე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლის სოლისტი იყო, რომელსაც ჯანო ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. სწორედ აქ შეამჩნიეს ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა და თავის ანსამბლში მიიწვიეს. ბრწყინვალე ქართული გარეგნობა, ინდივიდუალიზმი და არტისტიზმი, პლასტიკურობა, პროფესიის სიყვარული და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა მუდამ გამოარჩევდა მას დანარჩენი მოცეკვავეებისგან. თბილისის საპატიო მოქალაქის ბიოგრაფიის ძირითადი ნაწილი ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლთანაა დაკავშირებული. როგორც მისი კოლეგები ამბობენ, ომარ მხეიძემ უზარმაზარი როლი ითამაშა ქართული ხალხური ცეკვის განვითარების საქმეში. ამჟამად ლეგენდარული მოცეკვავე თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ხელოვნების კათედრის კონსულტანტია.

**ომარ მხეიძე:**

— სულ რამდენიმე დღე დარჩა ამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან მოვლენამდე და ისე ვნერვიულობ, არ ვიცი, ამ ამბავს როგორ გადავიტან. ასეთი მოულოდნელობა ჩემს ცხოვრებაში არ მქონია. თითქოს ველოდებოდისავით, მაგრამ ამ ამბის გაგება მაინც მოულოდნელი და ძალიან სასიხარულო აღმოჩნდა.

***— ასე რატომ განიცდით?***

— ჩემთვის ეს ძალიან დიდი სიხარული და დაფასებაა. არც კი ვიცი, რა ვთქვა. ეს ხომ წარმოუდგენლად დიდი საჩუქარია. სიხარულიც არის დიდი, მაგრამ ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობაა. მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ჩემი ვარსკვლავის გახსნა გადაწყვიტა და ასე ლამაზი ღონისძიება ჩაიფიქრა. ტრიპაჩობად ჩამეთვლება, რომ ვთქვა, არ გამიხარდა-მეთქი, მაგრამ მოულოდნელი ნამდვილად იყო. ფრიდონის ვარსკვლავის გახსნას რომ აპირებდნენ, ვიცოდი, მაგრამ როცა ტელევიზიები მომიყვანეს და ჩემი ვარსკვლავის შესახებ მითხრეს, კინაღამ გადავირიე. ძალიან ავღელდი და ეს ღელვა და ნერვიულობა დღემდე არ გამნელებია, პირიქით, რაც ცოტა დრო რჩება, უფრო და უფრო მიმძაფრდება. სულ იმის ოცნებაში ვარ, ნეტავ დედაჩემი იყოს ცოცხალი, როგორ გაუხარდებოდა. უმამოდ გაზრდილი ვარ და დედაჩემმა ჩემს ადამიანად ჩამოყალიბებაში ყველაფერი ჩადო.

***— 8 მარტი რატომ შეარჩიეთ?***

— ყველამ კარგად იცის, რომ მე ქალის საოცარი პატივისმცემელი ვარ. ეს ჩემს ხასიათშიც ზის და ქართულმა ცეკვამ ეს თვისება კიდევ უფრო გამიმძაფრა. როდესაც ჩემი ვარსკვლავის გახსნის თარიღზე მსჯელობდნენ, თურმე იქ ასეთი რაღაც თქმულა — ომარი ისეთი რაინდული თვისებებით არის მიმართული ქალების მიმართ, ისეთი მოწიწებულია, სულ ამბობს, ამ ცხოვრებაში ქალის კულტია მნიშვნელოვანიო, ამიტომ მოდით, 8 მარტს გავუხსნათ ვარსკვლავიო. ბოდიშის მოხდით კი ვამბობ ჩემი ვარსკვლავი-მეთქი, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა — ჩემს ვარსკვლავს ვუძღვნი ყველა ქალს! დიდი მადლობა, რომ ამ ქვეყანაზე არსებობენ ქალები, იმიტომ, რომ ცხოვრებაში ყველანაირ ამინდს სწორედ ქალი ქმნის, იქნება ეს ოჯახში, პირად ცხოვრებაში, მსოფლიოში, ომში, ყველგან ქალია მთავარი.

***— ქართულ ცეკვაში ქალის კულტიაო, რომ ამბობთ, ახლაც ასეა?***

— ახლა ცოტა მოიკოჭლებს. ჩვენი ძირითადი ხასიათი, რომელიც ჩვენი ფესვებიდან არის აღმოცენებული და სისხლში გამჯდარი გენია, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, მაინც მოქმედებს. ქალი ქართველი კაცისთვის უმნიშვნელოვანესია. აქა-იქ რომ ხდება რაღაცეები, ის უმრავლესობის სურათს მაინც არ ცვლის. მსოფლიოში არ არსებობს ქალის და მამაკაცის დამოკიდებულება ისეთი რაინდული, ისეთი მოკრძალებული, როგორიც არის ქართულ ცეკვებში. ჩვენს ცეკვებშია სასწაული ქვეცნობიერი ტრფიალი, კდემამოსილება, პატივისცემა. ეს არც ერთი ერის ცეკვებში არ არის. ქალი თვალებში არ უყურებს კაცს, გინდა თუ არა მითხოვე, თორემ გავგიჟდებიო. აბა შეხედეთ, მამაკაცი როგორ ეცეკვება? აქეთ მობრძანდი, იქით მობრძანდი, შორს არ წახვიდე, არაფერი გეწყინოსო. მთავარი კი ის არის, რომ ქართველი კაცი მუხლს იდრეკს სამშობლოს, დროშის, სარწმუნოების და ქალის წინაშე. მაგალითად, ხევსურთა ცეკვა ავიღოთ. იწყება ტრფიალი ქალისა და მამაკაცის, შემდეგ ჩნდება მეტოქე, რომელსაც მოსწონს ეს ქალი და იწყება კენჭნობა. ცოტა რომ გამძაფრდება სიტუაცია, შემოდიან ქალები, კაცი კი მათ წინაშე მუხლს იდრეკს. გამძაფრებულ მომენტში ქალი შემორბის, რომ ეს ყველაფერი არ გადავიდეს სისხლისღვრაში და მათ შორის მანდილს აგდებს. ეს შერკინებული ვაჟკაცები კი ზავდებიან და მუხლს იდრეკენ ქალის წინაშე. განა ეს საოცრება არ არის?! სწორედ ამაზე კვირდებოდა და გიჟდებოდა მთელი მსოფლიო. ყველა ქართულ ცეკვაში ქალის მიმართ ასეთი დამოკიდებულებაა, ამიტომაც არის, რომ ჩვენთან ბევრი მნიშვნელოვანი სიტყვა სწორედ ქალთან და დედასთან არის დაკავშირებული.

***— რა იქნება რვა მარტს?***

— არ ვიცი, ამ ყველაფერს რეჟისორი დავით დოიაშვილი აკეთებს. მას აქვს საკონცერტო პროგრამა, ნიჭიერი ადამიანია და მის ფუნქციებში ვერ ჩავერევი.

***— თქვენ არ იცეკვებთ?***

— ალბათ, ერთ რაღაცას ვიცეკვებ. ალბათ, ჩემს მანანა აბაზაძესთან ერთად და შეიძლება ჩემს შვილიშვილებთან ერთადაც რაღაც მოვახერხო.

***— თქვენს შვილიშვილებს უყვებით თქვენს ისტორიებს?***

— აბსოლუტურად ყველაფერს ვუყვები, იმიტომ, რომ ძალიან აინტერესებთ. ჩემი ოჯახი ქართული, ტრადიციული ოჯახია და ამით ვამაყობ კიდეც. ჩემთვის არ არსებობს ცნება სიძე და რძალი. დავიფიცებ, რომ რძლები რძლებად არ მიმიღია, ისინი ჩემი შვილები არიან, რა რძალი, რის რძალი, თუ არ გჯერათ, შეეკითხეთ ყველას, ვინც ჩემს გარშემო ტრიალებს. სიდედრი ჩემთვის არასოდეს ყოფილა სახუმარო და გასაცინებელი თემა. ის ჩემი მეუღლის დედა იყო და უდიდეს პატივს ვცემდი.

***— სიდედრზე ანეკდოტებს არ ყვებოდით?***

— ჩემი გაბრაზება რომ უნდოდათ, სიდედრებზე იწყებდნენ ანეკდოტების მოყოლას. მე ჩემს სიდედრზე არასოდეს მიხუმრია. ჩემი სიდედრი თავადიშვილის ქალი იყო, შერვაშიძის შთამომავალი, წულუკიძის ქალი, ულამაზესი, უკეთილშობილესი, ვერც კი შებედავდი რამეს. განა იმიტომ, რომ მკაცრი იყო, უბრალოდ, საკუთარ თავს არ ვკადრებდი ამას. ძალიან სათნო და კეთილი ადამიანი იყო. ჩემი მეუღლის მშობლები ჩემთვის ძალიან პატივსაცემი ადამიანები იყვნენ, ისინი ჩემთვის იგივე მშობლები იყვნენ.

***— კიდევ რა ტრადიცია გაქვთ ოჯახში?***

— ჩვენ ძალიან ტრადიციული ოჯახი გვაქვს. ქართულ ტრადიციებს პატივს ვცემთ. ჩვენს ოჯახში სახელებს ერთმანეთს არავინ ეძახის. ჩემი შვილებისთვის არსებობს დედა და მამა და არა სახელებით მიმართვა. ბოდიშის მოხდით ვამბობ, მაგრამ ასე მშობლებისადმი მიმართვა პირადად მე არ მომწონს. აბა დაუკვირდით, ყველაზე სანუკვარი ცხოვრებაში არის სიტყვები „დედა“ და „მამა“, ამის თავგამოდებული დამცველი ვარ! ნეტავ ახლა დედაჩემი ცოცხალი იყოს, მას სახელით როგორ მივმართავდი. „დედა“ — ეს ჯადოსნური სიტყვაა, რომელიც ყველაფერზე მეტყველებს — სიცოცხლეზე, მომავალზე, ბედნიერებაზე. ამ სიტყვას ბევრი რამ ახლავს, რომელიც ცხოვრებაში მუდამ წინ მხვდება.

***— ნინო რამიშვილს მეორე დედას რატომ ეძახდით?***

— იმიტომ, რომ ის მართლა ჩემი მეორე დედა იყო. ნინოზე გადაუჭარბებლად შემიძლია გითხრათ, რომ ჩემზე უდიდესი ამაგი აქვს. მის ოჯახში არავის სძინებია, მე კი მათთან ვცხოვრობდი. ჩემს ქორწილში ნინო რამიშვილი მოვიდა, პატარძალს ძვირფასი ძღვენი მიართვა, მოგვეფერა. დედაჩემმა ასე უთხრა ნინოს, მე ობოლობაში გავზარდე ჩემი შვილი, მგონია, რომ კარგი შვილი მყავს და ახლა თქვენთვის გადმომიბარებიაო. ნინო რამიშვილი ღმერთქალი, ნამდვილი მოვლენა იყო. სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვანაირი იყო, რეპეტიციაზე მომთხოვნი, სცენაზე ნამდვილი ჯადოქარი. რომ შემოგანათებდა თავის მწვანე თვალებს, ყველაფერს ამოყრიდი, რაც კი შეგეძლო, სულსა და გულს ჩადებდი და მაქსიმალურად თავგამოდებით იცეკვებდი. ბედნიერი ვარ, რომ მისი პარტნიორი ვიყავი ოთხ ცეკვაში გივი სურვილაძესთან ერთად. მკაცრიაო, რომ ამბობენ, ამას ვეწინააღმდეგები, ის მკაცრი კი არა, მომთხოვნი იყო. რას ითხოვდა ნინო რამიშვილი ჩვენგან, იატაკები მომირეცხე, საჭმელი და სასმელი მომიტანეო? არა და არა! მას მხოლოდ ის უნდოდა, რომ კარგად გეცეკვა. ის თავის საქმეში იყო მომთხოვნი და მაქსიმუმს ითხოვდა შენგანაც. ორგანყოფილებიანი კონცერტები გვქონდა და წინასწარ ვიცოდით, როგორ სცენაზეც არ უნდა გამოვსულიყავით, კულისებში რანაირად უნდა გავნაწილებულიყავით, არ ჰქონდა მნიშვნელობა, როგორი სცენა იყო, კლასიკური, ღია, დახურული თუ ამფითეატრი. ნებისმიერ სცენაზე, რანაირი განლაგებაც არ უნდა ყოფილიყო, უკვე ვიცოდით, საიდან და როგორ უნდა გამოვსულიყავით. ეს ყველაფერი ნინო რამიშვილის დამსახურება იყო.

***— თქვენ 30 წელი ცეკვავდით. სცენა არ გენატრებათ?***

— როგორ არ მენატრება. ამ მონატრების გამო, მთელი ოჯახი გადარეული მყავს. რომ წამოვხტები შუაღამისას, არიქა, ფარ-ხმალი სად არის, გამიშვით სცენაზე, წინ ნუ მიდგები-მეთქი, გავყვირივარ. ცოტა ყურს მაკლია და მუსიკას ვეუბნები, ჩემზე ჟღერადობა მაღალი მიეცით-მეთქი. მერე ვიღვიძებ ოფლში გაწურული და მამშვიდებენ ჩემები, შეეშვი მამა, გაიგე, აღარ ცეკვავ, ეს მხოლოდ სიზმარიაო. სცენა ძალიან ხშირად მესიზმრება და ძალიანაც მენატრება. სცენა კარგი გაგებით ისეთი ოხერია და ისეთი შეყვარება იცის, ვერ დაანებებ ადვილად თავს. ამის მიუხედავად, სცენასაც აქვს თავისი კანონები — ის მართლა უნდა შეიყვარო იმისთვის, რომ იმანაც შეგიყვაროს. სცენა გულგრილობას ვერ იტანს. თუ ასე მოიქეცი, ეს ყველაფერი გადადის დარბაზში, იმპულსები სცენიდან მაყურებელს გადაეცემა და შენი სიყალბეც სახეზეა. როცა ქალს ვეცეკვები, რა თქმა უნდა, მინდა, რომ თავი მოვაწონო, ამიტომაც ვცეკვავ. თუ უბრალოდ იცეკვე, მაშინ ყალბი ხარ და მაყურებელი შეამჩნევს ამას. მე ხომ მინდა დავიპყრო ის ქალი და კარგი გაგებით ჩემს კლანჭებში მოვაქციო?! ამიტომ მაქსიმალურად უნდა მოვაწონო თავი.

***— პედაგოგობა რატომ არ დაიწყეთ?***

— პედაგოგობა ადვილი არ არის. ცეკვას და სცენას გვიან დავანებე თავი, 48 წლის ვიყავი, როცა ანსამბლიდან წამოვედი. ბავშვებთან მუშაობა ძალიან რთულია. დიდი მადლობელი ვარ ყველასი, ვინც მომავალ თაობებს ქართულ ცეკვას აზიარებს. ჩემი ოცნებაა, ღმერთო მისმინე, ძალიან მინდა ბავშვთა ორგანყოფილებიანი სპექტაკლი შევქმნა პროფესიონალ ქორეოგრაფებთან ერთად და მსოფლიოს ვანახოთ რა ჯიში გვაქვს, რა მომავალი გვაქვს. იცით ეს რა იქნება? — ნამდვილი სასწაული. ჩვენი ბავშვები მთელ მსოფლიოს დაიპყრობენ. ამისთვის მთავარია ყველამ მოინდომოს და ეს საქმე პროფესონალებმა გააკეთონ. ამას თუ მოვახერხებ, მერე მე ვიცი, ვის რას გავაკეთებინებ.

***— ცეკვას თავი რაც დაანებეთ, ჩოხას ხშირად იცვამთ?***

— მე ქორეოგრაფიული კავშირის საპატიო თავმჯდომარე ვარ. ძალიან დიდ დაფასებას და სიყვარულს ვგრძნობ საზოგადოების მხრიდან. ბევრ რამეს მეკითხებიან. სულ იმას ვამბობ, რომ ჩემი მოსაზრებები მაქვს და არასოდეს ვიტყუები. ნინო რამიშვილმა ასე გამზარდა — შენ თქვი შენი მოსაზრება, მისაღები იქნება ჩემთვის თუ არა, ეს უკვე ჩემი საქმეა, მხოლოდ არ მოიტყუოო. ასე დავზერდი და ამ პრინციპით ვცხოვრობ ახლაც. ჩვენთან რომ იციან ფარისევლობა, ამას ვერ იტანდა ნინო და ვერც მე ვერ ვიტან.

***— ჩოხას როდის იცვამთ?***

— ჩოხა სულ ჩემთან არის. ახლაც ჩემს საძინებელში მიკიდია და დღედაღამე ვუყურებ. თეთრი ჩოხა მაქვს თავისი ნაბადით. ბედნიერი ვარ, რომ საუკეთესო მეგობრები მყავდნენ და ახლაც მყავანან. მართალია ბევრი შემომეცალა გარშემო და ამქვეყნიდან წავიდა, მაგრამ ისინი ჩემთვის ავტორიტეტები არიან. მქონდა ჩემი პროფესია, რომელშიც ლაღად ვგრძნობდი თავს. ის ჩოხასთან იყო დაკავშირებული და ამიტომ ჩოხა ჩემთვის განუყრელი სამოსია.

***— ჩოხოსანიც იმიტომ გახდით?***

— ბოლო წლებში, ასაკი რომ შემომეპარა, ცოტა დავსევდიანდი. მათი გამოჩენა ჩემთვის დიდი საჩუქარი იყო. ჩოხოსნებს ჰყავთ უხუცესთა საბჭო, რომელშიც სულ რამდენიმე კაცია, მათ შორის ვარ მეც. ჩოხოსნები სიცოცხლეს მიხანგრძლივებენ და მართლა გაახალისეს ჩემი ცხოვრება. უწმინდესი ჩვენი საპატიო თავმჯდომარეა, მან ჩოხოსნებს ფიციც კი დაგვიწერა.

***— ჩოხას რომ იცვამთ, ხელის გაშლა და ცეკვა არ გინდებათ?***

— ჩოხა საოცრებაა, რომ ჩაიცვამ, სულ სხვა ადამიანი ხდები. საცეკვაოდ ჩოხა უკვე გავიხადე. ეს ჩოხა, რომელიც ახლა მაცვია და ვატარებ, სხვა რამეს ემსახურება. როცა ჩოხა არ მაცვია, მაშინაც მშვენივრად ვცეკვავ, ქორწილებსა და ლხინში ვინ მომასვენებს? თუმცა თვითონაც ძალიან მინდება ხოლმე ცეკვა. როცა ადამიანებს უნდათ ჩემი ცეკვის ნახვა, ამაზე უარს როგორ ვეტყვი? სუფრაა, ქორწილია თუ ნადიმია, თუ მთხოვენ, აუცილებლად ვიცეკვებ, ამას როგორ დავამადლი ადამიანს, პირიქით, ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივია და მადლობელიც ვარ.

***— როცა უყურებთ ახალ თაობას, ქუჩაში, ტრანსპორტში, იგრძნობა ქალის კულტი, რომელსაც თქვენ ასე აღმერთებთ?***

— ახლანდელი თაობა საკმაოდ შეიცვალა. არ ვიცი, ეს რამ მოიტანა — XXI საუკუნემ, ინფორმაციის შემოდინებამ, საზღვრების გახსნამ თუ რამ. ახლანდელი ახალგაზრდობა სულ სხვანაირია. როდესაც გულის ოპერაცია გავიკეთე, მითხრეს, რომ ფეხით ბევრი უნდა მევლო. ექიმების დავალებას ვასრულებ და ფეხით დავდივარ ხოლმე, მაგრამ როგორც კი დავიღლები, მაშინვე ტრანსპორტში ავდივარ. ძალიან შეშფოთებული ვარ ერთი რამის გამო. ტრანსპორტში ავდივარ და ხანდახან ამოდის ხანშიშესული, ახალგაზრდა კი ზის და არ უთმობს ადგილს. ეს არასდროს ჩვენში არ ყოფილა. როცა დელეგაციები ჩამოდიოდნენ, უკვირდათ, საქართველოში როგორი წეს-ჩვეულებები იყო. ჩვენს დროს ტრანსპორტში ქალები ფეხზე არასოდეს იდგნენ. ახლანდელი ახალგაზრდობის ეს არ მწამს და არ მესმის. როგორ შეიძლება ქალი იდგეს ფეხზე და შენ იჯდე? ეს ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

***— ამ საკითხებზე ახალგაზრდებს არ ეკამათებით?***

— არა. შეიძლება უხეშად გიპასუხონ და გული გეტკინოს. თან არც მგონია, რომ კამათის უფლება მქონდეს. სჯობს ახალგაზრდებს არ ეკამათო. არ ვიცი ეს რისი ბრალია, სახლის, სკოლის თუ აღზრდის, ჩვენ ნამდვილად სხვანაირად ვიზრდებოდით. შეიძლება ახალმა საუკუნემ მოიტანა სიახლეები, მაგრამ მაშინ ეროვნებაზე უნდა ვთქვათ უარი. ჩვენ რითი განვსხვავდებით სხვა ერებისგან? სახის ნაკვთები, თვალი, ტუჩი და ფეხი მსოფლიოში ყველა ადამიანს აქვს. ჩვენ დანარჩენებისგან განვსხვავდებით ჩვენი აზროვნებით, შეგნებით, ჯიშით და ფესვებით. ჩვენმა ადგილმდებარეობამ და ბუნებამ ჩამოგვიყალიბა ჩვენი წეს-ჩვეულებები, რაც ერთ ერში მიღებულია, ის მეორე ერში შეიძლება მიუღებელი იყოს. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ბევრი რამ ქართველებისთვის მიუღებელია და მეც არ მომწონს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ქართველები ვართ. ეს ძლიერი გენია და ძლიერი სისხლი. ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა ამოკრიბეს ხალხში ჩვენი საუკეთესო მარგალიტები, ორგანყოფილებიანი კონცერტი შექმნეს და მსოფლიოს წამყვან, პირველხარისხოვან სცენებზე გაიტანეს. ეს ყველაფერი უბრალოდ არ ხდებოდა. იცით რა საზოგადოება მოდიოდა? ამ კონცერტებს კომერციული დატვირთვა ჰქონდა. ყველაფერი იყო დაგეგმილი და არა მეგობრობის ხარჯზე გაკეთებული. მარტო ლასკალა და მეტროპოლიტენ ოპერა რომ ავიღოთ, უკვე ყველაფერი ნათქვამია.

# მიკი რურკი — ჰოლივუდის ყველაზე სკანდალური მსახიობი

**მიკი რურკი — ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური მსახიობი ჰოლივუდში. მასზე ამბობენ, რომ საშინელი ხასიათი, სულელური გემოვნება აქვს და აგრესიულია. თავისი პოპულარობის ბოლოს მონაწილეობა მიიღო კრივში და გამარჯვებაც მოიპოვა. არის „ოქროს ჟოლოს" (1991), „ოქროს გლობუსისა" (2009) და ბრიტანეთის კინოაკადემიის (2009) პრემიების ლაურეატი.**

### ბავშვობა

მიკი რურკის ნამდვილი სახელია ფილიპ ანდრე რურკი-უმცროსი. დაბადებულია ნიუ იორკის შტატის ქალაქ სკენექტადში 1952 წლის 16 სექტემბერს, ანასა და ფილიპ ანდრე რურკი-უფროსის ოჯახში. მამამისი კულტურისტი იყო, გამორჩეულად გულშემატკივრობდა ბეისბოლსა და მიკი მანტლას დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ. სწორედ მის პატივსაცემად ეძახდა თავის პირმშოს მიკის.

მშობლებმა ურთიერთგაგება ვერ ჰპოვეს და მაშინ დაშორდნენ ერთმანეთს, როდესაც მიკი 6 წლის იყო. დედა ბავშვებთან ერთად საცხოვრებლად ფლორიდაში გაემგზავრა, სადაც მეორედ გათხოვდა ყოფილ პოლიციელზე, რომელსაც 5 შვილი ჰყავდა.

მიკი ვერ შეეწყო მამინაცვალს და დროის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებდა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ახალგაზრდა ჭაბუკზე. ქუჩის მეგობრებმა მიკის აჩვენეს ადგილი, სადაც შეიძლებოდა აგრესიის გამოხატვა — კრივის რინგი. ასე დაიწყო რურკისა და კრივის მეგობრობა და ვარჯიშს შეუდგა სკოლაში, რომელიც მაიამი-ბიჩის მე-5 ქუჩაზე მდებარეობდა.

მისი სპორტული კარიერა ჩინებულად დაიწყო — საშუალო წონის მოკრივეს 19 წლის ასაკში უკვე ჩატარებული ჰქონდა 47 ბრძოლა, რომელშიც თავი ჩინებულად წარმოაჩინა და ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა, თუმცა, შემდეგ ერთ-ერთ ძლიერ მოკრივეს გადაეყარა და მასთან ბრძოლისას ტვინის სერიოზული შერყევა მიიღო, რის გამოც იძულებული გახდა, კრივს ჩამოშორებოდა.

ასე დამთავრდა მისი პირველი სერიოზული გატაცება, თუმცა, კრივმა მის შემდგომ კარიერაზე მაინც იქონია გავლენა. პირველ რიგში, კრივმა ასწავლა უმაღლესი მწვერვალებისკენ სწრაფვა და მიზნის მიღწევა. ამიტომაც იყო, რომ მიკიმ დას 400 დოლარი გამოართვა და ნიუ იორკში გაფრინდა, რათა მისი მეორე მოწოდებისთვის, მსახიობობისთვის მიეღწია.

1975 წელს მიკიმ ლი სტრასბერგის სამსახიობო სტუდიაში ჩააბარა და მას შემდეგ მთლიანად ჩაერთო ამ სფეროში.

### კინოკარიერა

მიკი ყველაფერს აკეთებდა, რომ თავისი მიზანი ბოლომდე მიეყვანა. 1987 წელს უკვე ლოს ანჯელესში გაფრინდა, რათა ჰოლივუდში შეეღწია. როგორც შემდეგ გამოქვეყნდა, მიკიმ 78 სინჯებში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ყველა მათგანი უშედეგოდ დასრულდა. თუმცა, ბოლოს ძალიან გაუმართლა — რურკი თვით სტივენ სპილბერგმა მიიწვია ფილმში „1941". მართალია, მიკის მთავარი როლი არ ჰქონია, მაგრამ გრძნობდა, რომ მის წარმატებულ მსახიობობას წინ აღარაფერი ედგა.

შემდეგში იყო ასეთივე ეპიზოდური როლები ფილმებში „სამოთხის კარი" და „სხეულის სიცხე". სწორედ ამ ფილმების შემდეგ მოხვდა რურკი სერიოზული რეჟისორების თვალთახედვის არეში.

ყველაფერს თან დაერთო ის, რომ ფრენსის ფორდ კოპოლამ გადაწყვიტა, ფილმების ციკლი შეექმნა, რომელშიც ნაკლებად ცნობილი მსახიობები ითამაშებდნენ.

ასე მოხვდა რურკი 1983 წელს გადაღებულ ფილმში „მებრძოლი თევზი" და თავისი ტალანტით რეჟისორი მოხიბლა. თუმცა, პრაგმატულმა ამერიკამ ფილმი ცუდად მიიღო და არც მსახიობის თამაშს აღუფრთოვანებია მაყურებელი. ევროპაში კი ყველაფერი პირიქით იყო — ფილმი უმალ აიტაცეს და კოლოსალურ წარმატებას მიაღწია — კოპოლამ დამატებით მიიღო დამსახურებული დიდება, ხოლო რურკი უმალ ჩაეწერა მსოფლიოს მასშტაბის კინოვარსკვლავების სიაში.

ფილმის გამოსვლის შემდეგ მსახიობმა უმალ მიიღო გადაწყვეტილება, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მისი როლები — მეამბოხე სულის ადამიანი. სწორედ ამიტომ იყო, რომ ახალგაზრდა მსახიობი, რომელიც თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, ყველამ შეამჩნია. მასზე ალაპარაკდნენ, როგორც ახალ რობერტ დე ნიროზე და ჯეკ ნიკოლსონის უპირველეს კონკურენტზე. ქალები მისი გულისთვის ჭკუას კარგავდნენ და 80-იანი წლების სექს-სიმბოლო გახდა. ცხადია, ეს კიდევ ერთი ნაბიჯი იყო მისი კინოკარიერის წარმატებისთვის.

1984 წელს გამოვიდა ფილმი „ევრიკა", რასაც შემდეგ წელს მოჰყვა „დრაკონის წელი", სადაც მსახიობმა თითქმის მთელი ფილმის განმავლობაში შეუსვენებლივ და შეუცვლელად იჩხუბა რინგზე. მსახიობის მუშაობამ ფილმში ძალიან მოხიბლა როგორც მაყურებელი, ასევე კინოკრიტიკოსები.

რურკი გრძნობდა, რომ სამსახიობო წარმატებისთვის ყველანაირ მსხვერპლზე უნდა წასულიყო. მაგალითად, 1984 წელს გადაღებული ფილმისთვის „ნათლიმამა გრინიჩ-ვილიჯი" ჯერ 12 კილო მოიმატა, ხოლო ფილმის დასრულების შემდეგ 10 კილო დაიკლო.

### „9,5 კვირა"

მიკი რურკი ყოველთვის ცდილობდა, როლები სიფთხილით შეერჩია. მისი აზრით, ჯობდა, მრავლისმეტყველი პერსონაჟები შეერჩია,



რათა კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოეპოვებინა. ამისთვის დიდხანს ლოდინიც არ დასჭირდა. მსახიობმა დიდებულად ითამაშა ეროტიკულ მელოდრამაში „9,5 კვირა", რომელიც ეკრანებზე 1986 წელს გამოვიდა და რურკის კარიერაში ყველა წარმატებულ როლად მიიჩნევენ. ამ ფილმისთვისაც გაიღო მსხვერპლი — მიკი თავის გმირს რომ მიახლოებოდა, ტატუც კი გაიკეთა. ფილმმა დიდი წარმატება, მსოფლიო დიდება მოუტანა, თუმცა, ცუდი სამსახურიც გაუწია — რურკს წარმატება თავში აუვარდა და ამ როლს სულაც არ მიიჩნევდა თავის სერიოზულ ნაბიჯად.

შემდეგმა ნამუშევარმაც დაამტკიცა, რომ მსახიობი მართლაც დიდ ტალანტს ფლობდა. ამასთან, საჭირო იყო, რეჟისორი ისე მისდგომოდა, რომ მისი ინდივიდუალიზმი არ დაკარგულიყო.

1987 წელს ალან პარკერმა გადაიღო დეტექტიური ტრილერი „ანგელოზის გული", რის შემდეგაც არც ერთი ჟურნალი არ გამოსულა, რომლის გარეკანზე ჰოლივუდის აღიარებული სექს-სიმბოლოს სურათი არ ყოფილიყო. პარკერმა მთლიანად გახსნა რურკის ნიჭი და ფილმმა უდიდესი აღიარება ჰპოვა. თუმცა, კრიტიკოსები რურკის წარმატებას მხოლოდ პარკერს არ მიაწერდნენ — მსახიობს ფილმში კომპანიონობას უწევდნენ შარლოტა რემპლინგი და რობერტ დე ნირო.

იმავე წელს მიკიმ მონაწილეობა მიიღო არაკომერციულ ფილმებშიც. ერთ-ერთ მათგანში, „ლოთში", ისევ მოუხდა მსხვერპლის გაღება და 2 კბილი ჩამოიღო, ხოლო 1989 წელს გადღებულ ფილმში „ფრანჩესკო" 7 დუბლი სრიალებდა შიშველი ზამთარში. და ამ ყველაფერს ტყუილად არ აკეთებდა — რურკის აღიარებამ აპოგეას მიაღწია.

### 90-იანი წლები

ამ პერიოდში კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა რურკის ფენომენალური სამსახიობო ნიჭი. ამის პირველი დასტური იყო ფილმი „შეუპოვარი საათები", ხოლო შემდგომი ფილმი „ველური ორქიდეა" კარიერის უმთავრესი ნაწილი გახდა, რომელშიც ფილმის გმირიც და მსახიობიც შეხვდა თავისი ოცნების ქალს.

1989 წელს „ველური ორქიდეის" სინჯებზე მივიდა 21 წლის მოდელი, კარე ოტისი, რომლის დანახვის შემდეგ მსახიობმა ღიად განაცხადა, რომ მხოლოდ მასთან ერთად ითამაშებდა ფილმში. ასეც მოხდა. მეტიც, ფილმის ფინალურ ნაწილში ორივე გმირი ნატურალურად ასრულებდა სასიყვარულო სცენებს. ეს იყო ნამდვილი კინოსკანდალი! თუმცა, ამ ყველაფერმა ვერაფერი დააკლო ფილმის ღირსებას.

„ველური ორქიდეის" გრანდიოზული წარმატების შემდეგ რურკი გადაიღეს ტიპურ ბლოკპასტერში „ჰარლე დევიდსონი და კოვბოი მალბორო", ხოლო 1992 წელს უკვე ითამაშა ფილმში „თეთრი ქვიშა".

რურკის მიწვევა თავიანთ ფილმებში ისეთმა რეჟისორებმა დააპირეს, როგორებიც არიან ანტონიონი, მარტინ სკორსეზე, ლუკ ბესონი, მაგრამ მსახიობი მათ უინტერესო და არასერიოზულ როლებს ყოველთვის უარით ისტუმრებდა. თუმცა, ეს უფრო სხვა რამის ბრალი იყო — რურკი დეპრესიაში ჩარდა, წამდაუწუმ სასმელს დაეძებდა და საერთოდ ჩამოშორდა კინოს.

მსახიობს ამ ეტაპზე თავისი პირველი გატაცება, კრივი დაეხმარა და ისიც რინგს დაუბრუნდა. 5 წლის განმავლობაში რურკი ევროპასა და აზიაში ბრძოლებს მართავდა. სულ 12 ბრძოლა გამართა, რომელთაგან 10 მოიგო და 2 ფრედ დასრულა. თუმცა, ესეც მალე მოსწყინდა, კრივსაც თავი დაანება და უკვე სამსახურის მოძებნა ველარ შეძლო. აქ მიკის ისევ რთული პერიოდი დაუდგა. საინფორმაციო საშუალებებმაც მკვეთრად გააფუჭა მისი რეპუტაცია. ამის გამო რეჟისორებიცა და პროდიუსერებიც ვერ რისკავდნენ მასთან მუშაობას.

### კინოკარიერის გაგრძელება

კრივმა რურკს უამრავი ტრავმა დაუტოვა, რამაც დაღი დაასვა ერთ დროს სექს-სიმბოლოდ აღიარებულ მსახიობს. მიკიმ მორიგი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და



გადაწყვიტა, ისევ კინოს დაბრუნებოდა. თავდაპირველად ეპიზოდურ როლებში იწვევდნენ, ერთადერთი გამონაკლისი იყო 1996 წელს გადაღებული ფილმი „ტყვია", სადაც მთავარი როლი შეასრულა. ამას მოჰყვა ასევე ეპიზოდური როლი კოპოლას ფილმში „კეთილისმსურველი", მთავარი როლი თრილერში „კოლონია" და „სხვა 9,5 კვირა". იმის მიუხედავად, რომ ამ ფილმებში არცთუ დიდი როლები ჰქონდა, რურკი ცდილობდა, თავისი სიდიადე დაემტკიცებინა.

1998 წელს რურკი გადაიღეს ფილმში



„წვრილი წითელი ხაზი", სადაც ჯარისკაცის როლს თამაშობდა, მაგრამ საბოლოოდ, რეჟისორის გადაწყვეტილებით, ყველა მისი შესრულებული ეპიზოდი ფილმიდან ამოიღეს და მის ნაცვლად გადასაღებად შონ პენი და ჯონ ტრავოლტა მიიწვიეს.

რურკიზე უკვე ისეთი მოთხოვნა არ იყო, როგორც ადრეულ წლებში, ამიტომაც მსახიობი თანხმობას აცხადებდა ნებისმიერი ეპიზოდური როლის შესრულებაზე, რომლებიც ახალი საუკუნის დაწყებამდე მრავლად დაუგროვდა.

### 2000-იანი წლები

რურკი მაინც არ მშვიდდებოდა:

— არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც შუა გზაში ჩერდებიან. მით უფრო, რომ ჩემი საუკეთესო როლები ჯერ არ მითამაშია, — ოპტიმისტურად იყო განწყობილი მსახიობი.

თუმცა, შეცდა — მან უარი თქვა, ეთამაშა ფილმებში „კრავთა დუმილი", „კრიმინალური საკითხავი", „წვიმის კაცი" და ისეთ პროექტებში მიიღო მონაწილეობა, რომლებიც აშკარად ჩავარდა კინემატოგრაფში.

ამის მიუხედავად, მაინც მოახერხა, ეთამაშა კარგი როლები ფილმებში „ერთხელ მექსიკაში", „დომინო", „ღამის სამუშაო", „ქილერი". განსაკუთრებით კარგი გამოუვიდა 2008 წელს ნათამაშევი როლი ფილმში „რესტლერი". როგორც თავად ამბობდა, ამ ფილმში თამაში ძალიან გაუჭირდა და დაინახა ყველა თავისი მტკივნეული წერტილი. თუმცა, მის ბოლო ნამუშევრები ყველაზე გამორჩეული იყო.

### ბოლო ნამუშევრები

რურკი 100 პროცენტით იყო დარწმუნებული, რომ მსოფლიოს კინოშედევრებს დაუბრუნდებოდა. რეჟისორებმაც და პროდიუსერებმაც გადაწყვიტეს მისი გამოყენება და რურკი მიიწვიე ფილმებში „მამაკაცური სეზონი 2" (2009) და „რკინის კაცი 2" (2010). ამასთან, რურკმა ვენსან კასელთან ერთად ითამაშა პაოლო კოელიოს რომანის მიერ გადაღებულ ფილმში „11 წუთი". ამჟამად რურკი მუშაობს ფილმზე „დაქირავებული", სადაც „ბებერი ვაჟკაცების" დაბრუნებაა გადაწყვეტილი. სილვესტერ სტალონეს პროექტით გადაღებულ ფილმში ითამაშებენ დოლფ ლუნდგრენი, ერიკ რობერტსი და არნოლდ შვარცენეგერი.

### პირადი ცხოვრება

როგორც უკვე გითხარით, ჰოლივუდის სექს-სიმბოლოდ აღიარებული რურკი მხოლოდ ერთხელ იყო შეყვარებული. მოდელი კარე ოტისი მსახიობს პირველივე ნახვით შეუყვარდა. ეს იყო დიდებული რომანი, მაგრამ წყვილმა ერთად დიდხანს ვერ გაძლო. გაუთავებელი ეჭვიანობებისა და შვილის არყოლის გამო 1994 წელს ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, თუმცა, როგორც ამბობენ, ხანდახან ისევ ხვდებიან.

საინტერესო ფაქტები

კრივით გატაცების გამო რურკი რამდენჯერმე მოხვდა საოპერაციო მაგიდაზე და ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. თუმცა, ბოლო ოპერაცია არცთუ წარმატებული გამოდგა და მისი სახე კარგად ვერ შეასწორეს.

რურკის მეგობრად ითვლება ჯონ გოტი, ნიუ იორკში 5 ყველაზე ცნობილი იტალო-ამერიკული მაფიოზური ოჯახიდან ერთ-ერთის, გამბინოს „ოჯახის" ბოსი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# რევაზ ჩელებაძე: „საფრანგეთის ვიზას პლატინის ვუმადლი“





თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა რევაზ ჩელებაძემ სპორტ.რუ-ს ვრცელი ინტერვიუ მისცა. საინტერესო კითხვა-პასუხია, სადაც საუბარი ეხება ჯანო ანანიძეს (რომლის ოფიციალური აგენტიცაა), მის სატრანსფერო ამბებს, კიევის „დინამოდან“ ჭაბუკის წასვლის ისტორიას... ამ ინტერვიუდან დეტალებსაც შეიტყობთ, მაგალითად, როგორ ვერ მოხვდა ჯანო მიუნხენის „ბაიერნში“ და რა ცოტა დააკლდა დონეცკის „შახტარამდე“.

— ***სიმართლეა, რომ ჯანო ანანიძეს ადრე უცხოური კლუბები იწვევდნენ?***

— რა თქმა უნდა, გერმანიასა და ინგლისში.

— ***რომელი კლუბები?***

— მაგალითად, „ბაიერნი“ და „დორტმუნდი“. ეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მაშინდელი მწვრთნელის, ჰერბერტ ცანკერის რეკომენდაცია იყო. გერმანიაში მშვენივრად იციან ახალგაზრდებთან მუშაობა. ცანკერი ჯანოს ტალანტს ხედავდა და მასზე ზრუნავდა.

— ***რატომ მოხდა, რომ ჯანო „სპარტაკამდე“ კიევის „დინამოში“ ჩავიდა?***

— იმიტომ რომ ყველა ევროპული კლუბი აგენეტების მეშვეობით გვიკავშირდებოდა, მე და ამირანს (ჯანოს მამა) კი პირდაპირ კავშირზე გასვლა გვსურდა. „სპარტაკში“ ევგენი გრადილენკოს ვესაუბრეთ, რომელიც ბრწყინვალე ადამიანია და ძალიან დიდ პატივს ვცემ.

— ***სმოლენცევი?***

— ასევე. „სპარტაკის“ ყოფილი ტექნიკური დირექტორი. მასთან ერთად საქმიანობა სასიამოვნოა.

— ***ჯანო როგორ გაიცანით?***

— ჯანოს დედა რუსია, მამა კი ქობულეთში დაბადებულ-გაზრდილი კაცია. ამირან ანანიძე იმ კლუბში თამაშობდა, რომლის პრეზიდენტიც ვიყავი.

— ***ჯანოს მამა კარგი ფეხბურთელი იყო?***

— საქართველოს კვალობაზე — მშვენიერი. საბჭოეთის დროს ბათუმის „დინამოში“, I ლიგაში შეეძლო თამაში, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი ამბავი — ამირანი გოგონებთან გაერთო და შეკრებაზე დააგვიანა. დაბრუნდა ქობულეთში და გუნდის კაპიტანი გახდა, ხოლო მერე მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. ამირანმა გუნდი უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა. და ამ დროს, როგორ შვილს ზრდიდა!.. ჯანო პატარაობაში მყავს ნანახი და ბურთით ისეთ რამეებს აკეთებდა, გავოცდი. მამა გვერდიდან არ სცილდებოდა ჯანოს.

— ***როგორ მოხვდა ჯანო კიევის „დინამოს“ აკადემიაში?***

— ჯერ თბილისში თამაშობდა, ხოლო 14 წლის ასაკში კიევში წავიყვანეთ. ერთი კვირა ივარჯიშა და იოზეფ საბომაც შეამჩნია: „ეს ბიჭი ვინ არის? აუცილებლად უნდა ავიყვანოთ, სასწაული ტალანტია!“ ჯანომ ერთი წელი გაატარა „დინამოს“ ჭაბუკთა გუნდში, უკრაინის ჩემპიონიც გახდა. და ამ დროს მოუვიდა მოწვევა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიდან, თუმცა კიეველთა ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელმა, ანატოლი კროშჩენკომ, პირდაპირ თქვა: „ჯანო არსად არ წავა, საქართველოს სახელით ვერ ითამაშებს“! მე გავბრაზდი: „რას ჰქვია, ვერ წავა. სწორედაც რომ წავა“!. კროშჩენკომ კი: „აჰ, ასეა? მაშინ გავაგდებთ კიევის „დინამოდან“.

— ***და ჯანო წავიდა საქართველოს ნაკრებში?***

— რა თქმა უნდა. ორ კვირაში კიევიდან მოდის წერილი: „ჯანო ანანიძე კიევის „დინამოს“ სკოლიდან გარიცხულია“. და ასე წავედით „სპარტაკში“.

— ***როგორ ფიქრობთ, კიევში ნანობენ ასეთი ტალანტის დაკარგვას?***

— არ ვიცი. შემდეგ გაირკვა, რომ იმ წერილით, უბრალოდ, დაგვმუქრებიან, რათა ჯანო მალე დაბრუნებულიყო კიევში. ალბათ, ეგონათ, რომ მე მივიდოდი და მუხლებზე დავდგებოდი, ჩემი ფეხბურთელი დააბრუნეთ-მეთქი.

— ***კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობა ამ ყველაფერზე ინფორმირებული იყო?***

— კლუბის პირველი და მეორე პირები ჭაბუკებს დიდად არ აკვირდებიან. ეს საქმე ახალგაზრდული აკადემიის მწვრთნელებს აქვთ მინდობილი. შემდეგ უკრაინულ პრესაში დაწერეს, ალბათ, ჩელებაძე იტყუებაო. არასოდეს ვიტყუები და არც მომიტყუებია!

— ***სხვათა შორის, მოსკოვის „ტორპედოში“ მარატ იზმაილოვის ტალანტი ვერ შეამჩნიეს და ამის გამო ის მწვრთნელი გაუშვეს. კროშჩენკო ისევ მუშაობს კიევის „დინამოში“?***

— მუშაობს. ღმერთმა ქნას, დიდხანს იმუშაოს და ოჯახი არჩინოს. უბრალოდ, კიევის „დინამო“ ჩემთვის ოჯახივით იყო და მინდოდა, იქ სრული სიმართლე სცოდნოდათ. მათ კლუბიდან გარიცხეს პატარა ბიჭი და ჩვენც წავედით იქ, სადაც ჯანოს ტალანტს აფასებდნენ. რაც მართალია, მართალია!

— ***ჯანოსთვის უკრაინის მოქალაქეობის მიცემა — ეს არ შემოგთავაზეს?***

— შემოგვთავაზეს. სურკისთანაც იყო ამაზე საუბარი. მას სურდა, ჯანო უკრაინელი გამხდარიყო, ჩვენს ნაკრებში ითამაშოსო.

— ***და ჯანომ რა უპასუხა?***

— კატეგორიული უარი უთხრა. თუმცა, მალე ჯანო და მამამისი წაიყვანეს ერთ-ერთ სოფელში და ვფიქრობ, სწორედ „უკრაინელობაზე“ დასაყოლიებლად. ამ დროს ჯანო საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში გამოიძახეს, რაც დიდი სიხარულით მიიღო. შესაძლოა, ანანიძის კიევიდან გარიცხვა სწორედ იმის ბრალია, რომ უკრაინის მოქალაქეობაზე ვერ დაიყოლიეს.

— ***„სპარტაკში“ ხომ არ უწყენინებიათ მინიატურული ანანიძისთვის?***

— ჯანო ამის უფლებას არავის მისცემს. ასეთი ბიჭია!

— ***გაბედულია?***

— ამაყი და კარგად გაზრდილი. მე და ამირანმაც ვასწავლეთ, რომ ვარჯიშებზე უფროსებს უნდა მოუსმინოს. აი, მაგალითად, ბრაზილიელები თამაშობენ ჯანოს გვერდით, ალექსისგან ბევრის სწავლა შეიძლება. ბიჭი „სპარტაკს“ მომენტალურად შეეწყო.

— ***ვის უნდა გადავუხადოთ მადლობა იმისთვის, რომ ჯანო „სპარტაკშია“?***

— ჩემი აზრით, სმოლენცევს. მისი პრინციპულობა გადამწყვეტი ფაქტორი გამოდგა.

— ***და რომ არა ეს პრინციპულობა?***

— მაშინ ჯანო სხვა კლუბში ითამაშებდა.

— ***რომელში? „ბაიერნში“?***

— კიევის „დინამოსთან“ გადამხდარი ამბების შემდეგ „შახტარის“ სასელექციო განყოფილების ხელმძღვანელთან, ვლადიმირ პლოსკინასთანაც მქონდა საუბარი...

— ***პლოსკინა მოულოდნელად გარდაიცვალა...***

— ეს რომ გავიგე, შოკში ვიყავი. ამბობენ, სიმსივნე ჰქონდაო, არადა, 55 წლის იყო. მოკლედ, „სპარტაკის“ ვარიანტი რომ არ გამოსულიყო, შესაძლოა, ჯანო დღეს „შახტარის“ ფეხბურთელი ყოფილიყო. დიდხანს ვმსჯელობდით — სად, მოსკოვში თუ დონეცკში? ამასთან, ევროპული კლუბების ვარიანტებსაც არ გამოვრიცხავდით. იცით, „შახტარს“ უფრო ვუახლოვდებოდით, როცა ჩემმა მეგობარმა ტელეფონით ხელში მოირბინა და მეუბნება: „სმოლენცევი გეძებს“! ვიღებ ტელეფონს ხელში და მესმის: „ჩქარა ჩამოდით, მოსკოვში გელით“! და ჩვენც ჩავედით...

— ***ჯანოს კარპინთან კარგი ურთიერთობა აქვს?***

— ჯანოს ის ძალიან უყვარს და, როგორც მამას, ისე აფასებს.

— ***მის აგენტად ოფიციალურად ითვლებით?***

— ადრე ვიყავი, შემდეგ შევწყვიტე და ახლა ლიცენზია ისევ დავიბრუნე.

— ***რატომ შეგიწყდათ ლიცენზია?***

— ბათუმის „დინამოს“ პრეზიდენტი გავხდი და ლიცენზია ჩამომართვეს. როდესაც საჭირო გახდა „სპარტაკთან“ კონტრაქტის გაფორმება, დიმა გრადილენკოს მოველაპარაკეთ და მან მოაწერა ხელი საბუთებს. უკვე მეორე წელია, ჯანოს აგენტი ვარ.

— ***სხვა აგენტებს არ უნდათ ჯანოს გადაბირება?***

— რამდენს, რომ იცოდეთ. მას ერთი პასუხი აქვს — დაურეკეთ მამას. ამირანთან კი მოკლე საუბარი აქვთ. რას არ სთავაზობდნენ ჯანოს, რომ ხელი მოეწერა.

— ***კონკრეტულად?***

— აგენტის გვარს არ დავასახელებ, მაგრამ 250 კვადრატულ ბინას სთავაზობდნენ თბილისის ცენტრში და 15.000 დოლარს იმ წამსვე.

— ***რა ღირს ბინა თბილისის ცენტრში?***

— საშუალოდ 2.000 დოლარი კვადრატული მეტრი, მაგრამ, შესაძლოა, 3-4 ათასად იშოვო — იქ მოსკოვის ფასები არ არის. ძალიან საწყენი იქნება, თუ ჯანოს მამა მეტყვის, რომ მას სხვა უნდა მისი შვილის აგენტად. ჯანო ვუნდერკინდია და ძალიან შორს წავა. დამიჯერეთ, ფეხბურთში რაღაც მესმის — ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა კავშირის ნაკრებში მითამაშია.

— ***სხვა ფეხბურთელები, რომლებთანაც შეხება გაქვთ, ასე გამორჩეულები არ არიან?***

— ნორმალური ფეხბურთელები არიან, მაგრამ ვარსკვლავობიდან — შორს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ თუ ჯანომ წინსვლა განაგრძო, მეც კარგად ვიქნები.

— ***რუსეთში 3-თვიან ვიზაზე „სპარტაკი“ დაგეხმარათ?***

— დიახ — კლუბი საჭირო კაცს ყოველთვის ეხმარება. ჯანოს კი სამუშაო ვიზა აქვს. მას ახლახან შეუსრულდა 18 წელი.

— ***მოსკოვის ქუჩებში მილიციასთან პრობლემები არ გექმნებათ?***

— ჯერ არ მქონია. როგორც კი ჩემს გვარს ამოიკითხავენ, მაშინვე მიხსენებენ. ერთმა ახალგაზრდა მილიციონერმა ვერ მიცნო და მეორემ აუხსნა, ვინ ვიყავი. საბჭოთა კავშირის ნაკრებს ახლაც აფასებენ.

— ***საბჭოთა კავშირის ნაკრებში 7 მატჩი გაქვთ ჩატარებული. რომელს გაიხსენებდით?***

— ასეთი ორია. განა ოდესმე დავივიწყებ, 1980 წლის ივნისში ბრაზილიის ნაკრები „მარაკანაზე“ რომ დავამარცხეთ? მატჩი სტადიონის 30-წლიან და ბრაზილიელთა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონობის 10-წლისთავს ეძღვნებოდა. თავიდან გვჯობდნენ, ნუნიესმა გოლი გაგვიტანა, შემდეგ, ჩვენდა საბედნიეროდ, ზიკომ პენალტი ააცილა. ამასობაში ჩვენც გამოვფხიზლდით, ფიოდორ ჩერენკოვმა და სერგეი ანდრეევმა 2 გოლი გაიტანეს და თამაშიც მოვიგეთ.

— ***მეორე?***

— იმავე წლის მაისში მოსკოვში, „ლუჟნიკებზე“, მიშელ პლატინის თამადობით საფრანგეთის ნაკრებს ვუმასპინძლეთ. ისევ ჩერენკოვის გოლით 1:0 მოვიგეთ. ფიოდორი მართლა დიდებული ფეხბურთელი იყო, ხოლო ადამიანი — უბრალო და კეთილი. ასეთები ცოტა არიან. როდესაც რამდენიმე წლის წინ პლატინი თბილისს ეწვია, ის მატჩი გავახსენე. პლატინი გადამეხვია და ვიღაცამ მოასწრო ამ სურათის გადაღება. გასულ წელს საფრანგეთის საელჩოში ვიყავი, 2-წლიანი ვიზა მინდოდა, შანსები კი თითქმის არ მქონდა, რადგან არც მიწვევა და არაფერი გამაჩნდა. სხვა საბუთებთან ერთად, პლატინისთან გადაღებული ფოტოც მივიტანე.

— ***და რა მოხდა მერე?***

— იმუშავა. საელჩოში მკითხეს, თუ საიდან მქონდა ის ფოტო. 3 დღის შემდეგ მივედი და ვიზა ჩარტყმული მქონდა. მადლობა პლატინის!

— ***როგორც ვიცი, ადრე ვალერი გაზაევთან მეგობრობდით. ახლა ურთიერთობა გაქვთ?***

— რა თქმა უნდა. 1986 წელს ვალერი თბილისში გადმოვიდა სათამაშოდ და შეტევაში ერთად ვიყავით. მას შემდეგ ოჯახებით ვმეგობრობთ, მისი მეუღლე თითქმის ჩემი დაა. სახლშიც არაერთხელ ვარ ნამყოფი, როგორც მოსკოვში, ისე — ვლადიკავკაზში.

— ***როდესაც 1973 წელს ერევნის „არარატი“ ჩემპიონი გახდა, გუნდში ცუდი ატმოსფერო იყო. მაგალითად, ოგანეს ზანაზანიანი ვერ იტანდა არკადი ანდრიასიანს. თბილისის „დინამოში“ იყო მსგავსი ფაქტები?***

— ჩვენს კლუბში ასეთი რამ არასდროს მომხდარა, როგორც ერთი ოჯახი, ისე ვიყავით და ეს ცარიელი სიტყვები არ არის. საქართველოში სხვანაირად არც შეიძლება. ფეხბურთელი ან გუნდთან ერთად უნდა ყოფილიყო, ანაც სხვაგან წასულიყო.

— ***„ბოროტი“ ფეხბურთელები თამაშობდნენ თქვენ დროს?***

— არა, ხისტები — ძალიან ბევრი. ასეთები პირველ რიგში მოსკოვის „დინამოს“ მცველები სერგეი ნიკულინი და ალექსანდრე ნოვიკოვი იყვნენ.

— ***თქვენ დროს მძიმე ტრავმები ხშირი იყო?***

— მახსოვს, ხარკოვის „მეტალისტის“ ფეხბურთელი სერგეი მალკოვი შოთა ხინჩაგაშვილს შეეჯახა და ფეხი მოსტყდა. ასევე ლესელიძეში ვიყავით შეკრებაზე და კიეველებს ვარჯიშისას გვერდით რომ ჩავუარეთ, ვიქტორ კოლოტოვის საშინელი ყვირილი გავიგონეთ — მუხლი თითქმის თეძოსთან ჰქონდა ატანილი.

— ***ეს მართლაც საშინელი სანახავი იქნებოდა.***

— ჩემ გვერდით ჩვენი ექიმი მოდიოდა. იმათ ექიმზე სწრაფად მიირბინა და აკურატულად დააბრუნა მუხლი თავის ადგილზე. კოლოტოვმა შემდეგ კიდევ ერთი წელი ითამაშა, ჩვენი ექიმი კი „დინამოდან“ წასვლის შემდეგ მეცნიერებაში ჩაერთო და ბოლოს აკადემიკოსი გახდა.

— ***ყველაზე სასიამოვნო პრემიალური რა გახსენდებათ?***

— 56 მანეთი და 40 კაპიკი. ზუსტად ამდენი მივიღეთ, როდესაც 1979 წელს კიევის „დინამო“ დავამარცხეთ. კიეველებიც დიდხანს იცინოდნენ, ეს ამბავი რომ შეიტყვეს, რადგან მათი პრემიები გაცილებით დიდი იყო. ჩვენთან მხოლოდ 80-იანი წლებიდან დაიწყეს ნორმალური ხელფასები.

— ***თბილისის „დინამოს“ ყოფილმა მწვრთნელმა გერმან ზონინმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ ფხიზელი ქართველი არ უნახავს. თავად შეხვედრიხართ ფეხბურთელებში ასეთს?***

— ხინჩაგაშვილი არ სვამდა, არც სულაქველიძე, როდესაც ფეხბურთს თამაშობდა, ვოვა გუცაევი, რომელიც ოსური წარმოშობის არის.

— ***თავად უფრო რომელ სასმელს ეტანებით?***

— ადრე — ღვინოს, მაგრამ, სულს რომ ესიამოვნოს, ძალიან ბევრი უნდა დალიო, ამიტომ ახლა უფრო ვისკის ვამჯობინებ.

— ***დიდი ხანია ეწევით?***

— მე-8 კლასიდან.

— ***მერე, თამაშში ხელს არ გიშლიდათ?***

— სეზონის წინ გადავაგდებდი ხოლმე, მაგრამ შემდეგ ორმაგი ძალით ვეწეოდი. ისე, ნახევარი თბილისის „დინამო“ ეწეოდა.

— ***გვეგონა, რომ — მთელი გუნდი.***

— ეს საბჭოთა კავშირის ნაკრების ყველა ფეხბურთელი ეწეოდა. ერთი შემთხვევა გამახსენდა — „დინამო“ იტალიაშია და ამხანაგური მატჩი უნდა ვითამაშოთ. თითქოს ძირითად შემადგენლობაში უნდა მეთამაშა, მაგრამ ბოლო წამს ნოდარ ახალკაცმა თადარიგში დამტოვა. მატჩის შემდეგ მაღაზიებში უნდა გავსულიყავით. მე ხასიათზე არ ვიყავი, ავტობუსში მოვბრუნდი და ახალკაცის ადგილზე დავჯექი. თან ვეწევი, თან გუნდელებს ვესაუბრები. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა და... ჩელებაძე, შენი დედა, სიგარეტს ეწევი? მოვბრუნდი და კინაღამ მოვკვდი — ახალკაცი მაღაზიებში მგონია, ის კი ავტობუსში ამოსულა.

— ***საქართველოს ძველ და ახალ პრეზიდენტებს იცნობთ?***

— შევარდნაძეს ერთხელ შევხვდი ბანკეტზე. მაშინ ჩემი სადღეგრძელო თქვა და მოსვა. რაც შეეხება სააკაშვილს, როდესაც პირველად პრეზიდენტად აირჩიეს, აგარაკზე მიმიწვია, სადაც ფეხბურთი ვითამაშეთ.

— ***თქვენ ითამაშეთ?***

— მართალია, თამაშს ვერ დავარქმევ, რადგან 150 კილო ვარ. უფრო დავდიოდი მოედანზე. შემდეგ სუფრა გაიშალა და იქ გადავინაცვლეთ.

— ***ვახტანგ კიკაბიძეს იცნობთ?***

— აბა, რა! ბუბა ჩემი მეგობარია და ფეხბურთიც ძალიან უყვარს. მართალია, ბოლო დროს უკვე სტადიონს აღარ ეკარება, მაგრამ მისი კარგად მესმის — საქართველოს ჩემპიონატში კარგს ვერაფერს დაინახავს. საბჭოეთის დროს კი ჩვენს თამაშებს არ აცდენდა.

— ***თავად თუ გინახავთ, ფეხბურთს რომ თამაშობდეს?***

— არა. მას ყურება უფრო უყვარს.

— ***ვიცით, რომ მოსკოვში დიდი ხანია არ ჩამოსულა.***

— 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, როდესაც რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტი მოხდა. მაშინ ბუბამ მოსკოვში საიუბილეო კონცერტი გადადო და უარი თქვა მეგობრობის ორდენზე. დაჯილდოებისთვისაც ცუდი დრო იყო შერჩეული — ომი ახალი დამთავრებულია და ქართველს ეუბნები, აიღე ორდენიო. ეს ან ადრე უნდა მიეცათ, ან გვიან. მაგალითად, სააკაშვილმა რუსი რომ დააჯილდოვოს, ჩამოვა ის ორდენის ასაღებად? მაშინ რომ ბუბას ის ორდენი აეღო, საქართველოს მოღალატე იქნებოდა. ბუბას კი უყვარს თავისი ქვეყანა.

# ცხელი ხაზი გერმანიაში — ბაიერნი–დორტმუნდი



## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.02 | ასტონ ვილა-ბლექბერნი | 1.8 | 3.5 | 4.5 |
| 26.02 | ევერტონი-სანდერლენდი | 1.8 | 3.25 | 5.0 |
| 26.02 | ნიუკასლი-ბოლტონი | 2.15 | 3.1 | 3.6 |
| 26.02 | უიგანი-მანჩესტერი | 6.0 | 3.6 | 1.6 |
| 26.02 | ვულვზი-ბლექპული | 1.91 | 3.3 | 4.2 |
| 27.02 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 3.4 | 3.1 | 2.25 |
| 27.02 | სიტი-ფულემი | 1.57 | 3.6 | 6.5 |
| 28.02 | სტოკი-ვესტ ბრომვიჩი | 2.0 | 3.2 | 4.0 |

**ასტონ ვილა — ბლექბერნი**

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-კარლოს ხიმენესი, ლუკ იანგი, ფაბიენ დელფი, ანდრეას ვაიმანი; ***დისკვ***-ჟან მაკუნი

ბლექბერნი: ***ტრავმ***-გაელ ჟივე, ფილ ჯონსი

**ევერტონი — სანდერლენდი**

ევერტონი: ***ტრავმ***-ლუი საა, ჯეკ როდველი, როს ბარკლი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-დევიდ მეილერი, დანი ველბეკი, ლი კატერმოლი, მაიკლ ტერნერი, ფრაიზერ კემბელი

**ნიუკასლი — ბოლტონი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-შოლა ამეობი, სტივენ აირლანდი, ალან სტიმი, ჰატემ ბენ არფა

ბოლტონი: ***ტრავმ***-ზატ ნაითი, ლოიდ სამუელი

**უიგანი — მანჩესტერი**

უიგანი: ***ტრავმ***-არავინ

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ანდერსონი, მაიკლ ოუენი, ჯი სუნგ პარკი, უოენ ჰარგრივზი, ჯონათან ევანსი, რიო ფერდინანდი, ანტონიო ვალენსია

**ვულვზი — ბლექპული**

ვულვზი: ***ტრავმ***-რონალდ ზუბარი, მაიკლ კიტლი

ბლექპული: ***ტრავმ***-პოლ რაჩუბკა, მეტიუ გილკსი, სტივენ გრაინეი, კრის ბაშამი, ბილი კლარკი; ***დისკვ***-ჩარლი ადამი, სტივენ ჰასბანდი

**ვესტ ჰემი — ლივერპული**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჯეიმ ტომკინსი, მეტიუ აპსონი, რობი კინი, პეტერ კურუჩი

ლივერპული: ***ტრავმ***-სტივენ ჯერარდი (?), ჯო კოული (?), ენდრიუ კეროლი

**სიტი — ფულემი**

სიტი: ***ტრავმ***-შეი გივენი, მაიკ რიჩარდსი, ნაიჯელ დე იონგი, ადამ ჯონსონი; ***დისკვ***-აბდულ რაზაკი

ფულემი: ***ტრავმ***-დიკსონ ეტუხუ, ფილიპ სენდეროსი

**სტოკი — ვესტ ბრომვიჩი**

სტოკი: ***ტრავმ***-მეტიუ ეტერინგტონი, მამადი სიდიბე

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-პაბლო იბანიესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 26 | 16 | 9 | 1 | 57:25 | 57 |
| 2.არსენალი | 27 | 17 | 5 | 5 | 57:27 | 56 |
| 3.სიტი | 27 | 14 | 7 | 6 | 43:24 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38:31 | 47 |
| 5.ჩელსი | 26 | 13 | 6 | 7 | 46:22 | 45 |
| 6.ლივერპული | 27 | 11 | 6 | 10 | 35:32 | 39 |
| 7.სანდერლენდი | 27 | 9 | 10 | 8 | 33:33 | 37 |
| 8.ბოლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 38:37 | 36 |
| 9.ნიუკასლი | 27 | 9 | 8 | 10 | 42:38 | 35 |
| 10.სტოკი | 27 | 10 | 3 | 14 | 31:34 | 33 |
| 11.ბლექბერნი | 27 | 9 | 5 | 13 | 34:42 | 32 |
| 12.ბლექპული | 27 | 9 | 5 | 13 | 42:51 | 32 |
| 13.ფულემი | 27 | 6 | 13 | 8 | 28:28 | 31 |
| 14.ევერტონი | 27 | 6 | 12 | 8 | 33:36 | 30 |
| 15.ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25:35 | 30 |
| 16.ას. ვილა | 27 | 7 | 9 | 11 | 31:46 | 30 |
| 17.ვესტ ბრომ. | 27 | 7 | 7 | 13 | 35:52 | 28 |
| 18.უიგანი | 26 | 5 | 12 | 9 | 27:42 | 27 |
| 19.ვესტ ჰემი | 27 | 5 | 10 | 12 | 30:48 | 25 |
| 20.ვულვზი | 27 | 7 | 4 | 16 | 27:46 | 25 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.02 | იუვენტუსი-ბოლონია | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 26.02 | კატანია-ჯენოა | 2.5 | 3.0 | 3.0 |
| 27.02 | ბარი-ფიორენტინა | 3.5 | 3.1 | 2.2 |
| 27.02 | ბრეშა-ლეჩე | 2.05 | 3.2 | 3.75 |
| 27.02 | კალიარი-ლაციო | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 27.02 | ჩეზენა-კიევო | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 27.02 | პალერმო-უდინეზე | 2.35 | 3.1 | 3.2 |
| 27.02 | რომა-პარმა | 1.57 | 4.0 | 5.5 |
| 27.02 | სამპდორია-ინტერი | 4.0 | 3.2 | 2.0 |
| 28.02 | მილანი-ნაპოლი | 1.75 | 3.6 | 4.75 |

**იუვენტუსი — ბოლონია**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მოჰამედ სისოკო, ფაბიო კვალიარელა, პაოლო დი ჩელიე, ლეანდრო რინაუდო; ***დისკვ***-ჯანლუიჯი ბუფონი

ბოლონია: ***ტრავმ***-ვანგელის მორასი, ალბინ ეკდალი, გეორგ გარიგსი; ***დისკვ***-გასტონ რამირესი

**კატანია — ჯენოა**

კატანია: ***ტრავმ***-რაფაელ მარტინიო. კრისტიან ტერლიცი, ჩირო კაპუანო, ჯუზეპე ბელუჩი, მარიანო იზკო; ***დისკვ***-ნიკოლას სპოლი

ჯენოა: ***ტრავმ***-ომარ მილანეტო, ჩიჩო, აბდულაიეკონკო, მატია დესტრო; ***დისკვ***-რაფინია

**ბარი — ფიორენტინა**

ბარი: ***ტრავმ***-რუდოლფი, სერხიო ალმირონი, ნიკოლა ბელმონტე, ვიტალი კუტუზოვი, სალვატორე მასიელო; ***დისკვ***-მარკო როსი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მარიო სანტანა, პერ კროლრუპი, სებასტიენ ფრეი, სტევა იოვეტიჩი

**ბრეშა — ლეჩე**

ბრეშა: ***ტრავმ***-ნიკოლას კორდოვა, ანტონიო ფილიპინი, მატეო სერენი, სიმონე დალამანო

ლეჩე: ***ტრავმ***-დავიდ დი მიკელე, სტეფანო ფარარიო, ოფერე, ნენად ტომოვიჩი, ალბერტო გუალიატო; ***დისკვ***-ჯუზეპე ვივესი, გილერმო ჯიაკომაცი

**კალიარი — ლაციო**

კალიარი: ***ტრავმ***-არავინ

ლაციო: ***ტრავმ***-ფერნანდო მუსლერა, სტეფანო მაური, სიმონე დელ ნერო, მობიდო დიაკატე, ტომაზო როკი

**ჩეზენა — კიევო**

ჩეზენა: ***ტრავმ***-არავინ

კიევო: ***ტრავმ***-ლუჩიანო; დისკვ-ბოსტიან სესარი, ლუკა რიგონი

**პალერმო — უდინეზე**

პალერმო: ***ტრავმ***-ფაბრიციო მიკოლი, მიკელე პოლუჩი, მატია კასანი, მატეო დარმიანი, დორინ გოიანი, მაურისიო პინილია; ***დისკვ***-სანტიაგო გარსია

უდინეზე: ***ტრავმ***-გაბრიელ ანგელა, დუშან ბასტა, დამიანო ფერონეტი

**რომა — პარმა**

რომა: ***ტრავმ***-სიმონე პეროტა, პაოლო კასტელინი, ადრიანო; ***დისკვ***-ფილიპ მექსე, ლეანდრო გრეკო, ალეანდრო როსი

**სამპდორია — ინტერი**

სამპდორია: ***ტრავმ***-ფერნანდო ტისონე, ლუჩიანო ძაური, სტეფანო ლუჩინი, ნიკოლა პოცი, ფრანკო სემიოლი

ინტერი: ***ტრავმ***-ანდრეა რანოკია, ტიაგო მოტა, ივან კორდობა, დიეგო მილიტო, ვალტერ სამუელი; ***დისკვ***-მაიკონი

**მილანი — ნაპოლი**

მილანი: ***ტრავმ***-ლუკა ანტონინი, დანიელე ბონერა, ანდრეა პირლო, მასიმო ამბროზინი, ჯანლუკა ძამბროტა

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლუიჯი ვიტალე, ჯანლუკა გრავა; დისკვ-ეზეკიელ ლავეცი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 26 | 16 | 7 | 3 | 46:20 | 55 |
| 2.ნაპოლი | 26 | 16 | 4 | 6 | 41:22 | 52 |
| 3.ინტერი | 26 | 15 | 5 | 6 | 47:29 | 50 |
| 4.ლაციო | 26 | 14 | 6 | 6 | 33:22 | 48 |
| 5.უდინეზე | 26 | 13 | 5 | 8 | 42:30 | 44 |
| 6.რომა | 26 | 12 | 6 | 8 | 39:36 | 42 |
| 7.იუვენტუსი | 26 | 11 | 8 | 7 | 41:32 | 41 |
| 8.პალერმო | 26 | 12 | 4 | 10 | 44:36 | 40 |
| 9.კალიარი | 26 | 10 | 5 | 11 | 32:28 | 35 |
| 10.ჯენოა | 26 | 9 | 8 | 9 | 24:25 | 35 |
| 11.ფიორენტ. | 26 | 8 | 9 | 9 | 28:28 | 33 |
| 12.ბოლონია | 26 | 9 | 8 | 9 | 27:34 | 32 |
| 13.კიევო | 26 | 7 | 10 | 9 | 28:29 | 31 |
| 14.სამპდორია | 26 | 7 | 10 | 9 | 23:27 | 31 |
| 15.პარმა | 26 | 6 | 9 | 11 | 25:36 | 27 |
| 16.ლეჩე | 26 | 7 | 6 | 13 | 28:46 | 27 |
| 17.კატანია | 26 | 6 | 8 | 12 | 23:34 | 26 |
| 18.ბრეშა | 26 | 6 | 5 | 15 | 20:33 | 23 |
| 19.ჩეზენა | 26 | 5 | 7 | 14 | 19:36 | 22 |
| 20.ბარი | 26 | 3 | 6 | 17 | 14:40 | 15 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.02 | ატლეტიკო-სევილია | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 26.02 | ესპანიოლი-სოსიედადი | 2.0 | 3.2 | 4.0 |
| 26.02 | ხიხონი-სარაგოსა | 1.91 | 3.3 | 4.2 |
| 26.02 | მალიორკა-ბარსელონა | 9.0 | 4.2 | 1.4 |
| 26.02 | დეპორტივო-რეალი | 8.0 | 4.0 | 1.44 |
| 27.02 | ერკულესი-ხეტაფე | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 27.02 | ლევანტე-ოსასუნა | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 27.02 | რასინგი-ვილიარეალი | 2.8 | 3.2 | 2.5 |
| 27.02 | ბილბაო-ვალენსია | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 28.02 | მალაგა-ალმერია | 1.91 | 3.3 | 4.2 |

**ატლეტიკო — სევილია**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-პულიდო

სევილია: ***ტრავმ***-სერხიო სანჩესი, ანდრეს პალოპი, რომარიკი, ლუკა გიგარინი, ივიცა დრაგუტინოვიჩი

**ესპანიოლი — სოსიედადი**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ხუან ფორლინი, ვიქტორ ალვარესი, რაულ ბაენა, რაულ როდრიგესი, მანუ მოლინა, ივან ალონსო, პაბლო დანიელი, ივან დე ლა პენია, ფელიპე მატიონი; ***დისკვ***-ფრანსისკო ტორესი

სოსიედადი: ***ტრავმ***-დიეგო უფრანი, ხოსება ლიორენტე; ***დისკვ***-მიკელ არანბურუ

**ხიხონი — სარაგოსა**

ხიხონი: ***ტრავმ***-გარსია ტორე

სარაგოსა: ***ტრავმ***-ლაფიტა, ვიქტორ ლაგუარდია

**მალიორკა — ბარსელონა**

მალიორკა: ***ტრავმ***-ივან რამისი, ვიქტორ კასადესუსი, ტომას პინა

ბარსელონა: ***ტრავმ***-ხავი, ვიქტორ ვალდესი, კარლეს პუიოლი, ჟეფრენი; ***დისკვ***-დანი ალვეში

**დეპორტივო — რეალი**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ხისკო, საული, ანდრეს გუარდადო

რეალი: ***ტრავმ***-სამი ჰედირა, გონსალო იგუაინი

**ერკულესი — ხეტაფე**

ერკულესი: ***ტრავმ***-ნოე პამაროტი, ნელსონ ვალდესი, როისტონ დრენტე, პაკო პენა, მოჰამედ სარი; ***დისკვ***-აბელ აგილარი, სერხიო როდრიგესი, დავიდ კორტესი

ხეტაფე: ***ტრავმ***-ოსკარ უტარი, იბრაჰიმ კასი, მანუ დელ მორალი, ხავიერ არიზმენდი, მარიო; ***დისკვ***-ივან მარკანო

**ლევანტე — ოსასუნა**

ლევანტე: ***ტრავმ***-მიგელ პალარდო, მიგელ პერესი, იგნასიო გონსალესი

ოსასუნა: ***ტრავმ***-კარლოს არანდა, კორო, მიგელ ფლანო, სერხიო, რობერტო, რუპერი

**რასინგი — ვილიარეალი**

რასინგი: ***ტრავმ***-ოსკარ სერანო, პაპა დიუფი, ალექსანდროს ციოლისი; ***დისკვ***-გონსალო კოსტა

ვილიარეალი: ***ტრავმ***-მარკუს სენა, ხუან კარლოსი, ანგელ ლოპესი; ***დისკვ***-ბრუნო

**ბილბაო — ვალენსია**

ბილბაო: ***ტრავმ***-პაბლო ორბაისი, მიკელ სან ხოსე, იბაი გომესი, იონას რამალიო; ***დისკვ***-ანდონი ირაოლა

ვალენსია: ***ტრავმ***-არიტ ადურისი, ვისენტე, დავიდ ალბელდა, სესარი, მიგელ მოია

**მალაგა — ალმერია**

მალაგა: ***ტრავმ***-ხესუს გამესი, ხულიო ბაპტისტა, დუდა, სერხიო ასენხო, რუბენი

ალმერია: ***ტრავმ***-კარლოს გარსია, ალბერტ ხრუსატი, მანუელ ორტისი, მიგელ ნიეტო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 21 | 2 | 1 | 73-13 | 65 |
| 2.რეალი | 24 | 19 | 3 | 2 | 55-19 | 60 |
| 3.ვალენსია | 24 | 14 | 6 | 4 | 38-25 | 48 |
| 4.ვილიარ. | 24 | 14 | 4 | 6 | 42-24 | 46 |
| 5.ბილბაო | 24 | 12 | 2 | 10 | 38-34 | 38 |
| 6.ესპანიოლი | 24 | 12 | 1 | 11 | 30-35 | 37 |
| 7.სევილია | 24 | 10 | 4 | 10 | 36-38 | 34 |
| 8.სოსიედ. | 24 | 11 | 1 | 12 | 35-37 | 34 |
| 9.ატლეტიკო | 24 | 10 | 3 | 11 | 33-31 | 33 |
| 10.ხეტაფე | 24 | 9 | 4 | 11 | 35-38 | 31 |
| 11.მალიორკა | 24 | 9 | 4 | 11 | 25-31 | 31 |
| 12.რასინგი | 24 | 7 | 7 | 10 | 21-33 | 28 |
| 13.დეპორტ. | 24 | 6 | 8 | 10 | 21-35 | 26 |
| 14.ოსასუნა | 24 | 6 | 7 | 11 | 25-30 | 25 |
| 15.ერკულესი | 24 | 7 | 4 | 13 | 24-38 | 25 |
| 16.ხიხონი | 24 | 5 | 9 | 10 | 23-31 | 24 |
| 17.ლევანტე | 24 | 7 | 3 | 14 | 24-36 | 24 |
| 18.სარაგოსა | 24 | 5 | 8 | 11 | 22-37 | 23 |
| 19.ალმერია | 24 | 4 | 9 | 11 | 24-40 | 21 |
| 20.მალაგა | 24 | 5 | 5 | 14 | 31-50 | 20 |

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.02 | კიოლნი — ფრაიბურგი | 2.15 | 3.4 | 3.3 |
| 26.02 | ჰოფენჰაიმი-მაინცი | 2.05 | 3.5 | 3.4 |
| 26.02 | კაიზერი-ჰამბურგი | 3.1 | 3.4 | 2.25 |
| 26.02 | შალკე-ნიურნბერგი | 1.85 | 3.5 | 4.33 |
| 26.02 | ზანქტ პაული-ჰანოვერი | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 26.02 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.8 | 3.75 | 4.2 |
| 27.02 | აინტრახტი-შტუტგარტი | 2.4 | 3.4 | 2.8 |
| 27.02 | ვერდერი-ლევერკუზენი | 3.1 | 3.4 | 2.25 |

**კიოლნი — ფრაიბურგი**

კიოლნი: ***ტრავმ***-სლავომირ პეცკო, ადილ ჩიჩი, ადამ მატიშეკი, კრისტოფერ შორჩი, კევინ მაკკენა, ***დისკვ***-მიშო ბრეჩკო, პეტიტი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-იან როზენტალი, ნიკოლას ჰოფლერი, ჯულიან შუსტერი, ჯონათან ჯაგერი, სიმონ პუპლინი, პაველ კრმასი, ტომი ბეჩმანი

**ჰოფენჰაიმი — მაინცი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ტობიას ვეისი, ანდრეას ლუდვიგი, მანუელ გულდე, ჩინედუ ობასი

მაინცი: ***ტრავმ***-ადამ ზალაი, იან შიმაკი, ბო სვენსონი

**კაიზერი — ჰამბურგი**

კაიზერი: ***ტრავმ***-ივო ილიჩევიჩი, ოლივერ კირხი, ლუკასი, იან შიმუნეკი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-მაქსიმ მოტინგი, თუნაი თორუნი, მუჰამედ ბესიჩი, მიროსლავ შტეპანეკი, რომეო კასტელენი

**შალკე — ნიურნბერგი**

შალკე: ***ტრავმ***-კირიაკოს პაპადოპულოსი, კრისტიან პანდერი, კრისტოფ მორიტცი, ტიმ ჰოოგლანდი, ლევან ყენია

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ნასიმ ბენ ჰალიფა, პასკალ ბიელერი, მაიკ ფრანტცი, იკაი გუნდოგანი, ალბერტ ბუნიაკუ; დისკვ-ალმოგ კოენი

**ბაიერნი — დორტმუნდი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-ივიცა ოლიჩი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-რომან ვაიდენფელენი, სებასტიან კელი, მოჰამედ ზიდანი, დამიენ ლე ტალეკი, შინჯი კაგავა, პატრიკ ოვომოიელა

**აინტრახტი — შტუტგარტი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-ოკა ნიკოლოვი, კაიო, რიკარდო კლარკი, კრისი, ზლატან ბაირამოვიჩი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-სტეფანო ჩელოზი, ფილიპ დეგენი, კაკაუ, პაველ პოგრებნიაკი, არტურ ბოკა, ჩიპრიან მარიკა, მამადუ ბა, იოან აუდელი

**ვერდერი — ლევერკუზენი**

ვერდერი: ***ტრავმ***-საიდ ჰუსეინოვიჩი, ნიკლას ანდერსენი, კრისტიან ვანდერი, ნალდო; ***დისკვ***-ტორსტენ ფრინგსი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ტრანკილიო ბარნეტა, ბენედიქტ ფერნანდესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 23 | 17 | 4 | 2 | 49:13 | 55 |
| 2.ლევერკუზ. | 23 | 13 | 6 | 4 | 48:32 | 45 |
| 3.ბაიერნი | 23 | 12 | 6 | 5 | 49:27 | 42 |
| 4.ჰანოვერი | 23 | 13 | 2 | 8 | 33:31 | 41 |
| 5.მაინცი | 23 | 12 | 1 | 10 | 35:29 | 37 |
| 6.ფრაიბურგი | 23 | 11 | 4 | 8 | 31:30 | 37 |
| 7.ჰამბურგი | 23 | 11 | 3 | 9 | 34:31 | 36 |
| 8.ნიურნბერ. | 23 | 10 | 5 | 8 | 33:31 | 35 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 23 | 8 | 9 | 6 | 40:33 | 33 |
| 10.შალკე | 23 | 8 | 5 | 10 | 28:28 | 29 |
| 11.ზ.პაული | 23 | 8 | 4 | 11 | 27:37 | 28 |
| 12.აინტრახტი | 23 | 8 | 3 | 12 | 24:32 | 27 |
| 13.კიოლნი | 23 | 7 | 5 | 11 | 30:42 | 26 |
| 14.ვერდერი | 23 | 6 | 6 | 11 | 28:48 | 24 |
| 15.ვოლფსბ. | 23 | 5 | 8 | 10 | 27:33 | 23 |
| 16.კაიზერი | 23 | 6 | 5 | 12 | 32:41 | 23 |
| 17.შტუტგარტი | 23 | 5 | 4 | 14 | 40:47 | 19 |
| 18.გლადბახი | 23 | 5 | 4 | 14 | 33:57 | 19 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.02 | არლე-ბრესტი | 3.0 | 3.0 | 2.5 |
| 26.02 | მონაკო-კაენი | 2.0 | 3.1 | 4.2 |
| 26.02 | რენი-ლანსი | 1.73 | 3.3 | 5.5 |
| 26.02 | სოშო-მონპელიე | 2.3 | 3.0 | 3.4 |
| 26.02 | სენტ ეტიენი-ნიცა | 1.8 | 3.2 | 5.0 |
| 26.02 | ვალანსიენი-ლორიენი | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 26.02 | ბორდო-ოსერი | 1.8 | 3.2 | 5.0 |
| 27.02 | ნანსი-მარსელი | 3.6 | 3.2 | 2.1 |
| 27.02 | პსჟ-ტულუზა | 1.73 | 3.3 | 5.5 |
| 27.02 | ლილი-ლიონი | 2.2 | 3.1 | 3.5 |

**არლე — ბრესტი**

არლე: ***ტრავმ***-სირილ მერვილი, ფრანკ დიაჯედე, აიტ ბენ იდირი, ალან ფრანჩონი, ლოიკ აბენზოარი

ბრესტი: ***ტრავმ***-ტომას კოტი, ნოლან რო, ოსმან კულიბალი, ივან ბურჟისი

**მონაკო — კაენი**

მონაკო: ***ტრავმ***-დანიელ ნიკულაე, კრის მალონგა, მუსა მააზუ, სედრიკ მანგოგუ, ჯიმი ტრაორე

კაენი: ***ტრავმ***-ჟერემი სორბონი, ბრანკო ლაზარევიჩი, დამიენ პერკუ

**რენი — ლანსი**

რენი: ***ტრავმ***-კანა ბიიკი, იასინ ბრაჰიმი, კადერ მანგანე, ეკოკო, სილვიენ მარვო, ონიეკაჩი აპამი

ლანსი: ***ტრავმ***-სიდი კეიტა, ადილ ჰერმაჩი, სიტუ ბუიენტე, ერიკ ჩელე

**სოშო — მონპელიე**

სოშო: ***ტრავმ***-ჟერემი ბრეჩე, ედუარდ ბუტინი, იასინ მიკარი

მონპელიე: ***ტრავმ***-ჯონ უტაკა, ბენგალი კოიტა, ლეგრა, ნენად ძოძიჩი

**სტ.ეტიენი — ნიცა**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ბუბაქარ სანოგო, სესარ ალონსო, ლორის ნერუ, აბდულაიე კულიბალი, იოან ენდრიუ

ნიცა: ***ტრავმ***-აბეიკუ ქუნსა, დავიდ ჰელებიუკი

**ვალანსიენი — ლორიენი**

ვალანსიენი: ***ტრავმ***-კრისტოფერ მფუი, გილომ ლორიო, ფუდ კადირი, ჯონათან ლაკური

ლორიენი: ***ტრავმ***-ბრუნო მანგა, ლამინე კონე, ფაბიენ რობერი, ოლივიე მონტერუბიო, არნო ლე ლანი

**ბორდო — ოსერი**

ბორდო: ***ტრავმ***-იოან გუფრანი, მარკ პლანუსი, კარლოს ენრიკე, აბდულაიე კეიტა

ოსერი: ***ტრავმ***-შტეფან კრისტინგი, რემი როი, ალან ტრაორე, პასკალ მინიო, დელვინ ნდინგა, იაია სანოგო, ალექსანდერ ლიკატა

**ნანსი — მარსელი**

ნანსი: ***ტრავმ***-ჯოანათან ბრისონი, სამბა დიაკიტე, ბაკაი ტრაორე, ჯენარო ბრაჩილიანო

მარსელი: ***ტრავმ***-ჟულიენ როდრიგესი, ვიტორიო ჰილტონი

**პსჟ — ტულუზა**

პსჟ: ***ტრავმ***-ზუმანა კამარა

ტულუზა: ***ტრავმ***-მეტიუ ვალვერდე, მოჰამედ ფოფანა, ხავიერ პენტეკოტე, იოან პელე

**ლილი — ლიონი**

ლილი: ***ტრავმ***-ემერსონი

ლიონი: ***ტრავმ***-ლისანდრო ლოპესი, ედერსონი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 24 | 12 | 9 | 3 | 42-23 | 45 |
| 2.რენი | 24 | 12 | 7 | 5 | 28-18 | 43 |
| 3.მარსელი | 24 | 11 | 9 | 4 | 34-20 | 42 |
| 4.ლიონი | 24 | 11 | 8 | 5 | 38-24 | 41 |
| 5.პსჟ | 24 | 11 | 8 | 5 | 37-24 | 41 |
| 6.მონპელიე | 24 | 10 | 7 | 7 | 21-23 | 37 |
| 7.სტ.ეტიენი | 24 | 9 | 8 | 7 | 33-30 | 35 |
| 8.ლორიენი | 24 | 10 | 4 | 10 | 32-31 | 34 |
| 9.ბრესტი | 24 | 9 | 7 | 8 | 25-24 | 34 |
| 10.ტულუზა | 24 | 10 | 3 | 11 | 26-26 | 33 |
| 11.ბორდო | 24 | 7 | 10 | 7 | 29-30 | 31 |
| 12.სოშო | 24 | 9 | 4 | 11 | 39-31 | 31 |
| 13.ვალანს. | 24 | 7 | 9 | 8 | 30-27 | 30 |
| 14.კაენი | 24 | 7 | 7 | 10 | 26-34 | 28 |
| 15.ნანსი | 24 | 8 | 4 | 11 | 26-39 | 28 |
| 16.ოსერი | 24 | 4 | 14 | 6 | 29-30 | 26 |
| 17.ნიცა | 24 | 6 | 8 | 10 | 15-27 | 26 |
| 18.ლანსი | 24 | 5 | 9 | 10 | 26-42 | 24 |
| 19.მონაკო | 24 | 4 | 12 | 8 | 23-26 | 24 |
| 20.არლე | 24 | 1 | 7 | 16 | 12-44 | 10 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ილია მეორე: ხილულ ტაძარში სულიერი ტაძარიც აშენდება

მახათას მთაზე, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა , მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის პარაკლისი გადაიხადა.

მახათას მთაზე, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის ტაძარის მშენებლობისთვის გაწეული ღვაწლისთვის ილია მეორემ პაატა ბურჭულაძეს საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი გადასცა.

პარაკლისის შემდეგ კი უწმინდესმა იქადაგა და მრევლს მიმართა. როგორც პატრიარქმა ბრძანა,ბედნიერია ის ერი, რომელიც აშენებს ტაძარს, რადგან ხილულ ტაძარში სულიერი ტაძარიც აშენდება.

— მე განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა პაატა ბურჭულაძეს, რომელმაც ითავა ტაძრის მშენებლობა, — ბრძანა უწმინდესმა.

**მედიანიუსი**

# აშშ პარტნიორებს სომალელი მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებს

აშშ საერთაშორისო პარტნიორებს მოუწოდებს, რომ გადადგან ერთობლივი ნაბიჯი და სომალელი მეკობრეების წინააღმდეგ ზღვაში საერთო საბრძოლო ოპერაციები აწარმოონ.

ამერიკელი მაღალჩინოსნების მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება ბოლო დროს გახშირებულ თავდასხმებს უკავშირდება. ერთ-ერთი ბოლო ასეთი ფაქტი 18 თებერვალს, ღამით ომანის სანაპიროსთან მოხდა. ამ თავდასხმას ორი ამერიკელი პენსიონერის, გენ და სკოტ ადამსების სიცოცხლე შეეწირა. ისინი ამ სანაპიროსთან კერძო იახტით იმყოფებოდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ფილიპ კროულის განცხადებით, ისინი ამ ფაქტით შეშფოთებულები არიან და ყველანაირად ეცდებიან, თითოეული მოქალაქის სიცოცხლე დაიცვან.

**მედიანიუსი**

# მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს მკვლელობაში ბრალდებული, 35 წლის. კობა თამაზის ძე შათირიშვილი.

შს სამინისტროს ინფორმაციით, 2011 წლის 15 თებერვალს, კობა შათირიშვილმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, სხეულზე მძიმე დაზიანებები მიაყენა 34. ზურაბ მებაღიშვილს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

კახეთის სამხარეო პოლიციამ, ბრალდებული, შემთხვევიდან მესამე დღეს დააკავა. ამოღებულია მკვლელობის იარაღი. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 108-ე და 236-ე მუხლებით.

**მედიანიუსი**

# რადიკალი ისლამისტების გამარჯვება კავკასიისთვის სახიფათოა



კავკასიის საკითხებში ექსპერტ მამუკა არეშიძის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ არაბული სამყაროს რომელიმე სახელმწიფოში რადიკალი ისლამისტები მოწინავე პოზიციებს დაიკავებენ, ეს ყველაფერი ჩრდილოკავკასიასა და შემდეგ უკვე საქართველოზე გავლენას აუცილებლად მოახდენს.

როგორც ექსპერტმა „მედიანიუსს" განუცხადა, ამ ეტაპზე ჩრდილოკავკასიელ მოჯაჰედებს არაბული ქვეყნებიდან დახმარება პრაქტიკულად არ მიეწოდებათ, თუმცა ეს ყველაფერი შესაძლოა შეიცვალოს, თუ ჩრდილოაფრიკაში მიმდინარე არეულობებში რადიკალი ისლამისტები გაიმარჯვებენ.

— არ არის გამორიცხული, რომ არაბული სამყაროს ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც დღეს ასეთი ვნებათაღელვაა, ისლამისტებმა გარკვეული პოზიციები მოიპოვონ. მე არ ვამბობ, რომ გაიმარჯვონ, განსაკუთრებით ეგვიპტეში, მაგრამ შესაძლოა მათ გარკვეული პოზიციები მოიპოვონ. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ჩრდილოკავკასიაში ჯერ კიდევ ხატაბის (ჩეჩენი საველე მეთაური) პერიოდში ერთ-ერთი ძირითადი დამფინანსებელი და მოჯაჰიდების ლიდერი იყო ეგვიპტელი დალალი, ამ მხრივ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს კავშირები შესაძლოა აღდგეს და უფრო გაძლიერდეს კიდეც, იმ შემთხვევაში თუ ისლამისტები მოვლენ რომელიმე არაბული ქვეყნის ხელმძღვანელობაში. თავის დროზე უამრავი არაბი მოჯაჰედი იბრძოდა ჩეჩნების იატაკქვეშეთის შემადგენლობაში და რამოდენიმე მათგანი იქ დღემდე რჩება, — განმარტა არეშიძემ და დასძინა, რომ ერთ-ერთ არაბ მოჯაჰედს თავის დროზე საქართველოსთანაც ჰქონდა კავშირი და მან პანკისის ხეობაში ვაჰაბისტურ მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი.

— სხვათაშორის, ერთ-ეთი მათგანი აბუ ჰალსი არის სულის ჩამდგმელი პანკისის ხეობაში ვაჰაბისტური მოძრაობისა. შემდგომში იგი უკვე ჩეჩნეთშიც იბრძოდა და 2002 წელს იქვე დაიღუპა. რაკსაკვირველია, პროცესები, რომელიც ჩრდილოკავკასიაში ხდება გარკვეულ გამოხმაურებას ჰპოვებს სამხრეთ კავკასიაშიც და ეს განსაკუთრებით იმ მუსლიმანი ფუნდამენტალისტი ლიდერების ქმედებებზე აისახება, რომლებიც არიან აზერბაიჯანშიც და საქართველოშიც. თუ მათ დამატებითი სტიმული მიეცათ და დამატებითი მხარდაჭერა იგრძნეს, ეს მოძრაობები უფრო მეტად გააძლიერდება. დღესდღეობით არაბული სამყაროდან ჩრდილოკავკასიის იატაქვეშეთის დახმარება პრაქტიკულად შეჩერებულია, მაგრამ ეს ყველაფერი შესაძლოა ისევ შეიცვალოს. რეზიუმეს სახით ასეთი რამის თქმა შეიძლება, არაბული სამყაროს რომელიმე სახელმწიფოში ისლამიტების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ისლამური ფუნდამენტალიზმი ჩრდილოკავკასიაში აუცილებლად გაძლიერდება და ეს ყველაფერი გავლენას საქართველოზეც მოახდენს, — აღნიშნა ექსპერტმა და ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებად უნდა მიმართოს პრევენციულ ზომებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ტრადიციული, კავკასიური ისლამის გაძლიერებაზე უნდა იზრუნოს და აქ მცხოვრებ არაბული ქვეყნების წარმომადგენლებს თვალ-ყური ადევნოს.

— პირველ რიგში ხელისუფლებამ კავკასიური, ტრადიციული ისლამის გაძლიერებაზე უნდა იზრუნოს. ამასთან, ხელისუფლება ჩართული უნდა იყოს პროცესებში და მიმდინარე ტენდენციების შესახებ ინფორმაციას სრულად უნდა ფლობდეს. ასევე, საქართველოს და აზერბაიჯანის ხელისუფლებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ არაბული სამყაროს ქვეყნების მოქალაქეებს და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები წარმომადგენლებს, როგორებიც არიან „ჰამასი" და „ჰესბოლა", უნდა გაკონტროლდეს მათი აქტივისტების გადაადგილება, რადგან როგორც ვიცით, ამ ორგანიზაციების წევრები ჩვენი ზოგიერთი მეზობლის მოქალაქეებიც არიან. ყურადღება და სწორი რელიგიური რეგიონალური პოლიტიკა, ეს არის გამოსავალი, — განმარტა ექსპერტმა.

მედიანიუსი

# პროკურატურამ ფულის გამოძალვის ფაქტზე ადვოკატები დააკავა

თბილისის პროკურატურამ თაღლითობის ბრალდებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გამოძალვის ფაქტზე ადვოკატები სოსო ჯღარკავა და ლევან მელქაძე დააკავა.

როგორც „მედიანიუსს" საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს, სოსო ჯღარკავამ და ლევან მელქაძემ განიზრახეს, მოტყუებით დაუფლებოდნენ ლია გაიხარაშვილის კუთვნილ თანხას, რომლის მეუღლეც სერგო დოშოიანი, დაკავებული იყო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტზე და რომლის ინტერესებს იცავდნენ ზემოხსენებული ადვოკატები - ს. ჯღარკავა და ლ. მელქაძე.

განზრახვის ალსასრულებლად, სოსო ჯღარკავამ ლევან მელქაძესთან შეთანხმებით, დაარწმუნა ლია გაიხარაშვილი, რომ სერგო დოშოიანისთვის პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების მისაღწევად საჭირო იყო შესაბამისი თანამდებობის პირისათვის 10 000 ლარის გადახდა, შეთანხმების ფარგლებში დოშოიანს მიესჯებოდა ჯარიმა და პირობითი მსჯავრი, ან უკიდურეს შემთხვევაში, ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამ გზით 2010 წლის სექტემბერში ჯღარკავამ მიიღო მისი დაცვის ქვეშ მყოფის მეუღლისაგან 10 000 (ათი ათასი) ლარი, რომელიც გაუნაწილა ლევან მელქაძეს. ერთი თვის შემდეგ, ნოემბრის დასაწყისში, ჯღარკავამ განუცხადა გაიხარაშვილს, რომ საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად მიღწიეს შეთანხმებას, მაგრამ საჭირო იყო პროკურატურის ანგარიშზე შესატანი 30 000 ლარის წინასწარ გადახდა.

განსასჯელის მეუღლემ ადვოკატთა ეს მოთხოვნაც შეასრულა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სერგო დოშოიანსა და პროკურატურას შორის არ გაფორმებულა საპროცესო შეთანხმება, თბილისის საქალაქო სასამართლომ მას განუსაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, განაჩენი უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც, რის შემდეგაც ლია გაიხარაშვილმა მიმართა სამართალდამცველებს.

თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა ადვოკატების სოსო ჯღარკავასა და ლევან მელქაძის მიერ დიდი ოდენობით თანხის მითვისების ფაქტი. ადვოკატებს ბრალი დაედოთ განსაკუთრებით დიდი ოდენობის ფულადი თანხების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში, დანაშაული გათვლისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ადვოკატებს სოსო ჯღარკავას და ლევან მელქაძეს 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლებამ გარემოვაჭრეებისთვის პირობების გამკაცრება გადაიფიქრა

ხელისუფლებამ ბაზრობებისთვის და ურჩი გარემოვაჭრეებისთვის პირობების გამკაცრება გადაიფიქრა.



როგორც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილმა განაცხადა, მართალია შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტში შესულია, მაგრამ ეს საკითხი დაიხურა. მისი თქმით, პროექტში ბევრი ბუნდოვანებაა და მის ავტორთან შეთანხმდნენ, რომ საკითხი აღარ განიხილება.

კანონპროექტით, ცვლილება უნდა შესულიყო „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში", რომლის მიხედვით, გარემოვაჭრე ფიზიკური პირი 10 ლარით უნდა დაეჯარიმებინათ, თუ ის საქმიანობას შესაბამისი უფლების მიმნიჭებელი აქტის მოთხოვნათა დარღვევით გასწევდა.

იმ შემთხვევაში თუ გარევაჭრობაზე მოთხოვნებს იურიდიული პირი არ შეასრულებდა, მაშინ ის 25 ლარით დაჯარიმდებოდა.

რაც შეეხება ბაზრობებს, პროექტით, ბაზრის ან ბაზრობის მოწყობას თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი წესის დარღვევით, ფიზიკური პირის 100 ლარით დაჯარიმება უნდა გამოეწვია, იურიდიული პირებისა კი 200 ლარით. ამავე პროექტით, თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი წესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში ბაზრის მოყვანის თაობაზე, თვითმმართველი ერთეულის მოთხოვნის შეუსრულებლობა, ფიზიკური პირის 500 ლარით დაჯარიმებას იწვევდა, ხოლო იურიდიული პირის 100 ლარის ოდენობით. კანონპროექტის ავტორი ბათუმის მერია იყო, თუმცა არსებული რედაქციით, აღნიშნული პასუხიმგებლობები, მთელ საქართველოზე ვრცელდებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ღუდუშაურში ვირუსით დაავადებული პაციენტების რიცხვი შემცირდა

ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში მწვავე რესპირატორული ვირუსით დაავადებული პაციენტების რიცხვი შემცირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" კლინიკის სამედიცინო დირექტორმა ზაზა მეტრეველმა გუშინ აცნობა, ბოლო დღეებში ღორის გრიპის ვირუსის სიმპტომების მქონე პაციენტები საავადმყოფოს ნაკლებად აკითხავენ მეტრეველის თქმით, ბოლო პერიოდში ღორის გრიპის ვირუსის გამოსავლენად ანალიზი 6 პაციენტს ჩაუტარდა, რომელთა შორის აღნიშნული ვირუსი არც ერთ პაციენტს არ დაუდასტურდა.

ამ დროისთვის კლინიკაში ღორის გრიპის ვირუსით დაავდებული ერთი პაციენტია, რომელიც სტაციონარიდან სავარაუდოდ, დღეს გაეწერება.

**ინტერპრესნიუსი**



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.


# კოდორის ხეობაში მხოლოდ 28 ოჯახი შემორჩა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ზემო აფხაზეთის საკითხებში მინისტრის მევლუდ ჯაჭვლიანის ინფორმაციით, რუსული ჯარის მიერ ოკუპირებულ კოდორის ხეობაში მოსახლეობის რაოდენობა მუდმივად იცვლება, რადგან დევნილები საკუთარ სახლებს მხოლოდ რამდენიმე დღით სტუმრობენ.

— ჩვენი მონაცემებით, ხეობაში მუდმივად დაახლოებით 28 ოჯახი ცხოვრობს და მოსახლეობის რაოდენობა 40-დან 50-მდე მერყეობს, — აღნიშნა მინისტრმა „მედიანიუსთან" საუბრისას.

რაც შეეხება კოდორში აფხაზებისა და რუსების რაოდენობას, როგორც მევლუდ ჯაჭვლიანმა განაცხადა, ამჟამად იქ დაახლოებით 10 აფხაზი და 150 რუსი მესაზღვრეა დისლოცირებული.

გალის რაიონისგან განსხვავებით, კოდორის ხეობაში იშვიათია მოსახლეობისათვის რუსული პასპორტის მოთხოვნის ფაქტები.

ცნობისთვის: აფხაზეთის მარიონეტულმა რეჟიმმა „რესპუბლიკის" მოსახლეობის აღწერა დაიწყო. კოდორის ხეობასა და აფხაზეთის მაღალმთიან რაიონებში მოსალოდნელი დიდთოვლობის გამო, მათ აღწერა უკვე ჩაატარეს. აღწერის შედეგები ჯერჯერობით უცნობია.

**მედიანიუსი**

## ორშაბათი 28 თებერვალი

06.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 14.00 აქცენტები 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "გამორჩეული სტუმრები" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00 აუდიტორია 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.30 მხ. ფ. **"ორკვირიანი შეტყობინება"** (ს. ბალოკი) 02.20 მოამბე 02.40 ცხოვრება მშვენიერია

08.00 დოკ. ფილმი 09.00 მხ. ფილმი **"ჯუმანჯი"** 11.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.00 რეგიონის დროით 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფ. **"ნუცას სკოლა"** 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფ. **"ცხოველი"** (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 დოკ. ფილმი 15.30 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 16.00 სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 22.00 "ოსკარი 2011" 00.00 საფეხბურთო ღამე 01.00 მხ. ფილმი **"რემბო"** (18) (ს. სტალონე) 03.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "რიპლი" 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.40 პულსი 15.20 სერ. **"ორნახევარი კაცი"** 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სეტუმრად იუმორინასთან 23.30 მხ. ფ. **"მინდა გახსოვდე"** (12) (რ. პატინსონი) (სუბტ.) 01.45 მხ. ფ. **"ტრანსპორტერი"** (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) 03.15 მხ. ფილმი **"ველური ორქიდეა"** (18) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"დაცვის უფლება"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50, 19.30 სერ. **"დიდი ტური"** 14.50 ფერისცვალება 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"წყეული მეფეები"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00 საგალობელი 12.05, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი **"პასტორალი"** 13.30 კონცერტი – თ. ჭოხონელიძე 15.05 სპექტაკლი **"პაკი აძბა"** 17.05 დოკ.ფ."გზა", ფილმი მე-5 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი **"ელისო"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ძველი აფიშა "ჭინჭრაქა" 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკლემ. ფ. **"მეზობლები"** 00.30 სუფთა დაფა

## სამშაბათი 1 მარტი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 თოქ-შოუ "არენა" 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00, 01.20 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 მხ. ფილმი **"ძაღლი"** (12) 01.00 მოამბე 02.20 აუდიტორია 03.20 მხ. ფილმი **"ავტოფოკუსი"** (18) (სუბტ.)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"ორკვირიანი შეტყობინება"** 01.00 მხ. ფილმი **"სრული იზოლაცია"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 ვანოს შოუ 15.30 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 16.00 სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვის უნდა 20 ათასი 23.00 მხ. ფილმი **"ტუჩები გაქირავებით"** (18) (დ. შოუნი) 01.00 პატრული 01.30 მხ. ფილმი **"ტანსაცმელი მკვლელისთვის"** (18)

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "რიპლი" 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 იმედის ფსონი (პირდ.) 15.30 სერ. **"ორნახევარი კაცი"** 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 ნანუკას შოუ 23.30 მხ. ფილმი **"საბედისწერო მოგზაურობა"** (18) (მ. ჯორჯი) (სუბტ.) 01.30 მხ. ფილმი **"მტრის საწოლში"** (12) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) 03.05 მხ. ფილმი **"დრაკონის გზა"** (ბ. ლი) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"დაცვის უფლება"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50 სერ. **"დიდი ტური"** 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"წყეული მეფეები"** 19.30 სერ. **"დიდი ტური"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 11.00 ერთსულოვანი ოჯახი 11.25 მოკლემ. ფ. **"მეზობლები"** 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"ელისო"** 13.10 კონცერტი – ჯ. სეფიაშვილი 15.05 მხ. ფ. **"ჩემი ბოშები"** 16.20 დოკ.ფ."ველური ბუნება" 16.45 მონოსპექტაკლი "აქ მატარებლებს თეთრად ათოვს" 18.00 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 19.15 მხ. ფილმი **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 სღვთისმეტყველო საუბრები 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.25 შარავანდედი

## ოთხშაბათი 2 მარტი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 აუდიტორია 13.30 დამზადებულია საქართველოში 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00 ისტორია 23.00 მხ. ფილმი **"ლოს-ანჯელესის საეცრაზმი"** 01.05 მოამბე 01.25 ჩვენი ეზო 03.25 მხ.ფ.**"მეგობართა წრე"** (12)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"ძაღლი"** 01.00 მხ.ფ.**"ავტოფოკუსი"** (18)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 კომედი შოუ 15.30 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 16.00 სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 22.00 იღბლიანი შოუ 23.00 მხ. ფ. **"პატარძლის მამა 2"** (18) (დ. პლეზანსი) 01.00 პატრული 01.30 მხ. ფილმი **"გადასვლა"** (18) (დ. პლეზანსი)

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "რიპლი" 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 სერ. **"ორნახევარი კაცი"** 15.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 16.20 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 ნანუკას შოუ (გან.) 23.30 "ფეის კონტროლი" 00.30 მხ. ფილმი **"წინასწარმეტყველი"** (12) (ნ. კეიჯი) (სუბტ.) 02.25 მხ. ფ. **"მისტერ და მისის სმიტები"** (12) (სუბტ.) 04.25 მხ. ფ. **"დეჟა ვუ"** (12) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"დაცვის უფლება"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50, 19.30 სერ.**"გაზაფხული"** 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ლომი ზამთარში"** 22.00 სცენა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 სღვთისმეტყველო საუბრები 11.25 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** 13.35 კონცერტი – ანს."რუსთავი" 15.05 მხ. ფ.**"ჩრდილი გზაზე"** 16.25 დოკ.ფ."ველური ბუნება" 16.50 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფ. **"მაისის თოვლი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.35 თეოდორე ტირონი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15, 00.35 სუფთა დაფა 00.50 გადაცემა "კარაბადინი"

## ხუთშაბათი 3 მარტი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ისტორია 13.30 ჩვენი ფერმა 14.00 ცხოვრება მშვენიერია 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "სქესთა საიდუმლო" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძეთან 23.00 სერ. **"ფარი"** (12) 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფ. **"ზედმეტი ბარგი"** (ა. სილვერსტოუნი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"ლოს-ანჯელესის საეცრაზმი"** 01.00 მხ. ფილმი **"მეგობართა წრე"** (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 დოკ. ფილმი 15.30 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 16.00 სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ.**"ელენას მოჩვენება"** 22.00 პროფილი 23.30 ტოტო 00.00 მხ. ფილმი **"პატარა მის ბედნიერება"** (18) (ა. ბრესლინი) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "რიპლი" 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 15.20 სერ. **"ორნახევარი კაცი"** 16.30 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 სერ.**"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ.**"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 00.00 მხ. ფილმი **"ლამაზი მერის ამბავი"** (12) (კ. დიასი) (სუბტ.) 02.20 მხ.ფ.**"ნამდვილი მაკკოი"** (კ. ბესინგერი) (სუბტ.) 04.00 მხ. ფილმი **"მაქსიმალური რისკი"** (15) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ.**"დაცვის უფლება"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50, 19.30 სერ.**"გაზაფხული"** 14.50 სცენა 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ლომი ზამთარში"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 გადაცემა "კარაბადინი" 11.00 სუფთა დაფა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფ. **"მაისის თოვლი"** 13.40 კონცერტი – ლ.პავაროტი 15.05 მხ. ფილმი **"ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა"** 16.35 დოკ. ფ."ველური ბუნება" 17.00 დოკ. ფილმი "მულტიპლიკაციის თავგადასავალი საქართველოში" 18.05 სღვთისმეტყველო საუბრები 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფ. **"მე ვხედავ მზეს"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 მიწათმოქმედი 22.25, 23.15 მუს. ფილმი "წელიწადის დრონი" 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

## პარასკევი 4 მარტი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00, 03.20 მოამბე 12.30 ავტოპილოტი 13.30 ვაშინგტონი დღეს 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძეთან 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "სქესთა საიდუმლო" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 სერ. **"ფარი"** (12) 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფილმი **"ბრალდებული"** (18) 03.20 მხ. ფ. **"კარანდირუ"** (18)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"ზედმეტი ბარგი"** 01.00 მხ. ფ. **"თავისუფლების მწევრავალები"** (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 პროფილი 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 21.00 კურიერი 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 კონცერტი 01.00 მხ. ფ. **"დაბრუნებულია"** (18) (ლ. ბლერი) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ.**"ორნახევარი კაცი"** 12.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.45 მხ. ფილმი 16.45 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 გადაცემა "105 წუთი" (პირდ.) 22.50 მხ. ფილმი (სუბტ.) 01.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ.**"ლობას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ.**"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ.**"ლობას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.00 ღამის შოუ 00.00 მხ. ფ.**"კერკეტი კაკალი 3"** (ბ. უილისი) (სუბტ.) 02.40 მხ. ფილმი **"პელიკანების საქმე"** (12) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) 05.15 მხ. ფილმი **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.)

09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ.**"დაცვის უფლება"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50, 19.30 სერ.**"გაზაფხული"** 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ლომი ზამთარში"** 19.00 მუსიკა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.35 მუს. ფილმი "წელიწადის დრონი" 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფ. **"მე ვხედავ მზეს"** 13.20 კონცერტი – კარაიანი 15.05 მხ.ფ.**"ხევისბერი გოჩა"** 16.35 დოკ.ფ."ველური ბუნება" 17.00 დოკ. ფილმი "უმორჩილესად გთხოვთ" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"არასერიოზული კაცი"** 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დიდი მარხვა 00.35 კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## შაბათი 5 მარტი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფილმი **"პრინცესა გედი"** 11.30 "ბავშვობანა" 12.00, 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 12.15 მხ. ფ. **"ზოროს ნიღაბი"** 14.30 დოკ. ფ. "რეიგანი – შეხვედრა ბედისწერასთან" 16.15 ქართული დოკუმენტალისტიკა 17.00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 ქართ.მხ.ფ.**"მწევრავალი"** 20.00 მოამბე 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 "ევროვიზია 2011 – შიდა შესარჩევი კონკურსი" 23.00 სერ. **"ფარი"** (12) 00.00 მხ. ფილმი **"ოცნების ბოგონები"** (ბ. ნოულზი) 03.40 მხ. ფილმი **"ბრალდებული"** (18)

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 დოკ. ფილმი 19.00 რეგიონის დროით 19.30 საუკუნის პორტრეტები 20.00 მხ. ფ. **"ზოროს ნიღაბი"** 22.05 კონცერტი: შოთა მილორავას საღამო 23.40 წითელი ზონა 00.40 მხ. ფილმი **"ბრალდებული"** (18)

08.00 კურიერი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 სერ.**"ლეგენდა მაძიებელზე"** 11.00 ეკი-ვოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 13.00 მხ. ფილმი **"კუზიანი"** 15.30 ქართ. ფილმი **"ფატიმა"** 17.30 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 18.50 ანაბანა 19.50 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 ქართ. სერ. **"მეზობლები"** 1-ლი ს. 23.00 ქართ. სერ. **"დეტექტივები"** 1-ლი ს. 00.00 მხ. ფ. **"ვიწრო ზღვარი"** (18) (უ. ფერელი) 02.30 მხ. ფილმი **"არიზონული ოცნება"** (18)

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია 11.00 საბ. სერ. 11.30 პულსი 12.00 სერ. **"ვერონიკა მარსი"** 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერ. **"ელიზა"** 15.00 მხ. ფილმი 17.00 მულტფილმი 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ტაქსის მძღოლი"** 21.00 სერ. **"სი ეს აი"** 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "სპანჯბობი" 09.15 მხ. ფილმი **"ახალი რობინზონები"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.10 სერ. **"მონსტრებთან მებრძოლები"** 11.45 სერ. **"შუა ქალაქში"** 12.35 სერ.**"ლობას საიდუმლო"** 14.30 ბოიარის ციხესიმაგრე 15.00 თბილისი ლაივი 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ.**"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ.**"ლობას საიდუმლო"** 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 სერ. **"მკვლელის პორტრეტი"** (15) მე-3ს. 01.00 მხ.ფ.**"საქორწინო წვეულება"** (მ.დუგლასი) (სუბტ.) 03.00 მხ. ფ. **"ოთხი ოთახი"** (15) (ა. ბანდერასი) (სუბტ.) 04.35 მხ. ფ.**"სახიფათო დავალება"** (კ. როკი) (სუბტ.)

09.00, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. **"დაცვის უფლება"** 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 13.15 სერ. **"გაზაფხული"** 14.30 დროის ვექტორი 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ლომი ზამთარში"** 19.30 სერ.**"ორმაგი ცხოვრება"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.20 მულტფილმი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი **"არასერიოზული კაცი"** 13.30 მულტფილმი 15.10 ოპერა 17.30 დოკ. ფ."ველური ბუნება" 18.05 სატ. არქივიდან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.30 მხ. ფილმი **"რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 გამოყენებითი ხელოვნება 21.30 სამედიცინო გადაცემა "კარაბადინი" 22.20 ტაძრები 22.35 ჩემი ქალაქი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 00.25 მხ. ფილმი **"დანაშაული მოხდა"**

## კვირა 6 მარტი

07.30 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები" 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფ.**"პრინცი ბაყაყი"** 12.00, 16.00, 20.00, 03.10 მოამბე 12.15 მხ. ფ. **"ზაზუნას დღე"** 14.00 ჩვენი ფერმა 14.30 სპექტაკლი **"უჩინარი"** 15.30 ჩვენი სამართალი 16.15 ჩვენი ეზო 17.00 დოკ. ფილმი "მოგზაურის დღიური" 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 კონცერტი – ბ. კვერნაძის საიუბილეო საღამო 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 სერ. **"კ-17"** 23.00 სერ. **"ფარი"** (12) 00.00 ღამის საუბრები 01.00 მხ.ფ.**"დონი ბრასკო"** (18) 03.40 აქცენტები

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 სპექტაკლი **"ვეპო"** 17.00 ისტორია 18.00 დოკ. ფილმი 19.00 საუკუნის პორტრეტები 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 პროცესი 21.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.00 მხ. ფ. **"ზაზუნას დღე"** 23.40 კონცერტი: ჩვენებურები 2005 01.20 მხ. ფ. **"კარანდირუ"** (18)

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 ანა-ბანა (გან.) 11.00 საბავშვო ამბები 11.30 მულტფილმი "მხიარული ფერმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი **"სიგიჟემდე შეყვარებული"** 15.20 სერ. **"სიამაყე"** 17.25 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 კომედი შოუ 22.00 ქართ. სერ. **"მეზობლები"** მე-2ს. 23.00 ქართ. სერ. **"დეტექტივები"** მე-2ს. 00.00 მხ. ფილმი **"ფხიზელი ძილი"** (18) (ჯ. ფორდი) 02.20 მხ. ფილმი **"გულის დანაშაულებანი"** (18)

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია 11.00 გადაცემა "ტვ-ტესტი" 11.30 პულსი 12.00 სერ. **"ვერონიკა მარსი"** 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერ. **"ელიზა"** 15.00 მხ. ფილმი 17.00 მულტფილმი 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ტაქსის მძღოლი"** 21.00 სერ. **"სი ეს აი"** 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "სპანჯბობი" 09.15 ან. ფილმი "ბარბი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 12.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 12.35 კონცერტი "ბასტი-ბუბუ" 14.30 სპეცრეპორტაჟი 15.00 ქართ. მხ. ფილმი **"ექსპრეს ინფორმაცია"** 17.30 ბოიარის ციხესიმაგრე 17.45 ეტალონი 19.05 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 20.15 იმედის გმირები 20.30 კონცერტი 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 თბილისი ლაივი 00.00 სერ. **"მკვლელის პორტრეტი"** მე-4ს. 01.00 მხ. ფ.**"ტერმინატორი 3"** (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) 03.10 მხ. ფილმი **"განდგომილები"** (ლ. დი კაპრიო) 05.30 მხ. ფილმი **"ჩვეავად ქცეული ქორწინება"** (კ. ბესინგერი) (სუბტ.)

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. **"დაცვის უფლება"** 10.00 დილის ტალღა 12.00, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 13.00 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ოქროს კერპი"** 19.30 სერ.**"ორმაგი ცხოვრება"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 მულტფილმი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00 სიახლენი 10.35 ჩემი ქალაქი 11.30 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 12.15 მხ. ფილმი **"რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა"** 13.40 ქართ. მულტფილმი 13.50 დიდი მარხვა 14.30 გადაცემა "კარაბადინი" 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.35 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 სუფთა დაფა 17.15 სღვთისმეტყველო საუბრები 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.00 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფ.**"გიორგობისთვე"** 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.40 ოპერა

# შვილს ჩემი არ ესმის



**ნანას 17 წლის ერთადერთი გოგონა ჰყავს, რომელსაც ვერაფერით გაუგო და თითქმის ყოველ საღამოს დედა-შვილი გაუთავებლად ჩხუბობს. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ნანა სულაც არ არის ასაკოვანი და მხოლოდ 35 წლისაა, შვილის გაგება მაინც უჭირს და დღემდე ვერ გაუგია, რატომ ვერ გამონახა ერთადერთ შვილთან საერთო ენა.**

ნანა:

— ერთადერთი შვილის დედა ვარ. ნინუცა სიცოცხლეს მირჩევნია. ძალიან კარგი ბავშვია, როგორც ვიზუალურად, ისე გონებრივად, მაგრამ ერთმანეთის საერთოდ არ გვესმის. როგორ არ ვცადე, რანაირად არ მივუდექი, მაგრამ არაფერი გამომდის. თავისებური ბავშვია, უნდა, რომ სულ მის დაკრულზე ვიცეკვო, ასე კი ნამდვილად არ შემიძლია.

მარტოხელა დედა ვარ და მთელი ამ წლების განმავლობაში ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ ჩემს შვილს ამ ცხოვრებაში არაფერი მოკლდებოდა. ჩემი გათხოვება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა იყო. მხოლოდ 16 წლის ვიყავი, როცა მეზობლის ბიჭი სიგიჟემდე შემიყვარდა და მასზე გათხოვება გადავწყვიტე. მაშინ მეგონა, რომ სიგიჟემდე მიყვარდა, თორემ ახლა ასე აღარ ვფიქრობ. ჩემი მშობლები და მთელი ნათესავები ჩემი გათხოვების სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პატარა ვიყავი, მერე ის ბიჭი ჩემს შესაფერისად არ მიაჩნდათ და მართლაც ასე იყო, თან ჩემზე რვა წლით დიდი. მისი ოჯახი არ იყო ისეთი, რომელიც ჩვენ გვეკუთვნოდა. ამას ძალიან გვიან მივხვდი, მაგრამ ჩადენილი დანაშაულის გამოსწორება უკვე საკმაოდ დაგვიანებული აღმოჩნდა. ჩემი ყოფილი ქმრის მშობლები, სანამ მათთან ვცხოვრობდი, სულ იმას გაიძახოდნენ, ეს ცხვირმოუხოცავი გოგო ამ ჩვენს ბიჭს სახლში რამ მოაყვანინაო. თავიდან მეცინებოდა და მეგონა, ალბათ ასე იმიტომ ამბობენ, რომ პატარა ვარ-მეთქი, მაგრამ ჩემი ასაკისთვის ძალიან ბევრი საქმე ვიცოდი და ცხვირმოუხოცავს ჩემზე ნამდვილად ვერ იტყოდით.

— ***ქმარს რატომ გაშორდით?***

— მისი ნათესავებისა და მშობლების მხრიდან ჩემი შეურაცხყოფა აღარ დამთავრდა. თანდათან ჩემი ქმარიც მათ მხარეს გადავიდა და სულ მიზეზს ეძებდა, რომ ჩემთვის რაიმე საყვედური ეთქვა. ერთი პერიოდი ვუთხარი, ცალკე გადავიდეთ საცხოვრებლად-მეთქი და ამაზეც მეჩხუბა, ასე ალბათ შენმა მშობლებმა დაგარიგესო. ჩემს მშობლებთან ერთად ვაპირებ ცხოვრებას და თუ არ მოგწონს აქაურობა, არავინ გიჭერს, მიბრძანდიო. კიდევ იყო იქ ბევრი ნიუანსი, რომელზეც საჯაროდ ლაპარაკი არ მინდა. ბოლოს მივიღე გადაწყვეტილება, რომ მასთან ცხოვრებას ისევ განათხოვარი ქალის სახელი მქონოდა და მისგან წამოვედი. არც კი გამომკიდებია. ერთხელ არ მოუკითხავს და არ უთქვამს, როგორ ვიყავი და რა მიჭირდა.

— ***არ იცოდა, ორსულად რომ იყავით?***

— როცა მისგან წამოვედი, ეს არც მე ვიცოდი, მაგრამ როცა გავიგე, რომ ორსულად ვიყავი, მასაც გავაგებინე. არც ამით დაინტერესებულა. მალე უცხოეთში წავიდა, იქ ერთ თვეში სხვა ცოლი მოიყვანა. რაღა უნდა მექნა? ალბათ არ ვუყვარდი და ცოლად ზრდილობისთვის მომიყვანა. საკმაოდ ძლიერი აღმოვჩნდი. რომ მეგონა, ამდენ პრობლემას ვერ გავუმკლავდებოდი, პირიქით მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ორსულად ვიყავი, მთელი ცხრა თვე ვიმუშავე, ჩემი სამშობიარო ფული თვითონ მოვაგროვე და მისიანებისთვის არც კი გამიგებინებია, რომ ბავშვი გვეყოლა.

— ***მშობლებმა მიგიღეს?***

— რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქორწინების წინააღმდეგი იყვნენ და ჩემი ყოფილი ქმარი საერთოდ არ მოსწონდათ, ჩემი მშობლები ყველანაირად გვერდში დამიდგნენ. გოგონა მეყოლა, რომელსაც ნინუცა დავარქვით. ის უკვე 17 წლისაა და მამამისს ერთხელაც არ უნახავს.

— ***თქვენი ქმრის ამბები აღარ გაგიგიათ?***

— როგორც გავიგე, მეორე ცოლიც გაუშვია და ახლა მესამე ოჯახი აქვს. როგორც ჩანს, ცოლების კოლექციას აგროვებს. მისი ცხოვრება უკვე საერთოდ აღარ მაღელვებს. ჩემი შვილი რომ არ არსებობდეს, აღარც კი მეხსომებოდა, რომ ოდესღაც გათხოვილი ვიყავი.

— ***შვილთან რა პრობლემები გაქვთ?***

— ნინუცა უკვე 17 წლისაა და მოზარდობის პერიოდი აქვს. ბოლო დროს ძალიან შეიცვალა. აგრესიული და კარჩაკეტილი გახდა. რა არ ვცადე, როგორ არ მივუდექი, მაგრამ საერთო ენა ვერაფრით გამოვნახეთ. სულ უკმაყოფილოა, სულ ბუზღუნებს, ჩემს ერთ სიტყვასაც კი სხვანაირად იგებს და გაუთავებლად მსაყვედურობს. არ ვიცი, როგორ დაველაპარაკო, რა ვუთხრა ისეთი, რომ მეგობრად მიმიღოს და არა მტრად.

მგონია, რომ ჩვენი მთავარი პრობლემა მისი დაქალებია. ძალიან ავარდნილი და აცვენილი გოგონები არიან. ერთს დედა არ ჰყავს და მამას მისი დამორჩილება არ შეუძლია, ამიტომ სიგარეტს ეწევა და დალევაც უყვარს. მისი ჩვენთან მოსვლა არ მსიამოვნებს, მაგრამ ჩემი შვილისთვის პირდაპირ არასოდეს მითქვამს, მასთან არ იმეგობრო-მეთქი. მგონია, თუ დავუშლი, უარესს გააკეთებს და უფრო დაუახლოვდება.

— ***მასთან დალაპარაკება სცადეთ?***

— კი, ძალიან ბევრჯერ დაველაპარაკე, მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდა. მარტო იმას მეუბნება, ჩემი გაგება გიჭირს და არ გიყვარვარო. განა შეიძლება ჩემი ერთადერთი შვილი არ მიყვარდეს, რომელსაც მთელი სიცოცხლე მივუძღვენი?

— ***მაინც რაშია თქვენი შვილის პრობლემა?***

— ერთი პერიოდი ტყუილებს დაეჩვია. რომ მეგონა სკოლაში იყო, თავის დაქალებთან ერთად მაკდონალდსში იჯდა. რამდენჯერმე ტყუილში რომ დავიჭირე, არ მოეწონა, შენ რა, მაკონტროლებო, მითხრა. კიდევ რამდენიმე არასასიამოვნო ფაქტი მოხდა და ამის გამო სერიოზულად ვიჩხუბეთ. ისე გამამწარა, ხელითაც კი შევეხე. ნინუცა სახლიდან წავიდა. იმ ღამეს თუ არ მოვკვდებოდი, არ მეგონა. მეორე დღეს გამოჩნდა და სახლში ორი კვირა ისე ცხოვრობდა, საერთოდ ხმას არ მცემდა.

— ***თქვენი მშობლები არ ელაპარაკებიან?***

— ჩემი მშობლები უკვე ასაკში არიან და მათთან ლაპარაკი საერთოდ არ უნდა. ისევ ჩემს თავზე ავიღე ეს პრობლემა, მაგრამ ჩემს შვილს არაფერი ესმის. არ მინდა გავაკონტროლო, მაგრამ რომ მატყუებს, ამის მოთმენასაც არ ვაპირებ. როცა ჰგონია, რომ მომატყუა და მე სიმართლეს ვეუბნები, ეს უფრო აცოფებს და ჭკუიდან გადადის.

— ***მაინც რას აკეთებს?***

— ვიცი, რომ ვიღაც ბიჭს ხვდება. მასზე გავიკითხე და ცუდი არავის უთქვამს, მაგრამ თვითონ ის ბიჭი რას იფიქრებს ჩემს გოგონაზე, რომელიც მის ერთ დაძახებაზე თავქუდმოგლეჯილი მასთან გარბის? არ მინდა გზას აცდეს და ჩემი შეცდომა გაიმეოროს. მინდა ღირსეულად იცხოვროს და ისეთ ადამიანს დაუკავშიროს თავისი ცხოვრება, როგორსაც იმსახურებს.

ერთხელ გაკვრით ვუთხარი, თურმე შეყვარებული გყოლია, იმ ბიჭს რომ ხვდები, რატომ მიმალავ-მეთქი და კინაღამ გადაირია, საიდან იციო. მაშინვე ერთ თავის დაქალზე იფიქრა, ალბათ იმან დამაბეზღაო, დაურეკა და ისე გალანძღა, არც კი მეგონა, ეს ჩემი შვილი თუ ლაპარაკობდა ასე. აღარ ვიცი რა მოვუხერხო, მინდა მაქსიმალურად გავუგო, მინდა, რომ კარგი გოგო იყოს, წესიერი და ზრდილობიანი. არ მინდა, ქუჩაში რომ გაივლის, მასზე ზურგს უკან ჭორაობდნენ, ამისთვის რას არ ვაკეთებ, მაგრამ ჩემი შვილი თითქოს ყრუა, არაფერი ესმის. თუ არ უნდა, ჩემი ნათქვამიდან არც ერთ სიტყვას არ შეუშვებს თავში. კიდევ იმის იმედი მაქვს, რომ ასაკი აქვს პრობლემატური, ალბათ ნელნელა დალვინდება და მეც დავმშვიდდები და ისიც.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასარგებლო რჩევები

*brdt,tscojhfl*

სწორი კვების შედეგად ადამიანს ბევრი დაავადების თავიდან აცილება შეუძლია. აღმოსავლური მედიცინის წამყვანმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს 15 წესი, რომლის დაცვის შემთხვევაშიც ნებისმიერი ადამიანი მრავალ დაავადებას და, რაც მთავარია, ნაადრევ სიკვდილს აიცილებს თავიდან.

1. არ მიატანოთ ხორცს პური, რადგან ხორცი ცილოვანი პროდუქტია, პური კი — ნახშირწყლოვანი. მათი ერთმანეთთან შერევით საჭმლის მონელება ირღვევა. სასურველია პური ადამიანმა მიიღოს ხორცის მიღებიდან მინიმუმ ერთი საათის შემდეგ.

2. კვერცხი იგივე „ხორცია“, ამიტომ მისი მიღებაც პურთან ერთად დაუშვებელია.

3. კარტოფილი ხორცსა და კვერცხზე უკეთესია, მაგრამ მისი დიდი რაოდენობით მიღება ორგანიზმისთვის მავნებელია, რადგან კარტოფილში შემავალი სახამებელი არ იხსნება არც წყალში, არც ეთერში და არც სპირტში. უხსნადი ნაწილაკები ხვდება სისხლის მიმოქცევის სისტემაში და ანაგვიანებს მას, შემდგომ კი მთელ ორგანიზმს. ჭარბი კარტოფილის მიღება განსაკუთრებით საშიშია მსხვილი ნაწლავისთვის.

4. არ მიატანოთ რძეს პური. აღმოსავლელი მეცნიერების აზრით, დაუშვებელია რძის რომელიმე სხვა პროდუქტთან ერთად მიღება. კარგად დაიმახსოვრეთ — რძე საჭმელია და არა სასმელი! იგი მიეკუთვნება ცილოვან ჯგუფს, ამიტომ ისინი უნდა მივლოთ მცირე რაოდენობით. დიდი რაოდენობით ცილების მიღება ლპობით რეაქციებს იწვევს და წამლავს სისხლს.

5. უმი ხილი და ბოსტნეული ორგანიზმს წმენდს და შხამებისგან ასუფთავებს. იგი დალექილი შხამების მტერია და უმი ხილისა და ბოსტნეულის მიღებით მავნე ნივთიერებები ორგანიზმიდან გამოიდევნება.

6. დაუშვებელია ხილის წვენების გაყინვა, რადგან მათი სტრუქტურა ირღვევა.

7. არ მიიღოთ ხილი და ხილის წვენები დესერტის სახით! ყველა ხილი სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, თუ მას მივიღებთ როგორც დამოუკიდებელ საკვებს. ხილი და ხილისწვენები უკავშირდება თითქმის ყველა პროდუქტს, ისინი ნაწლავში იწვევენ დუღილის პროცესს, არც ადამიანისთვის არ არის სასარგებლო. უმჯობესია წვენები ადამიანმა დილით მიიღოს. რაც შეეხება ხილს, ის ჭამიდან 2-3 საათის შემდეგ უნდა მიირთვათ.

8. ნესვი შესანიშანვი საკვებია, თუმცა არც ერთ პროდუქტს არ ერწყმება.

9. თაფლი ძალიან სასარგებლოა, თუკი მიიღებთ მას მცირე რაოდენობით (1-2 ჩაის კოვზი) და თანაც აუცილებლად მშიერ კუჭზე.

10. არ მიიღოთ კონსერვირებული ხილი და ბოსტნეული, რადგან მათი გამომშრალი სახით მიღება უფრო სასარგებლოა.

11. ყველა სოკო ჯანმრთელობისთვის მავნეა, რადგან სოკოს ცილები ადამიანის ცილების არაადეკვატურია.

12. არ დალიოთ წყალი ჭამის დროს, რადგან წყლის ჭარბი რაოდენობა ათხიერებს კუჭის წვენს და არღვევს მის ფუნქციას. თუ წყალი ძალიან გიყვართ, დალიეთ ის ჭამამდე ერთი საათით ადრე ან ჭამიდან ერთი საათის შემდეგ.

13. წყაროს წყლის ხშირი მიღება ორგანიზმისთვის მავნეა, რადგან მასში ბევრია მარილები. ის კი ორგანიზმში დაილექება.

14. ნოყიერი სადილის შემდეგ არ დაწვეთ ზურგზე, რადგან ამ დროს თორმეტგოჯა ნაწლავი იკუმშება და ზედმეტად იტვირთება. ამავე დროს ხდება ნაღვლის უკუგადაქცევა, რასაც საყლაპავი მილის ანთება, გასტრიტი და კუჭნაწლავის მოშლილობა დაემატება.

15. დაბოლოს, უარი თქვით ყველანაირ საკვებზე კვირაში ერთი დღე და მიიღეთ მხოლოდ წყალი. სასურველია წყალი ყოველთვის მიიღოთ მცირე ყლუპებით და არა ერთბაშად.

*utvhbtkbhtwtgnt,b*

ნიგვზიანი შოკოლადი
200 გრამი გახეხილი ნიგოზი
2 ცალი კვერცხის გული
50 გრამი კაკაო
150 გრამი შაქრის პუდრა
ნახევარი ლიმონი
2 ჩაის კოვზი რომი ან კონიაკი
ვანილი გემოვნებით
მომზადების წესი:

150 გრამი გახეხილი ნიგოზი, შაქრის პუდრა და კაკაოს ფხვნილი ავურიოთ ნახევარი ლიმონის ცედრასთან, ვანილთან, მოხარშულ კვერცხის გულთან და რომთან. ურიეთ იმდენ ხანს, სანამ არ მიიღებთ ერთგვაროვან მასას. ამის შემდეგ გააკეთეთ მრგვალი ფორმის ბურთულები და ამოავლეთ დარჩენილ 50 გრამ გახეხილ ნიგოზში. ნიგვზიანი შოკოლადი მიათავსეთ ლამაზ სინზე და სუფრასთან ისე მიიტანეთ.

*ijrjkflbcyf.byb*

2 ჭიქა რძე
1 სუფრის კოვზი სახამებელი
100 გრამი შოკოლადი
1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი
2 კვერცხის გული
100 გრამი კარაქი
ვანილი გემოვნებით
მომზადების წესი:

ერთი ჭიქა რძე და შაქარი წამოადუღეთ, მეორე ჭიქა რძეში კი გახსენით სახამებელი, კვერცხის გული, გახეხილი შოკოლადი და შეურიეთ შაქრიან რძეს. დადგით ცეცხლზე და ისევ წამოადუღეთ, თან სულ ურიეთ. როცა ერთგვაროვანი მასა გახდება, გადმოდგით და გააცივეთ. მიღებულ მასას დაუმატეთ წინასწარ გათქვეფილი კარაქი, შეურიეთ ვანილი და მოათავსეთ საყინულეში.



*[ fzjcgtxtybf*

1 ცალი კვერცხი
200 გრამი ხაჭო
200 გრამი შაქრის ფხვნილი
250 გრამი მარგარინი
სოდა ძმრით
ვანილი
ფქვილი იმდენი, რომ ცომი ხელზე არ მიგეკროთ.
მომზადების წესი:

კვერცხისა და შაქრის ფხვნილისაგან გავაკეთოთ გოგლი-მოგლი, დავუმატოთ ხაჭო, სოდა-ძმრით, შემდეგ შევურიოთ გამდნარი მარგანირი და ვანილი, ბოლოს კი დავამატოთ ფქვილი. ცომი უნდა გამოვიდეს ნაზი, ისეთი, ხელზე რომ არ მიგეკროთ. მიღებული მასისგან გავაკეთებთ ბურთულებს, დავდებთ ჟარონაზე და გამოვაცხობთ. გამომცხვარ ბურთულებს შეგიძლიათ მოაყაროთ შაქრის პუდრა ან გადაუსვათ შოკოლადის მინანქარი, რომელიც მზადდება შემდეგნაირად: ნახევარ ჭიქა შაქარს დავუმატოთ ერთი ჩაის კოვზი კაკაო და ერთი დესერტის კოვზი ფქვილი. ყველაფერი კარგად ავურიოთ და დავამატოთ ნახევარი ჭიქა წყალი. ვადუღოთ ნელ ცეცხლზე ერთი წუთის განმავლობაში, სანამ გადმოდგამთ, დაამატეთ ვანილი და როცა შეცივდება, გადაუსვით პეჩენიებს.

**თიკო ნინიაშვილი**


## განცხადებები

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერბშტადტი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: თენგიზი; 899-97-37-72 ნარგიზი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

**ნათელმხილველი მანანა იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით. მის: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

# ოპოზიციის გაერთიანებას არ უნდა ველოდოთ

პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილის შეფასებით, უახლოეს მომავალში ოპოზიციური სპექტრის გაერთიანებას აღარ უნდა ველოდოთ. ეს პარასკევს„ვარდების მოედანზე“ სამარშრუტო ტაქსების მძღოლების მიერ გამართულმა საპროტესტო აქციამაც დაადასტურა, სადაც მხოლოდ რამდენიმე ოპოზიციონერი ლიდერი მივიდა.

როგორც პოლიტოლოგმა „მედიანიუსს“ განუცხადა, ოპოზიციურმა პარტიებმა სხვადასხვა გზა აირჩიეს — რამდენიმე პარტია მხოლოდ სააარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს, „სახალხო კრებას“ პოლიტიკური და გლობალური მოთხოვნები აქვს, ხოლო ზოგიერთი პარტია კი მარტო სოციალურ პრობლემებზე ლაპარაკით შემოიფარგლება. აღნიშნული პოლიტიკურ ძალების გზები კონკრეტულ თემატურ — სოციალურ საკითხზე არ იკვეთება, რაც შეცდომაა, რადგან საქართველოში ხალხის საპროტესტო აქციაზე გაყვანა სოციალური მოთხოვნებით უფრო ადვილია, ვიდრე პოლიტიკურით.

— საქართველოში არსებობს რამდენიმე ოპოზიციური პარტია, რომლებიც არავითარ შემთხვევაში სხვის მოწყობილ აქციაზე არ მიდიან, თუმცა თვითონ როცა აწყობენ, შემდეგ უკვე სხვები აღარ მიდიან მათ აქციაზე. რასაკვირველია, ეს ოპოზიციისთვის ცუდია. ვერ წარმომიდგენია, რომ ქართული ოპოზიციური პარტიები კიდევ ერთხელ ერთად დადგებიან, ეს უკვე გამორიცხულია, თუმცა მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ არაბული ქვეყნების მაგალითი, სადაც არც ოპოზიციის ერთობა და არც ქარიზმატული ლიდერი არ არსებობდა - ხალხი ქუჩაში თავისით გავიდა. სავარაუდოდ, ოპოზიცია საქართველოშიც ამას ელოდება — თუ უკიდურესად გაჭირვებული ხალხი საბოლოოდ ქუჩაში თავისით მაინც გავა, მაშინ მათთან ალბათ ყველა ოპოზიციური პარტია მივა, — აღნიშნა პოლიტოლოგმა და დასძინა, რომ დღეს საქართველოში ახლო აღმოსავლეთზე, მაგალითად ტუნისზე, გაუსაძლისი მდგომარეობაა შექმნილი და ამ ფონზე სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობა ოპოზიციის მოწოდებას აღარ უნდა დაელოდოს და თავისი პროტესტი ქუჩაში შესაბამის აქციაზე გამოხატოს.

პოლიტოლოგი სამარშრუტო ტაქსების მძღოლების პრობლემებსაც შეეხო და განაცხადა, რომ სამარცხვინოა ის უკანონო ქმედებები, რასაც მერიის წარმომადგენლები მძღოლების წინააღმდეგ ახორციელებენ.

**მედიანიუსი**

# დიდუბის რამდენიმე ქუჩას გაზმომარაგება შეუწყდება

გაზსადენზე ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად დიდუბის რამდენიმე ქუჩას გაზმომარაგება შეუწყდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისიდან“ აცნობეს, მიწისქვეშა საშუალო წნევის გაზსადენზე ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად 26 თებერვალს დილის 09.00 საათიდან გაზმომარაგება შეუწყდება დიდუბის რაიონის ნაწილს: წერეთლის გამზირს №87-115, სამტრედიის ქუჩას, აგლაძის ქ. 34-ის კორპუსებს, სტანისლავსკის ქ. 12ა, 12ბ. გაზმომარაგების აღდგენა იმავე დღეს 12.00 საათიდან ეტაპობრივად დაიწყება.

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ მომხმარებლებს ბოდიშს უხდის დისკომფორტისთვის და მოუწოდებს დაკეტილ მდგომარეობაში იქონიონ ბინებში არსებული გაზის დანადგარები.

**ინტერპრესნიუსი**

# სასტუმრო „ბეტსში“ გიგა ბოკერიასა და ირაკლი ალასანიას შეხვედრა გაიმართა

სასტუმრო „ბეტსში“ უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიასა და „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის, ირაკლი ალსანიას შეხვედრა გაიმართა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პარტიის პრესმდივანმა, ვაკო ავალიანმა აცნობა.

მისი ინფორმაციით, ბოკერიამ და ალასანიამ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და უსაფრთხოების კონცეფციაზე ისაუბრეს.

— ჩვენთვის, ისევე როგორც ქვეყნისთვის, ეს საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია, — აღნიშნა ავალიანმა.

შეხვედრა ხუთშაბათ საღამოს, დაახლოებით 22:00 საათზე, გიგა ბოკერიას ინიციატივით შედგა. ბოკერიასა და ალასანიას პირისპირ შეხვედრა გასულს წელსაც შედგა.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველო ერთი კაცის ჯიბის ქვეყანა არ იქნება

„ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი ხელისუფლებას კიდევ ერთხელ აკრიტიკებს და ქვეყნის საბჭოური მეთოდებით მართვაში ადანაშაულებს.

— „ქართულ პარტიას“ მკაფიო მიზანი აქვს - საბჭოური მენტალიტეტის მქონე ხელისუფლების შეცვლა; ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა თავიდან ავიცილოთ სააკაშვილის „კადაფიზაცია“. არ დავუშვებთ, რომ საქართველო ერთი კაცის ჯიბის ქვეყნად იქცეს, — განაცხადა სუბარმა ზესტაფონში, პარტიის რაიონული ორგანიზაციის გახსნაზე.

როგორც სუბარმა აღნიშნა, მოსახლეობასთან შეხვედრები მას არწმუნებს, რომ ხალხში გულგატეხილობა თანდათან ქრება, რაც გამარჯვების იმედს აძლევს.

**ინტერპრესნიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები

ჯემალ შელიას ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება გულზარდი შელიას მეუღლის

**ნელი კანკია-შელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



# ტევესის საყვარელი მესიზე ოცნებობს

ჭორებზე მონადირე ინგლისელ ჟურნალისტებს, „მანჩესტერ სიტიში“ მოთამაშე არგენტინელი კარლოს ტევესის გადამკიდე, თავგზა აქვთ არეული. ერთნი გულდაგულ ამტკიცებენ, რომ ტევესი მისმა საყვარელმა, მოდელმა კლაუდია ჩიარდონემ მიატოვა და მავან ინგლისელ ახალგაზრდა მსახიობს ჩაუგორდა საწოლში. თუმცა, ცოტა ხნის წინ ჩიარდონეს მცირე კომენტარიც კი გამოქვეყნდა, სადაც მოდელი წუწუნებდა, ტევესთან მეტისმეტად მოწყენილი ვარო.

არის ისეთი ინგლისური ბულვარული გამოცემებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ 28 წლის ლამაზმანს ტევესისთვის სულაც არ უღალატია და ეს ყველაფერი მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი იყო.

ფაქტია, რომ ტევესის საყვარელი ქერა ლამაზმანი საყვარლებისადმი განსაკუთრებული ერთგულებით აქამდეც არ გამოირჩეოდა. უფრო მეტიც, ტევესთან გახურებული რომანის პერიოდში ჟურნალისტებს მოდელმა ისიც კი გაუმხილა, რომ დიდი სიამოვნებით დარჩებოდა სიბნელეში ლეო მესისთან, თუკი ახალგაზრდა არგენტინელი ამას მოისურვებდა. მაშინ ეს სიტყვები ტევესმა საყვარლის უცნაურ ხუმრობად ჩათვალა და არაფერი უთქვამს.

# მარადონას სერიალი

ახალგაზრდა პარაგვაელი მოდელი და მოცეკვავე ლარისა რიკელმე (არავითარი ნათესაობა არ აკავშირებს არგენტინელ ფეხბურთელ ხუან რომან რიკელმესთან) ისეთი მომხიბვლელი არსებაა, რომ...

ლათინოამერიკელი ლამაზმანით, სხვა მოკვდავების გარდა, „ფეხბურთის ღმერთი“ დიეგო არმანდო მარადონაც კი მოხიბლულა. როგორც გაირკვა, ლეგენდარული არგენტინელი პარაგვაელ ლამაზმანს კარიერის შექმნაში ძალიან დაეხმარა და დიეგომ რიკელმესაგან საპასუხო „საჩუქარიც“ რამდენჯერმე მიიღო.

მარადონას ლარისასთვის თვალი ჯერ კიდევ მაშინ დაუდგამს, როდესაც ამ ლამაზმანის შესახებ მის ქვეყანაშიც კი ძალიან ცოტა ვინმემ იცოდა. ეს დღე იყო და დაიწყო ლარისა რიკელმეს წარმატებების სერიაც. ეს ქალი ბოლო წლებში ერთმანეთის მიყოლებით იმარჯვებს სხვადასხვა ტიპის სილამაზისა თუ ცეკვის კონკურსებზე. უკვე ყველა იმაზე საუბრობს, რომ რიკელმეს წარმატება მარადონას ფაქტორით არის განპირობებული.

როგორც იცით, მარადონა თავის მეუღლეს, კლაუდიას (რომელიც პარალელურად სერხიო აგეროს სიდედრი გახლავთ), დაახლოებით 6 წლის წინ ოფიციალურად გაშორდა და ახლა თავს უფლებას აძლევს, გრძნობათა მორევში გადაეშვას.

თუმცა, მარადონასა და პარაგვაელი მოდელის სიყვარული იმდენად დაემსგავსა ლათინოამერიკული სერიალის შინაარსს, რომ ძნელია გაიგო, სად და როგორ დამთავრდება ურთიერთობა.



# კარლოსს ცოლი მახაჩყალაში არ მიჰყვება



როგორც იცით, სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეულმა ბრაზილელმა ფეხბურთელმა, რობერტო კარლოსმა, დაღესტანს მიაშურა და მახაჩყალის „ანჟიში“ გადავიდა სათამაშოდ. ეს, როგორც იცით, უკვე გადაწყვეტილი ამბავია — რობერტო კლუბთან ერთად თურქეთშია, შეკრებას გადის და მის გალეკებას წყალი არ გაუვა. თუმცა, როგორც გაირკვა, სულ სხვაგვარად ფიქრობს კარლოსის მეუღლე, ბრაზილიელი მარიანა ლუსონი, რომელსაც დიდად არ ეპიტნავება მიყრუებულ მახაჩყალაში ცხოვრება და შესაძლოა ქმარს არც გაჰყვეს დაღესტანში.

ამის მიუხედავად, რობერტო კარლოსი ამბობს, რომ თავისას მაინც გაიტანს და კავკასიაში ცოლთან ერთად იცხოვრებს. მარიანა და რობერტო 2009 წელს დაქორწინდნენ. სანამ ბრაზილიელი ფეხბურთელი მარიანა ლუსონს მოიყვანდა ცოლად, პირველ ცოლს დიდი სკანდალის შემდეგ დაშორდა. „რეალში“ თამაშისას რობერტოს მეგობარმა რონალდომ გრანდიოზული ღრეობა მოაწყო და თანაგუნდელებს ელიტური მეძავებით „გაუმასპინძლდა“. ერთ-ერთი მეძავი კარლოსს ისე მოეწონა, მასთან რომანიც გააბა. კარლოსის მაშინდელმა ცოლმა, ადრიანა ენიტამ, ეს ამბავი რომ გაიგო, საცხოვრებლად ცალკე გადავიდა, განქორწინებაზე განცხადება შეიტანა და განქორწინების შემდეგ ხელს 5 მილიონი დოლარიც გააყოლა.

როგორც ხედავთ, კარლოსს „წინა ცხოვრებიდან“ უკვე საკმაო გამოცდილება აქვს მიღებული და ახლანდელ ცოლს, სავარაუდოდ, უფრო მეტ ანგარიშს გაუწევს.


**„ბერბეთის“**

*დასწრება სავალდებულოა*


## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ობობას ძველი ქართული სახელწოდება; 2. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 3. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 5. ჩინური ფაიფური; 7. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 9. კუთხე საქართველოში; 13. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 15. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 16. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 18. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა.

**თარაზულად:** 4. უღელტეხილი კავკასიონზე; 6. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 2. ქართველი მხატვარი ქალი; 10. მხატვრულად გაფორმებული, რამდენიმე გვერდიანი სარეკლამო ან გზამკვლევი ბროშურა; 11. მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება; 12. საათის მექანიზმი; 14. მდინარის მოტანილი სილა, ღორღი; 17. მუზეუმი მადრიდში; 19. ოქრომჭედლობაში, ძვირფასი ლითონებისგან გაკეთებული წნული; 20. ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში; 21. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი; 22. ხეების ფესვებზე, კუნძებზე მზარდი საჭმელი სოკო; 23. ხმადაბალი სიცილი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. სამთავრო; 4. სნუკერი; 5. პოსეიდონი; 9. ტრიერი; 12. სარკოზი; 14. ჩაქურა; 15. ბონო; 17. ქანდა; 18. „უშბა“.

**თარაზულად:** 6. დღეობა; 7. სამანგიო; 8. ეგრისი; 10. ჟესტი; 11. კასკადიორი; 13. ეჩხაბერი; 16. დალაქი; 19. შოკოლადი; 20. „მალვაზია“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რევერსი; 2. დიასტოლა; 3. დროსელი; 3. ვატერლოო; 7. ოცელოტი; 9. ტაბაწყური; 13. ბოლნისი; 15. ოკრიბა; 16. მღვიმე; 18. ბზიფი.

**თარაზულად:** 4. გელოვანი; 6. ჭვიშტარი; 8. რეპატრიაცია; 10. პოლდერი; 11. ბილი; 12. შტამბი; 14. კოქტო; 17. წყარო; 19. ურანი; 20. ლინოტიპი; 21. იაკი; 22. „მაკლარენი“; 23. მილიონი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 26 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,7567

ევრო —2,3963

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8409

რუსული რუბლი — 0,0599

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 9-§, ღამით — -3 -1
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 16-17, ღამით — 8-11
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — -3 -1, ღამით — -12 -4

## ამინდის პროგნოზი 26 თებერვლისთვის







### ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.


## ალმასკომმა ფირცხალავა ფეხბურთის ფედერაციაში დააბრუნა

გუშინ მიხეილ მესხის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი შეიკრიბა. ალმასკომის 18 წევრიდან წარმოდგენილი იყო 13 სუბიექტი. სხდომას სფფ-ის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა უძღვებოდა. სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო 6 საკითხი.

პირველ საკითხზე, რომელიც შეეხებოდა სფფ-ის წესდების 68-ე მუხლის მოქმედებაში მოყვანას, ხანგრძლივი მსჯელობა გაიმართა. ზემოთ აღნიშნული მუხლის შესაბამისად, ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა შეჯიბრების (საქართველოს ჩემპიონატი ყველა ლიგაში, საქართველოს თასი, ახალგაზრდული შეჯიბრებები) გამართვის ორგანიზება მოხდება ცენტრალიზებულად, სფფ-ის შესაბამისი ორგანოების მიერ. საბოლოოდ ალმასკომმა ეს საკითხი ერთხმად დაამტკიცა.



მეორე საკითხი შეეხებოდა სფფ-ის წევრებისთვის ყოველწლიური საწევრო შენატანის ოდენობის დადგენას. საწევრო შენატანი იქნება 500 ლარი წელიწადში. მესამე საკითხი შეეხებოდა სპეციალური კომიტეტის შექმნის საკითხს, რომელიც მსაჯების საქმიანობას გაუწევს მონიტორინგს. სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილია თანხა 500.000 ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება მსაჯთა კორპუსს, მათი შრომის ანაზღაურების მომატებას, კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას. სწორედ ამასთან დაკავშირებით უნდა შეიქმნას სპეციალური კომიტეტი, რომელიც განიხილავს და მონიტორინგს გაუწევს შეჯიბრებებს ყველა დონეზე.

მსაჯთა დისციპლინარული გადაცდომისას მიიღებს ფინანსური სანქციების დაწესების გადაწყვეტილებას. სფფ-ის პრეზიდენტის თქმით, კომიტეტი პროფესიონალებისგან უნდა დაკომპლექტდეს და მჭიდროდ ითანამშრომლოს სამსაჯო კომიტეტთან. თავის მხრივ, სამსაჯო კომიტეტმა ფინანსებთან დაკავშირებული სადავო საკითხები სწორედ ამ კომიტეტს უნდა წარუდგინოს.

ალმასკომმა ასევე მოისმინა და განიხილა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვა საფეხბურთო კლუბ „გურიასთან" დაკავშირებით და საფეხბურთო კლუბების, ტყიბულის „მეშახტისა" და წყალტუბოს „სამგურალის" წერილები. ბოლოს სფფ-ის პრეზიდენტმა ალმასკომს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დასამტკიცებლად წარუდგინა პროფესიული საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელ გია ფირცხალავას კანდიდატურა, რომელიც ალმასკომის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს. გია ფირცხალავა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნდა. ასეთი გადაწყვეტილება ალმასკომმა გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში გამართულ სხდომაზე მიიღო.

2009 წელს, დომენტი სიჭინავას ფეხბურთის ფედერაციის სათავეში მოსვლის შემდეგ, ფირცხალავა ხსენებული ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნეს. მოგვიანებით, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მან ფედერაციიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა, ხოლო პარასკევს თავის თანამდებობას დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის ბოლომდე პროფლიგის მუშაობა დროებით შეჩერებულია. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ოფიციალური ვერსია, თორემ, ვინ ჩაატარებს ეროვნულ ჩემპიონატს მომავალ სეზონში, სფფ-შიც კი არ იციან. თავად ფირცხალავას თქმით, იგი პროფლიგის პრეზიდენტად კვლავ რჩება. ასე რომ, ფედერაციას ისევ ორი ვიცე-პრეზიდენტი ეყოლება — ფირცხალავა და ალექსანდრე ჩივაძე. საპატიო ვიცე-პრეზიდენტი კი მურთაზ ხურცილავაა.

## ყველამ გაითვალისწ ასტროპროგნოზი

### 26 თებერვალი — წარმატებული დღეა.

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — დაისვენეთ და გაერთეთ. **ტყუპები** — გზიდან ფულს მიიღებთ. **კირჩხიბი** — მშვენიერი დღეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, თქვენი საქმე მშვიდად აკეთეთ. **სასწორი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — ბედი გწყალობთ, ყველაფერი გამოგივათ. **თხის რქა** — ახალი პროექტი გაამართლებს. **მერწყული** — საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, კარგ ხასიათზე დადგებით. **თევზები** — გადაიხალისეთ გარდერობი, იმიჯის შეცვლა ღირს.

### 27 იანვარი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**ვერძი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **კირჩხიბი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, ფულიც გექნებათ. **ლომი** — მშვენიერი დღეა. **ქალწული** — საღამოს რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ღრიანკალი** — მშვიდად იმოქმედეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მერწყული** — არ გარისკოთ, ფრთხილად იმოქმედეთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## არგენტინელები შარაპოვას ვერ ივიწყებენ



მსოფლიოს მრავალი სპორტული თუ არასპორტული ჟურნალი და ვებგვერდი ყოველ წელს ატარებს გამოკითხვას პლანეტაზე ყველაზე სექსუალური ქალი სპორტსმენის გამოსავლენად. სპორტული მიღწევებისაგან (რაც, ელემენტარულად, მოპოვებული ტიტულებითა და გამარჯვებებით გამოიხატება) განსხვავებით, სექსუალურობის რეიტინგი და განსაზღვრება, რა თქმა უნდა, ყოველთვის სუბიექტური და ხშირად არარეალურია.ამას ისიც ადასტურებს, რომ არგენტინულ ჟურნალ „ოლეს" ვერსიით, რუსი ჩოგბურთელი, ანა კურნიკოვა, თითქმის ყოველ წელს პლანეტის ყველაზე სექსუალურ სპორტსმენ ქალად სახელდება. ეს მაშინ, როდესაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ კურნიკოვას თუნდაც მისი თანამემამულე რუსი სპორტსმენი ქალები არც სილამაზითა და არც სექსუალურობით არ ჩამოუვარდებიან, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ქვეყნის წარმომადგენელ სპორტსმენ ლამაზმანებზე.

გთავაზობთ არგენტინული ჟურნალის მიერ დადგენილ ლამაზმან სპორტსმენთა სამეულს და თავად განსაჯეთ, რამდენად ობიექტურია იგი:

1. ანა კურნიკოვა — ჩოგბურთელი
2. მარია შარაპოვა — ჩოგბურთელი
3. ანა რავსონი — გოლფის მოთამაშე

## გიყვართ ჭორაობა? ტესტი



***1. თქვენს შეფს მდივანთან რომანი აქვს, თქვენ:***

ა) არავის ეტყვით, ბ) მთელ სამსახურს მოსდებთ — 3, გ) მხოლოდ უახლოეს კოლეგებს ანდობთ საიდუმლოს — 5.

***2. ჭორაობა არის:***

ა) გადასარევი გასართობი საშუალება — 3, ბ) მხოლოდ დაბოლმილი ადამიანის საქმე — 2, შურისძიების საუკეთესო საშუალება — 5.

***3. თქვენი კოლეგა ძალიან მნიშვნელოვან საიდუმლოს განდობთ, თქვენ:***

ა) ბოლომდე შეინახავთ — 5, ბ) ყველას მოუყვებით — 3, გ) მიიჩნევთ, რომ თქვენი გამოცდა სურს — 2;

***4. საუბარში ხედავთ, რომ თქვენი მეგობარი მეტისმეტად აჭარბებს, თქვენ:***

ა) მაშინვე შეაწყვეტინებთ ლაპარაკს — 3, ბ) დაე, იტრაბახოს — 5, გ) ბოლომდე მოუსმენთ — 2.

### პასუხები

**0-დან 10 ქულამდე:** თქვენი ნდობა ნამდვილად შეიძლება, ჭორაობა გიყვართ, მაგრამ ყოველთვის ხვდებით, რისი თქმა შეიძლება და რისი — არა. ბევრ თქვენს მეგობარს მოსწონს თქვენი ასეთი გაწონასწორებული ხასიათი და ცდილობენ, მოგბაძონ. იმდენად იხარჯებით სხვებისთვის, რომ საკუთარი პრობლემები გავიწყდებათ. არც სხვების მესაიდუმლეობა გიზიდავთ. ყოველთვის ცდილობთ, დაიცვათ ზღვარი და არასოდეს გადახვიდეთ მას. იცით, რომ ასეთი საქციელი ზედმეტ პრობლემებს არ შეგიქმნით.

**12-დან ზემოთ:** ნამდვილი ჭორიკანა ხართ. ყოველთვის გრძნობთ, რომ ჭორაობა თქვენი სტიქიაა და, თუ რაიმე ჭორი თვითონ არ გაიგეთ, თავად იგონებთ მათ. გარშემომყოფებს თქვენთან პირის გაღების ეშინიათ, იციან, რომ ელემენტარულ ამბავს გიგანტურ მოვლენად გადააქცევთ. ასეთი საქციელის გამო ხშირად კარგავთ საყვარელ ადამიანებს, თუმცა რამდენიმედღიანი გლოვის შემდეგ იგი გავიწყდებათ და ახლის ძებნით ირთობთ თავს. თუ სხვა ღირებულებებით დაინტერესდებით, მიხვდებით, რომ ამქვეყნად ჭორაობაზე გაცილებით უკეთესი საქმეები არსებობს.




## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი"-ს პერსონაჟი; 2. მართალი, პატიოსანი ადამიანი; 3. მონასტერი, ხუროთმოძღვრული ძეგლი რაჭაში; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ფრანგული ვაშლის ღვინო; 9. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 12. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი; 14. უკურკო, გამომშრალი გარგარი; 15. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 17. ყოველდღიური გაზეთი შვეიცარიაში; 18. აზროვნების უნარი, გონება.

**თარაზულად:** 6. მოდელების სააგენტო თბილისში; 7. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 8. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი; 10. ქალაქის თვითმმართველობა; 11. საათების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი შვეიცარიაში; 13. ძველი ბერძნული ქალაქების გამაგრებული ნაწილი; 16. მსხლის ერთ-ერთი ჯიში; 19. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 20. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

## იუმორი



***

— რას საქმიანობ?

— მე უძველესი პროფესია მაქვს, ისრების ქვის ბუნიკებს ვაკეთებ...

***

— ჩემს მამიკოს ახალი ფიჭური ტელეფონი აქვს.

— ჩემსას ახალი მერსედესი.

— ჩემსას კი სარდაფში აი, ამხელა ვირთხა ჰყავს.

— მართლა? გვაჩვენებ?

***

— ისე, ჩვენში დარჩეს და გულკეთილი ქალი ვარ. დღეს, მაგალითად, ერთ მათხოვარს 10 ლარი მივეცი.

— მართლა? ათი ლარი? საინტერესოა, შენმა ქმარმა რა თქვა?

— რა უნდა ეთქვა, ათი ლარი რა ფულია, მაგრამ მადლობა მაინც გადამიხადა...